სახელმწიფო პირდაპირი სუბსიდიებით თუ არა, საგადასახადო შეღავათებით მაინც უნდა ეხმარებოდეს პრესას, – წერდა მიხეილ სააკაშვილი 6 წლის წინათ.

იხ. 1-მე-4 გვ.

დღის თემა

ოპოზიცია სანთლით საძებარი გაგვიხდა



2 ნოემბრის არჩევნები ჩაფლავდა. მასში ბლოკებისა თუ პარტიების სახით სულ 21 სუბიექტი მონაწილეობდა. აქედან პოზიცია მხოლოდ ერთი გახლდათ – ბლოკი „ახალი საქართველოსათვის“, თორემ დანარჩენები 5 წამში გამოღადრავდნენ ყელს ამ გაერთიანების 204-ვე კანდიდატს. დღეს რა ხდება? რა ხდება და ოპოზიცია სანთლით საძებარი გაგვიხდა. რახან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ „ნაციონალები“ და „დემოკრატები“, ფაქტობრივად, უკვე გაერთიანდნენ, მისი მეტოქეები აშკარად დაიბნენ, შეიძლება ითქვას, შოკშიც კი აღმოჩნდნენ. იმდენად ავარდა ყოფილ ოპოზიციონერთა და დღევანდელ ხელისუფალთა რეიტინგი, რომ სარისკო ხდება არჩევნებში საერთოდ მონაწილეობა, დადგენილი 7-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა. თავად პრეზიდენტი იხვეწება კიდეც, გაერთიანდითო, მომავალი პარლამენტი ერთპარტიული არ გამოვიდესო, ჯანსაღი ოპოზიციის ყოლა ჩვენც გვაინტერესებსო, მაგრამ... შიშს მაინც დიდი თვალები აქვს. არავინ იტკივებს აუტკივარ თავს და ლეიბორისტების გარდა, ვერავინ ბედავს აშკარა ოპონირებას.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანების და ცესკოში სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა 14 თებერვლიდან 19 თებერვლამდე გადასწია. რას იზამს ეს 5 დღე? მოიყვანს გონზე არჩევნებში მონაწილეობის მსურველ 50-მდე პარტიას? რაღა დარჩა, დრო ხელში შემოგვადნა, ნაღდი ოპოზიცია კი არა და არ გამოჩნდა.

იხ. მე-2 გვ.

გაზეთი, სხვანი და ილუზიები?

ვალი გადაგვიხადეთ, ბატონებო!

ვინც სახელმწიფოს ვალს არ იხდის, ციხეში სვამენ. ეტყობა ცუდი საქმეა ვალის გადაუხდელობა. ასევე ცუდი საქმეა გაზეთს ვალს რომ არ უხდიან, მიუხედავად იმისა, რომ ციხეში ვინმეს ჩასმისგან ღმერთმა დაგვიფაროს!

სააქციო საზოგადოება „საქპრესას“ დავალიანება შპს „პრესა-2002“-ისადმი, ორგანიზაციისადმი, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოცემას უზრუნველყოფს მიმდინარე წლის 1 თებერვლისათვის შეადგენს 20655 ლარსა და 91 თეთრს. ამავე დროს, „საქპრესას“ მიმართ დებიტორული დავალიანებების მქონე უწყებები, მიუხედავად მრავალგზის წერილობითი თუ სიტყვიერი შეტყობინებისა, თავს არიდებენ 2003 წლის ხელმოწერით მიღებული გამოცემების ღირებულების დაფარვას.

იხ. მე-2 გვ.

ოფიციალური ინფორმაცია

შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით ქვეყნის კონსტიტუციის 77-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, დამტკიცდა ადმინისტრაციის დებულება და სტრუქტურა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებისას გაითვალისწინოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსებისთვის აუცილებელი სახსრები.

ძალადაკარგულადაა ჩათვლილი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 31 იანვრის №81 ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის დროებითი დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“.

საქინფორმი.

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №40 (4769) ოთხშაბათი, 18 თებერვალი, 2004 წელი. ფასი 50 თეთრი.

დედაქალაქი

მორატორიუმის მოთხოვნა გაუმართლებელია

ჩვენი მრავალსაუკუნოვანი დედაქალაქი, გამორჩეული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობით და ურბანული გარემოს განუმეორებელი ხიბლით, შეიძლება ითქვას, დღეს სერიოზულად დასნებოვნებულია. შენობა-ნაგებობების სიძველემ, ხშირმა მიწისძვრებმა, სხვა ბუნებრივმა სტიქიურმა მოვლენებმა და, რაც ყველაზე მთავარია, კაპიტალური ფონდის მოუვლელობამ, კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა განაშენიანება. მოსახლეობა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

იხ. მე-4 გვ.

კანონმდებლები

პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა

17 თებერვალს მუშაობას შეუდგა საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა.

პარლამენტმა მეორე მოსმენით – მუხლობრივად განიხილა „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“, რომელიც პარლამენტის წევრმა ვასილ მაღლაფერიძემ წარმოადგინა. ახალი რეგლამენტი პარლამენტის საქმიანობას ახლებურად განსაზღვრავს, რამაც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა მომავალში მნიშვნელოვნად უნდა აამაღლოს.

პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს საქართველოს მთავრობის შემადგენლობისათვის ნდობის გამოცხადება წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, სხდომაზე მოწვეული იყვნენ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ზურაბ ჟვანია და მისი გუნდი – მომავალი მინისტრთა კაბინეტის წევრები.

ზურაბ ჟვანიამ პარლამენტში წარმოადგინა საქართველოს მთავრობის პროგრამა, რომელიც გაწერილია 2004-2009 წლებისათვის და რომელიც ერთიანი და ძლიერი საქართველოს შექმნას ითვალისწინებს. უახლოეს წლებში მთავრობის უპირველესი მიზნები იქნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და საქართველოს თანამედროვე ევროპულ ქვეყანად ჩამოყალიბება. როგორც ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, ამ მიზნების მისაღწევად ახალმა მთავრობამ განსაზღვრა ძირითადი ორიენტირები. მან მიზნად დაისახა ისეთი სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომელიც ყოვლისმომცველი რეფორმის განხორციელების ეფექტურობას უზრუნველყოფს.

იხ. მე-2 გვ.



გიხაროდენ!

ისეთი გოგო დაბადებულა, დაურქმევიათ მისთვის თამარი

თბილისის გრიგოლ კობახიძის სახელობის მე-5 გიმნაზიის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით დარგში, მათემატიკოსი იზა კვანტიძე და იურისტი ზაზა ზითანიშვილი სამი წლის წინ შეუღლდნენ. ისინი აქამდე ერთ შვილს – ერთი წლისა და 9 თვის გიორგის შეჰხაროდნენ. 12 თებერვალს, თბილისის ექსპერიმენტულ სამშობიარო სახლში (მდებარეობს მეტრო „300 არაგველთან“) მათ მეორე შვილი შეეძინათ, გოგო – თამარი.

– მადლობა სამშობიარო სახლის მაღალკვალიფიციურ და გულისხმიერ სამედიცინო პერსონალს და სამეანო განყოფილების გამგეს, მეან-გინეკოლოგს ზურა მურღულიას, რომლის პროფესიონალიზმის წყალობით ჩემმა მშობიარობამ, როგორც პირველმა, ისე მეორემაც წარმატებით ჩაიარა, – მითხრა მადლიერმა იზამ.

სიხარული და ბედნიერება კვლავაც ნუ მოკლებოდეს მათ ახალგაზრდა ოჯახს.

ნინო ლიბრაძე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ეს იყო...

რას ფიქრობდა ექვსი წლის წინათ გაზეთ „შანსის“ რედაქტორი მიხეილ სააკაშვილი მასმედიის პრობლემებზე?

შესავლის მაგიერ

ჯერ ფაქტზე.

დარწმუნებული ვარ, იგი ძალიან ბევრისთვის უცნობი იქნება, მაგრამ ორ პიროვნებას ნამდვილად კარგად ეხსომება.

პირველი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია.

მეორე – გაზეთ „შანსის“ მთავარი რედაქტორი ბონდო ქურდაძე.

1998 წლის 27 ივლისს 30 წლის პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი „შანსის“ ნომრის რედაქტორის ამპლუაში წარუდგა საზოგადოებას.

იმხანად, უფრო ადრეც, ეს უპრეცედენტო ფაქტი იყო. თუმცა „შანსისათვის“ ნამდვილად – არა.

გაზეთ „შანსს“, რომელიც 1980-იანი წლების მიწურულიდან თავისუფალი პრესის მცირე კუნძული იყო, მართლაც არაერთხელ გაუკეთებია პირველმკვალავის განაცხადი. მაგალითისთვის რამდენიმე ფაქტს მოვიშველიებ.

იხ. მე-4 გვ.

სურათზე: გაზეთ „შანსის“ გვერდი. ფოტოებზე – მიხეილ სააკაშვილი და ბონდო ქურდაძე.

ბრძანება

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი დროის ათვლის შესახებ



ევროპის ქვეყნების მიერ ზაფხულის დროის შემოღებისა და გაუქმების შეთანხმებული ვადების (ბრიუსელი, 2001 წლის იანვარი) გათვალისწინებით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით 2004 წლის 28 მარტიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შემოღებული იქნება ზაფხულის დრო (02 საათზე საათის ისრები გადაიწევა ერთი საათით წინ).

კადრები

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით **ირაკლი ჩუბინიშვილი** დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად.

ქრონიკა

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით **გიორგი არველაძე** გათავისუფლდა საქართველოს სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

საქინფორმი.

პოზიცია

შეხვედრები, რომლებიც დავუშვით, რომლებმაც დაგვაკარგვინა აფხაზეთი

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

საერთაშორისო ორგანიზაციები დაგვეხმარებიან

28 მარტის პარლამენტის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა და ეუთოს მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში როი რიმინხენმა 17 თებერვალს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად ეუთო არჩევნების მაღალ დონეზე წარმართვისათვის ერთ მილიონ ევროს გამოყოფს.

არჩევნების ჩასატარებლად სულ შვიდი მილიონი ლარია საჭირო.

როგორც ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, თანხის დანარჩენ ნაწილს გაეროს განვითარების ფონდი და სხვა დონორი ორგანიზაციები გაიღებენ.

თურქეთში – ოფიციალურ ვიზიტად

ბუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე ოფიციალური ვიზიტით თურქეთს ეწვია.

თურქეთის დედაქალაქ ანკარაში საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი თავის თურქ კოლეგას და თურქეთის ვიცე-პრემიერს შეხვდება. დაგეგმილია შეხვედრები შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის სამდივნოში.

შამბა კვლავ პრეტენზიებს აყენებს

გუშინ, გაეროს ჟენევის ოფისში 17-18 თებერვლისთვის დაგეგმილი გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების რიგით მე-3 ქართულ-აფხაზური შეხვედრა სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენელთა გარეშე გაიმართა.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზური მხარე მიზანშეუწონლად მიიჩნევს ჟენევის პროცესის ფარგლებში მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს პარალელურად, კონფლიქტის მოგვარების ახალი სტრუქტურების მოქმედებას.

მისივე თქმით, აფხაზურმა მხარემ არაერთხელ გამოთქვა თავისი პრინციპული დამოკიდებულება თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ ე.წ. ბოდენის დოკუმენტთან დაკავშირებით, რომელსაც მხარს უჭერენ გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნები.

სერგეი შამბას განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნები შეიცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას აფხაზი ხალხის მიერ განსაზღვრულ აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, სოხუმიც გადახედავს თავის დამოკიდებულებას ჟენევის ფორმატით დაგეგმილ მოლაპარაკებებში სოხუმის ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, ინტერ-პრესმა.

ავსა კაცსა ავი სიტყვა...

აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო...

ანუ „კო(შ)კასა“ შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების

დღეს იმ თემით დავიწყებთ, რომლითაც გუშინდელი პუბლიკაცია დავამთავრეთ.

რა სახსრებს იღებდა ბიუჯეტიდან შპს „საქართველოს რესპუბლიკა“, რაიც სალაპარაკო გახადეს ორი დღის განმავლობაში ორი ტელეარხის ეკრანებზე?

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური ყოველწლიურად აცხადებდა საჯარო ტენდერს სახელმწიფო დოკუმენტების პუბლიკაციის უფლების მოსაპოვებლად. ტენდერის პირობები გაზეთში ქვეყნდებოდა.

ყოველწლიურად „საქართველოს რესპუბლიკა“ იმარჯვებდა ამ ტენდერში. ჩვენი ბრალი არ არის, თუ სხვა გაზეთები სხვადასხვა მიზეზით კონკურსში არ მონაწილეობდნენ.

მთავარი მიზეზი მაინც ერთი იყო – კონკურსის მკაცრი პირობები, გაზეთ „რეზონანსის“ მთავარმა რედაქტორმა ლაშა ტუღუშმა ტელევიზიით გამოსვლისას ამის გამო განაცხადა: – ტენდერის პირობების შესრულებით ჩვენი გაზეთი თავის სახეს დაკარგავდაო.

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს

__გუშინ__ საღამოს იაპონიის თავდაცვის სამინისტროსთან ორი აფეთქება მოხდა. პოლიციამ მაშინვე განაცხადა, რომ ეს ტერაქტი, შესაძლოა, მოაწყვეს რადიკალურმა ოპოზიციონერებმა, რომლებიც ერაყში იაპონელ სამხედროთა გაგზავნის წინააღმდეგ ილაშქრებენ.

__პალესტინელი__ ხალხი არ დაუშვებს, რომ ღაზის სექტორიდან ებრაული დასახლებების გაყვანის შემდეგ იქ კონტროლი დააწესონ „ჰამასის“ ძალებმა, როგორც ამას მისი ხელმძღვანელები აცხადებენ, – თქვა ეროვნული უშიშროების საკითხებში იასირ არაფატის მრჩეველმა ჯიბრაილ რაჯუბმა.

ამინდი დღეს

თბილისი	– ცვალ. მოღრ. ქარი.	ღამით -4, დღისით +7
ბათუმი	– ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით -1, დღისით +5
სოხუმი	– ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით -2, დღისით +5
ფოთი	– ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით -2, დღისით +5
ქუთაისი	– ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით -4, დღისით +5
გორი	– ცვალ. მოღრ. წვიმა.	ღამით -4, დღისით +5
თელავი	– ცვალ. მოღრ. ქარი.	ღამით -4, დღისით +6

ლარის კურსი

18 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.9105	ლარი
აშშ დოლარი	1	2.0600	ლარი
ევრო	1	2.6455	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0723	ლარი.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვარ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, 83 წლის. სოფელში მაქვს მიწის ნაკვეთი. ინსპექტორი, რომელიც გადასახადებს კრეფს, მაიძულებს გადამახდევინოს მიწის ნაკვეთზე გადასახადი.

გთხოვთ მიპასუხოთ, ვრცელდება შეღავათები ჩემზე თუ არა?

მალვა ოდიკაძე, თელავი. სოფელი აკურა.

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები გათავისუფლებული არიან მიწის გადასახადის გადახდისაგან.

აქვე განგიმარტავთ, რომ მეორე მსოფლიო ომის ყველა მონაწილე, რომელიც გადაცილებულია 70 წელს, ითვლება ომის ინვალიდთან გათანაბრებულად.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

__კალიფორნიის__ შტატის გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი უსიგაროდ ვერ ძლებს. ხოლო იმისთვის, რომ მან არ დაარღვიოს შტატის კანონი, რომლითაც ოფისებში გაბოლება იკრძალება, გადახსნიან იმ შენობის სახურავის ნაწილს, რომელშიც კალიფორნიის ხელისუფლების ორგანოები არის განთავსებული.

__მობილური__ ტელეფონი – ეს არის ჯაშუში, რომელიც საცნაურჰყოფს არა მარტო იმას, თუ რა და როდის ილაპარაკა მისმა მფლობელმა, არამედ – ამ უკანასკნელის ადგილსამყოფელსაც. ამასთანავე, მობილური ტელეფონი ნეგატიურად მოქმედებს ფსიქიკაზე – ამცირებს აზროვნების უნარს, ამტკიცებენ მეცნიერები.

__მიწისძვრა__ პირისა აღგვის საშიშროება ემუქრება წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში განლაგებულ ტუვალუს ნამცეცა სახელმწიფოს, რომელშიც სულ 11 500 კაცი ცხოვრობს. ამ კვირის ბოლოსთვის ახალმთვარობასთან დაკავშირებული მაღალი მოქცევის ტალღები შთანთქავენ მას.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.

კანონმდებლები

პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა

(პირველი გვერდიდან)

მთავრობის მთავარი პრიორიტეტთაგანი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მართვა, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ენერგოსექტორის მომგებიან დარგად გადაქცევა, კონსტიტუციური წყობის ფუნქციონირების უზრუნველყოფა და მისი დაცვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და სხვა.

მომხსენებელმა ამომწურავად უპასუხა დეპუტატთა შეკითხვებს, შემდეგ კი პარლამენტის ფრაქციათა წარმომადგენლებმა საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს.

ამის შემდეგ საქართველოს მთავრობის ახალ შემადგენლობას უყარეს კენჭი.

165 ხმით ხუთის წინააღმდეგ პარლამენტმა დაამტკიცა მინისტრთა კაბინეტი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას თავმჯდომარეობით.

პარლამენტმა მიიღო სხვა დადგენილებებიც.

პარლამენტის პრესსამსახური-საქინფორმი.

დღის თემა

ოპოზიცია სანთლით საძებარი გაგვიხდა

(პირველი გვერდიდან)

ედპ-ტრადიციონალისტთა ქორწინებამ, როგორც ჩანს, ისეთი მერცხალივით გაზაფხული ვერ მოიყვანა, თუნდაც „ახალი მემარჯვენეები“ და „მრეწველები“ ვერ შეაჯერა, აღარ ვლაპარაკობ მრეწველთა მეორე, პარალელურ პარტიასა და სახალხო კაპიტალიზმის პარტიაზე, რომელთაც, ჩემი აზრით, ერთნაირი პლატფორმა უნდა ჰქონდეთ.

მაშ, რა ხდება? ოპოზიცია რატომ ვერ ერთიანდება? ეს უფრო ამბიციების ბრალია, ვიდრე საქვეყნო, სახალხო საქმის კეთების სურვილისა. ყველას უნდა სათავეში დამოუკიდებლად, დიდი უმრავლესობით მოვიდეს და მოსამკალიც ერთპიროვნულად მოიმკას. წინა საპარლამენტო არჩევნებისას, მაგალითად, ცალკე გამოდიოდა „დედა სამშობლო“ და არასახელმწიფო ბლოკი „სამშობლო“. სად გაგონილა სახელმწიფო ან არასახელმწიფო „დედა“, სახელმწიფო ან არასახელმწიფო „სამშობლო“? სად გაგონილა და ჩვენთან, — საქართველოში. რატომ? იმიტომ, რომ პირველს პარლამენტში მოსასვლელად სიებში შეყვანილი ჰყავდა 112, მეორეს კი — 142 კაცი! ასევე, საქართველოს სახალხო კაპიტალიზმის პარტიამ მაშინ სიებში ჩასვა 145, მრეწველებისა და ეკონომიკური აღმავლობის პარტიამ კი — 150 კაცი.

თუ შინაურულად ვიტყვით, დღევანდელი ხელისუფლებისათვის უპირველესი ოპოზიცია უნდა გამხდარიყო ყოფილი ბლოკი „ახალი საქართველოსათვის“, მაგრამ ეს ბლოკი მარშანდელი თოვლივით გაქრა. უფრო სწორად, ბლოკის წამყვანი პარტიების — ედპ და სოციალისტების ლიდერები — ირინა სარიშვილიც და ვახტანგ რჩეულიშვილიც პოლიტიკური ასპარეზიდან გავიდნენ. რას იზამენ ეს პარტიები უმეთაუროდ, ძნელი სათქმელია. ძნელია „დემოკრატიული აღორძინების პარტიის“ პერსპექტივის გათვლაც, ვინაიდან გამოფხიზლდა აჭარის ელექტორატი და იქიდან ადრინდელივით 280.000 ხმის წამოღება ძალზე გაჭირდება; კი არ გაჭირდება, ეს ხმები სხვა პარტიებზე დიდი რაოდენობით გადანაწილდება.

ისე კი, ნებისმიერი პარტიისათვის რა უნდა იყოს მთავარი: პარლამენტში მეტი ხალხის გაყვანა, კეთებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა თუ საკანონმდებლო ორგანოში ღირსეული, მართლაც რჩეული, პროფესიონალი პოლიტიკოსების მოყვანა, რომლებიც თავიანთ მოვალეობას პირნათლად, შეუხსენებლად შეასრულებენ? ავიღოთ 2002 წელი (2003-ში ძირითადად ვითარება არეული იყო): ასლან სმირბამ გააცდინა 80 სხდომა, ზაზა შერაზადაშვილმა — 68, დავით გეგეშიძემ — 65, გიორგი ხევიაშვილმა — 61, კახა ჩიტაიამ — 60, ლევან პირველმა — 59, ვაჟა ლორთქიფანიძემ — 58...

პარლამენტართათვის უცხო ხილი არ გახლდათ პულტებით მანიპულირება, ერთმანეთისთვის გადაცემა, სხვათა მაგიერ ხმის მიცემა. ახალი რეგლამენტით ასეთ დეპუტატებს წყალი გადაეწურებათ. ხმის მიცემის ბარათის კოლეგაზე გადაცემისათვის დეპუტატს პირველად დაუქვითავენ ერთი თვის ხელფასს, მეორედ გადაცემისათვის — 3 თვის ხელფასს, მესამე გადაცემისათვის — 6 თვის ხელფასს. ყოველივე ამას შეიძლება მოჰყვეს დეპუტატის საერთოდ პარლამენტიდან გაწვევა, გაძევება. ამ პარლამენტმა დეპუტატისათვის იმუნიტეტის მოხსნაზე უარი თქვა, რას იზამს ასეთი რეგლამენტის დაკანონებაზე? როგორც ამბობენ, ახლანდელი პარლამენტი მომავალ პარლამენტს ორმოს არ გაუთხრის, შეიძლება ორიოდე თვის შემდეგ შიგ თავად ჩავარდეს.

ხალხმა რაღა ქნას? ისევ გამცდენების, ნარკომანების, აგენტების, კორუფციონერების (ამას თავად დეპუტატები აღიარებენ) და სხვა დამრღვევთა ხელში აღმოჩნდეს? უამრავი ცოდვა, რაც ამქვეყნად ტრიალებდა, განა პარლამენტართაგანაც არ მოსჩქეფდა? პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ლოზუნგი — „უმჯობესია ცოტა და კარგი“ — ჯერ არ გახუნებულა. და ეს უნდა გაითვალისწინოს პოზიციამაც და ოპოზიციამაც. 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ 235 დეპუტატიდან ნარკოლოგიური შემოწმება თურმე გაიარა 186-მა. რატომ? კანონი თავად კანონმდებლებს არ ეხება?

ერთი სიტყვით, თევზი თავიდან აღარ უნდა აყროლდეს, თორემ სამანი ხალხის მოთმინებასაც აქვს. ეს მან სულ ახლახან დაამტკიცა!

ბონდო გულიაშვილი.

გაზეთი, სხვანი და ილუზიები?

ვალი გადაგვიხადეთ, ბატონებო!

(პირველი გვერდიდან)

კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დავალიანება 4353 ლარი და 77 თეთრია; ტრანსპორტისა და კომუნიკაციების

სამინისტროსი — 1961 ლარი და 73 თეთრი; სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის — 1187 ლარი და 60 თეთრი; სახელმწიფო ხაზინის, სადაც საქართველოს პარლამენტმა წარადგინა საგადასახადო დავალიანება „საქპრესას“ მიმართ არსებული დავალიანების დასაფარავად 11.759 ლარი და 16 თეთრი; ხაზინა, ასევე, თავს არიდებს სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას „საქპრესისათვის“ სახელმწიფო კანცელარიის 8843 ლარისა და 55 თეთრის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის 1181 ლარისა და 41 თეთრის დავალიანების დაფარვის თაობაზე.

ზემოთ დასახელებული ორგანიზაციების პატივცემულო ხელმძღვანელებო, უმორჩილესად გთხოვთ, გადაუხადეთ ვალი „საქპრესას“! ამით, გვაპატიეთ ტავტოლოგია, თქვენს ვალს მოიხდით თავისუფალი ქართული პრესის მხარდაჭერისა და დახმარების კეთილშობილურ საქმეში.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია
შპს „პრესა-2002“,
სს „საქპრესა“.**

დღეს ხვალისათვის

ტელეხიდი გვაახლოებს

უკვე მერამდენედ ეხმიანება ჩვენი გაზეთი აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის თემას. ეს იმიტომ, რომ ცენტრი ნამდვილი მონაპოვარია ჩვენი ქვეყნისთვის უნიკალური შენობით, აღჭურვილობით, პროფესიული მედპერსონალით და ამიტომ არის მოსაფრთხილებელი და ანგარიშგასაწევი. ვწერდით ჯერ კიდევ მისი შექმნის იდეიდან დაწყებული განხორციელებამდე, რემონტით, აღჭურვით და გახსნით დამთავრებული. მისი ამოქმედებიდან 7 თვის განმავლობაში დღემდე მკითხველს სამჯერ ვაუწყეთ კლინიკაში მიმდინარე საქმიანობის შესახებ, რომელთაც იქ საგანგებო ბრიფინგებზე ვეცნობოდით. ამას წინათ გამართული ბრიფინგი კი კლინიკის დაუფინანსებლობით გამოწვეულ პრობლემებს მიეძღვნა.

16 თებერვალს კი ცენტრში მეტად მნიშვნელოვან მომენტთან დაკავშირებით გვიხმეს მედიის წარმომადგენლები. ჩვენი დროით 18 საათზე შედგა ტელეხიდი — ვიდეოკონფერენცია ღუდუშაურის კლინიკასა და სკრენტონის (აშშ) უნივერსიტეტის მოზეს ტეილორის ჰოსპიტალს შორის. ამ ორ კლინიკას დიდი ხანი არ არის, რაც პარტნიორული თანამშრომლობა აკავშირებს და პირველი „ტელეშეხვედრა“ უფრო ურთიერთგაცნობის მიზანს ისახავდა. ამ პროექტთან დაკავშირებით სკრენტონს გაემგზავრნენ ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი ოთარ ვასაძე და მისი მოადგილე ოთარ გერმეზავა. მათ იქ ჩაიტანეს საჭირო ინფორმაცია და ადგილზე უზრუნველყვეს ტელეხიდის მოწყობა.

18 საათისთვის მონიტორზე ოთარ ვასაძე, ოთარ გერმეზავა და სკრენტონელი პარტნიორები გამოჩნდნენ. იყო მისალმება, მოკითხვა, მადლიერების სიტყვები. გაღმიდან ოთარ ვასაძისა — გამოღმიდან ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მარინა ღუდუშაურისა.

ჩვენსკენ ხანდახან ხმა იკარგება, შრიალი ისმის, გამოსახულება კი კარგია.

— არა უშავს, ეს პირველი მცდელობაა, ტექნიკური ხარვეზები თანდათან გამოსწორდება და ტელეკონფერენციებიც შედგება, ტელეკონსულტაციებიც, — გაისმა ოკეანისგაღმიდან.

თანდათან „დაშოშმინდა“ ეთერი. „იქით“ კარგად ესმით. ქალბატონი მარინა ღუდუშაური სთხოვს ოთარ ვასაძეს, რომ ღუდუშაურელთა მოკითხვა და სამადლობელი სიტყვები გადასცეს მათ პარტნიორსა და მეგობარს, სკრენტონის უნივერსიტეტის პროფესორს, მოზეს ტეილორის კლინიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს დენ ვესტს და ამასთან, ამცნოს კლინიკის ფინანსური პრობლემების შესახებაც. სთხოვს, რომ პრობლემის მოსაგვარებლად მხარში დაუდგნენ სხვა პარტნიორი უნი-

ვერსიტეტების პრეზიდენტებიც, რათა მათ სათანადო მომართვა გამოუგზავნონ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ახალ მინისტრს, ახალ მთავრობას კლინიკის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

სანამ ჟურნალისტებმა ქალბატონი მარინა ღუდუშაური დავიმარტოხელეთ, ტელეხიდი მიმდინარეობდა. ცენტრში შესრულებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციას კლინიკის სამედიცინო დირექტორი გელა არაბიძე გადასცემდა.

— ჩვენ მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან უდიდეს სამედიცინო კლინიკებთან და შვედეთის საუნივერსიტეტო კლინიკასთან. ვმუშაობთ საერთო პროგრამებზე, ვცვლით სპეციალისტებს და სხვ. უცხოელ კოლეგებს კარგად ესმით, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული ამ მასშტაბის კლინიკის გახსნა ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. განუზომელია ჩვენთვის მათი დახმარება. შვედეთის უნივერსიტეტთან მენეჯმენტის პროგრამას ვამუშავებთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მმართველი გუნდი, როგორი უნდა იყოს მისი ახალი მოდელი, რასაც ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მოზეს ტეილორის ჰოსპიტალი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სტაციონარია აშშ-ში. ის ჩვენი ცენტრის ანალოგიური სიმძლავრის მრავალპროფილიანი კლინიკაა, ისიც 200 საწოლზეა გათვლილი. ჩვენ ესტუმრობდით და მოვიხიბლეთ. სხვათა შორის, როცა ისინი ჩამოვიდნენ, ჩვენი ცენტრის დათვალიერებისას აღფრთოვანება ვერ დამალეს.

რაც შეეხება ტელეხიდის გამართვას, ეს ჩვენი საერთო ინიციატივა იყო. დღეს პირველი ნაბიჯი გადაიდგა და შემდგომში, თვეში ან ორ თვეში ერთხელ გაიმართება. გავცვლით ინფორმაციას, მოლაპარაკების თანახმად საჭირო კონსულტაციისთვის მოზოლოგიების მიხედვით შევარჩევთ პაციენტებს, ამასთან, ეს ჩვენი მედპერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასაც შეუწყობს ხელს.

ტელეხიდი გრძელდება, მონიტორზე სლაიდი სლაიდს ენაცვლებოდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა კონტაქტებისა და თანამშრომლობის გაფართოებისათვის.

ბელა დურგლიშვილი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

„პირველი ნაბიჯი შერიგებისკენ ჩვენ, ქართველებმა უნდა გადავდგათ“

სასწაულები პოლიტიკაში არ ხდება. ცხადია, რუსეთი აფხაზეთის კიდევ კარგა ხნით შენარჩუნებას შეეცდება. თუმცა, დიდი ხანია ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ აფხაზეთის გაყინულ კონფლიქტს, დღეს რუსეთისთვის არანაირი პოლიტიკური რესურსი არ გააჩნია. ამ კონფლიქტიდან ეკონომიკური მოგების სურვილი და იმედი კი რუსეთს ნამდვილად აქვს. აფხაზეთში ოქტომბერში დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები და რუსეთში მარტის საპრეზიდენტო არჩევნები, ალბათ, ბევრ კითხვაზე პასუხს გასცემს. არ არის გამორიცხული, სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლებამ პრეზიდენტი ვადამდე აირჩიოს. ვლადისლავ არძინბას ოპოზიცია „ამცახარა“, რომელიც კრემლიდან იმართება, ამაზე მინიშნებას ხშირად აკეთებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ სოხუმის ახალი ხელისუფლება საქართველოს მიმართ ლოიალურ პოზიციას დაიკავებს.

როგორც ჩანს, სოხუმის ხელისუფლებამ კარგად მოისმინა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სერიოზული პოლიტიკური განცხადება: იგი ყველა ძალას გამოიყენებს, რათა აფხაზეთში საქართველოს იურისდიქცია უსისხლოდ, პოლიტიკური გზით აღსდგეს. ასევე, კარგად გათვალეს მისი ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში. ფაქტია, რომ აფხაზების ინიციატივით, ჟენევის ფორმატით ქართულ-აფხაზური შეხვედრები განახლდა. თბილისში გამართული ეს შეხვედრა, რომელიც საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰეიდი ტალიავინისა და გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის ხელმძღვანელობით გაიმართა, მხარეებს შორის უსაფრთხოების გარანტიების შექმნას შეეხებოდა.

აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების ერთი ნაწილის, განსაკუთრებით ახალგაზრდების მოთხოვნაა საქართველოს პარლამენტში ახალი ძალები მოვიდნენ, ანუ ისინი აფხაზეთში ადრე არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტას და ახალ არჩევნებს ითხოვენ. ექსპერტების აზრით, სამართლებრივად და პოლიტიკურად აფხაზეთის უმაღლესი საბჭო (აღმასრულებელი სისტემა) და პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაცია არის აფხაზეთში ომამდე და ომის პერიოდში ფორმირებული ხელისუფლების მემკვიდრე, მისი უწყვეტობის დასტური და სიმბოლო. ამიტომაც მათი უფლებამოსილება წლების განმავლობაში შენარჩუნებულია. სხვათა შორის, საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციის, აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების უფლებამოსილების შეწყვეტით, სოხუმის ხელისუფლებაც დიდად არის დაინტერესებული. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ვახტანგ ყოლბაიამ გუშინ კომისიის ინიციატივით პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თუკი აფხაზეთის დეპუტაციის უფლებამოსილება შეწყდება, მაშინ აფხაზეთის დაბრუნებამდე საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციისთვის განკუთვნილი ადგილები ცარიელი უნდა დარჩეს.

პრესკონფერენციაზე ისაუბრეს ამას წინათ ლიკანში გამართული „მრგვალი მაგიდის“ შესახებ, რომელიც ბრიტანულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „შერიგების რესურსებმა“ მოაწყო („შერიგების რესურსების“ კოორდინატორი საქართველოში პაატა ზაქარეიშვილია).

ითქვა, რომ „მრგვალი მაგიდის“ დისკუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი იმ პოლიტიკური კრიზისის დაძლევის გზების ძიებას მიეძღვნა, რამაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ლეგიტიმურობის ეჭვქვეშ დაყენებამ გამოიწვია. ამ საკითხზე დისკუსიები კვლავაც გაგრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, დევნილობაში არჩევნების ჩატარება წყალს სოხუმის ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს.

საინტერესოა, ვის წისქვილზე ასხამს წყალს აფხაზეთის უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენები? მოგეხსენებათ, აფხაზეთის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების ერთი ნაწილი კატეგორიულად მოითხოვს უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ოთარ ჟორდანიას თანამდებობიდან გადადგომას. ვარაუდობენ, რომ ამ აქციების უკან გარკვეული პოლიტიკური ძალები დგანან. არც იმას გამორიცხავენ, რომ შესაძლოა აფხაზეთის უნივერსიტეტში მიმდინარე კონფლიქტი აფხაზეთის ხელისუფლების სტრუქტურებსა და უნივერსიტეტს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

მზია გელენავა.

ხელისუფლება ოპოზიციასთან კომპრომისზე მიდის

ახალი ხელისუფლება მზადაა, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით ოპოზიციასთან გარკვეულ კომპრომისებზეც წავიდეს.

„იმისათვის, რომ ოპოზიციას ეჭვი არ გაუჩნდეს არჩევნების ჩატარების სამართლიანობასთან დაკავშირებით, ჩვენ მზად ვართ გარკვეულ დათმობებზე წავიდეთ“, — აცხადებს მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც გუშინ ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას და უშიშროების საბჭოს მდივანს ვანო მერაბიშვილს შეხვდა.

მაჭავარიანის თქმით, მიმდინარეობს კონსულტაციები „ტრადიციონალისტებთან“ და „სოციალისტებთან“ და იმედს გამოთქვამს, რომ კონსენსუსის მიღწევა აუცილებლად მოხერხდება.

ვინც ატესტაციას გაივლის...

თბილისის მერი ვანო ზოდელავა უახლოეს მომავალში დედაქალაქის მთავრობაში გარკვეული სამსახურების გაუქმებას და კადრების შემცირებას ვარაუდობს.

მისი თქმით, რიგი სამსახურები გაუქმდება, რის ხარჯზეც სხვა სამსახურები გამსხვილდება, თანამდებობებს კი ის თანამშრომლები შეინარჩუნებენ, რომლებიც ატესტაციას გაივლიან.

ამასთან, მისი თქმით, ატესტაცია შეეხება არა მარტო მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს, არამედ საქალაქო სამსახურებისა და საკრებულოს წევრებსაც.

ატესტაციასთან დაკავშირებულ საკითხებს მერია იუსტიციის სამინისტროსთან ერთად დაამუშავებს.

კონფერენციას თბილისი უმასპინძლებს

თბილისში დღეს სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ანტინარკოტიკული პროგრამის სამეთვალყურეო კომიტეტის კონფერენცია გაიმართება.

როგორც „ინტერ-პრესს“ საქართველოში გაეროს სპეცწარმომადგენლის ოფისში განუცხადეს, კონფერენციაში სომხეთის, აზერბაიჯანისა და ევროკავშირის დელეგაციები მიიღებენ მონაწილეობას.

ფორუმზე ანტინარკოტიკული პროგრამის ფარგლებში შარშან გაწეული მუშაობის ანგარიშს განიხილავენ და 2004 წლის სამოქმედო გეგმებს დასახავენ.

თუ ელექტროენერგია მომჭირნედ არ ვხარჯეთ...

„საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ენერგოსექტორისათვის გამოყოფილი 12 მილიონი ევროდან მისთვის კუთვნილ 7,2 მილიონ ევროს ელექტროენერგიის იმპორტისთვის დახარჯავს.

როგორც „ინტერპრესს“ კომპანიაში განუცხადეს, თუ ელექტროენერგიის იმპორტი ამჟამინდელ რეჟიმში განხორციელდება, იმპორტისთვის განკუთვნილი თანხა 14 მარტს ამოიწურება. „საქართველოს მთავრობას კომპანიის მიმართ გარკვეული ვალდებულებები გააჩნია, გერმანულ კრედიტს აღნიშნული ვალდებულებების ფარგლებში ენერგოკომპანიის ნაცვლად მთავრობა გადაიხდის,“— განაცხადა კომპანიის ახალმა გენერალურმა დირექტორმა დინ უაითმა.

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას გერმანული კრედიტის ფარგლებში რუსეთიდან 130 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგია საბითუმო ბაზრისთვისაც შემოაქვს. ამის სანაცვლოდ, ბაზარი, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას, რომ კომპანიას იმპორტირებული ელექტროენერგიის ღირებულება ბაზრისადმი არსებულ დავალიანებაში გაუქვითოს.

გერმანული კრედიტიდან დარჩენილ თანხას — 4,8 მილიონ ევროს კომპანია „თელასი“ აითვისებს. სავარაუდოდ, ეს თანხაც ელექტროენერგიის იმპორტისთვის დაიხარჯება.

ღმერთმა დაგვიფაროს წყალდიდობისგან. თორემ...

წყალდიდობის შემთხვევაში ქალაქ თელავს წალეკვა ემუქრება. ნატანდამჭერი ნაგებობები, რომელიც თელავის ხევის სათავეში 22 წლის წინათ მომხდარი წყალდიდობის შემდეგ აიგო, ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან არ გაწმენდილა.

100 მეტრის სიგრძისა და 16 მეტრი სიმაღლის დამბებში 100 ათასობით კუბმეტრი ქვა-ღორღია დაგროვებული.



ხევის კალაპოტი წლების განმავლობაში 5 მეტრით ამაღლდა და დამბას საძირკველი თითქმის შემოეცალა. ადვილი შესაძლებელია, ერთმა წყალდიდობამაც კი წააქციოს ისინი, რასაც შედეგად თელავის წალეკვა მოჰყვება. ასეთივე საშიშროება ემუქრება სოფლებს გულგულას, ვარდისუბანს და კურდღელაურს.

ქვა-ღორღით ავსებული ხევი საფრთხეს უქმნის სასმელი წყლის სათავე-ნაგებობასაც. მისი დანგრევის შემთხვევაში თელავის მოსახლეობა სასმელი წყლის გარეშე დარჩება.

რაიონის გამგეობა აპირებს, თხოვნით მიმართოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რომ პირველი ეტაპის სარემონტო სამუშაოებისთვის 200-300 ათასი ლარი გამოყოს, შემდეგ კი ხევის ქვა-ღორღისგან გაწმენდისა და ქვასამტვრევი საწარმოს მოწყობის მიზნით კონკურსი გამოაცხადოს და შეღა- [illegible]

ინფორმაციები მომზადდა ინტერ-პრესში.

პოზიცია

შეცდომები, რომლებიც დავუშვით, რომლებმაც დაგვაკარგვინა აფხაზეთი

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს წინა ხელისუფლების საბედისწერო შეცდომებს, რომლის შედეგადაც ათ წელზე მეტია ლტოლვილებად და დევნილებად ვიმყოფებით საკუთარ სამშობლოში.

ხშირად მეკითხებიან, აფხაზეთის ომი ფატალურად გარდაუვალი იყო თუ შეიძლებოდა მისი თავიდან აცილებაო? აფხაზეთის ომის გარდაუვალობა არ არსებობდა, ამ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა! ის კი არა, დაწყებული ომის შეწყვეტის მრავალი უტყუარი წინაპირობა არსებობდა (ეს არავისთვის ახალი ამბავი არ არის), ხელისუფლებას თავის დროზე რომ გაეთვალისწინებინა და მიეღო შორსმჭვრეტელი, ბრძნული და არა დანაშაულებრივი დადგენილებები, რომელზეც ქვემოთ მექნება საუბარი.

ჩვენი უბედურება ე. წ. ლიხნის წერილზე ბორის ადლეიბას ხელმოწერით არ დაწყებულა, არამედ — მისი თანამდებობიდან განთავისუფლებით. პირადად მე დარწმუნებული ვარ და ამის თაობაზე ბევრჯერ მითქვამს ომის დაწყებისას და ვამბობ დღესაც: ეს მაღალი ზნეობის კაცი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირი ბორის ადლეიბა თანამდებობიდან რომ არ მოეხსნათ, ის დღესაც ცოცხალი იქნებოდა, ჩვენ კი — ჩვენს სახლებში. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არავითარ შემთხვევაში ის არ დაუშვებდა 1989 წლის შეტაკებას აფხაზებსა და ქარ- [illegible] დარწმუნებული ვარ, იმხანად

აფხაზეთში მაღალ თანამდებობებზე რომ ყოფილიყვნენ ბატონი ვალერიან კობახია და სხვა საღად მოაზროვნე აფხაზები, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ ომის გაჩაღებას.

არანაკლებ საბედისწერო შეცდომა დაუშვა საქართველოს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ თანამდებობაზე ავანტიურისტ ვ. არძინბას დანიშვნით და აპარტეიდული საარჩევნო კანონის დამტკიცებით, რომლის შედეგმაც, როგორც იტყვიან, არ დააყოვნა და ბუმერანგივით დაგვიბრუნდა.

თავის დროზე ჩვენ შეტყობინებებს ვაგზავნიდით ზემდგომ სათანადო ორგანოებში, თუ როგორ ვითარდებოდა აფხაზეთში მოვლენები. სოხუმში „სლავური სახლის“ დაფუძნების შედეგად მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური სპექტრი მთელ ტერიტორიაზე აფხაზებსა და ქართველებს შორის. სამწუხაროდ, ცენტრში, ამაზე არავითარი რეაგირება არ ყოფილა.

„სლავური სახლის“ გადაწყვეტილებით, ტყვარჩელში, მეშახტეთა დასახლების ჩათვლით, მოქმედებდა მათი წარმომადგენლობის ე. წ. „იაჩეიკები“ და მათ მიმხრობილი სომხური სეპარატისტული ორგანიზაცია „კრუნკი“, რუსეთის სპეცსამსახურების აგენტების იური შტუკინის, ვალოდია უსანოვის და სხვების ერთობლივი ქსელი ჩვენს საწინააღმდეგოდ. ომის წინა პერიოდში ისინი დაუფარავად აქეზებდნენ, აგულიანებდნენ, აბოროტებდნენ აფხაზებს, ხოლო სხვა ეროვ- [illegible]

პოლიგონზე, ცნობილი დამნაშავე ანცუპოვის ხელმძღვანელობით, რომელმაც ქალაქში სამხედრო გადატრიალება მოახდინა.

ყოველივე ამის თაობაზე ჩვენ ვატყობინებდით საქართველოს სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელობას, რათა ქმედითი რეაგირება მოეხდინა.

ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ვთხოვდით ჩამოსულიყო აფხაზეთში და შეხვედროდა აფხაზი ერის საღად მოაზროვნე პიროვნებებს, ეწარმოებინა მათთან დიალოგი, თუნდაც იმ ავადსახსენებელ არძინბასთან. დასანანია, რომ გათვალისწინებული არ იქნა აფხაზი კაცის დღემდე შემორჩენილი, სხვებისგან განსხვავებული უფროს-უმცროსობის გრძნობის ფაქტორი. დარწმუნებული ვარ, მათთან ხშირად შეხვედრა და მოლაპარაკება რომ ყოფილიყო, ყველაფერი სულ სხვა შედეგით დამთავრდებოდა...

გარდა ამისა, რატომ არ აღიკვეთა ხელისუფლების, კერძოდ, ე. შევარდნაძის მიერ, კიტოვანისა და იოსელიანის ვოიაჟი „წითელ ხიდთან“. თუ საჭირო იყო, ეს რატომ არ გაკეთდა „გუმისთის ხიდთან“? ამ უაზრო სტრატეგიას რაც მოჰყვა, ყველასათვის გასაგებია. ჯერ სოხუმის სხვადასხვა დანიშნულების სტრატეგიული საბაზისო საწყობების დაცარიელება და ტრანსპორტის გაზიდვა მოწინააღმდეგის მიერ და აფხაზეთის ომი...

შეცდომა იყო დაწყებული ომის უტყუარი შეწყვეტის შესაძლებლობების დაუნახაობა, ამ მომენტის უგულებელყოფა.

როგორც ბევრი ტყვარჩელელისათვის ცნობილია, 1992 წლის 5 სექტემბერს ქ. ტყვარჩელში სათაო ადმინისტრაციის საგანგებო შტაბის უფ- [illegible] საფუძველზე აფხაზებისგან გამოიყო 5-კაციანი ჯგუფი (მათ გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ) გენერალ ყურაშვილთან შესახვედრად. ჯგუფი იმავე დღეს შეხვდა გენერალ გუჯარ ყურაშვილს. დაბრუნებისას მათ განაცხადეს, რომ ორივე მხარემ ომის შეწყვეტის სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია. გ. ყურაშვილი შეთანხმების ოფიციალურად გაფორმებას და უახლოეს პერიოდში ჩამოსვლას დაგვპირდაო. ქალაქში ელვის სისწრაფით დაიწყო სამზადისი ყურაშვილის ჯარის ღირსეულად შესახვედრად. ადმინისტრაციის შენობის ფლაგშტოკიდან „მოხსნეს „აიდგილარას“ დროშა, ხოლო მის ადგილზე აღმართეს საქართველოს ეროვნული დროშა. განაღმეს ქალაქში შემოსასვლელ სარკინიგზო და საავტომობილო ხიდებზე ს. გუფთან ჩადებული ნაღმები, გაიყვანეს ხიდებზე მდგომი 25 ტონა ამონალით დატვირთული ორი ავტომანქანა „კრაზი“. ეს 25 ტონა ამონალი ხის ყუთებით რესტორან „ლაშკენდარის“ წინ ხევში გადაყარეს. დარწმუნებული ვარ, ეს ნივთმტკიცება ქალაქის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ნახა.

ამ ამბის გაგონება და დანახვა ხალხს უზომოდ უხაროდა. ისინი 5 დღის განმავლობაში ელოდნენ გენერალ ყურაშვილის მოსვლას ჯართან ერთად.

ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, ეს შეხვედრა ვერ შედგა ჩვენ- [illegible] ვინაიდან კარგად ვიცოდით ტყვარჩელის როლი ამ ომში...

და ერთი ბოლო შეცდომა. ზღვიდან, ჰაერიდან, მთიდან გვბომბავდნენ რუსეთის რეგულარული საჯარისო ნაწილები გენერლების ჩინგაროვის, სიგულოვინის მეთაურობით, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ კოლესნიკოვის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით. კილესნიკოვი საჯაროდ გვემუქრებოდა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სხდომის დარბაზიდან, ხვალ სოხუმი აფხაზებისა იქნებაო. არც ეს და არც მფრინავის მაიორ შიპკოს ჩამოგდება, სხვადასხვა ვიდეო ნივთმტკიცებები, სათანადოდ არ იქნა გამოყენებული, ისინი ვერ მივაწოდეთ მსოფლიოს თანამეგობრობას, ასეთი ბოლო შანსი ხელისუფლებამ ხელიდან გაუშვა.

არადა, ხელისუფლებას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა ამ ომის შესაჩერებლად. თავიდანვე თქმულიყო სიმართლე ომის შესახებ: ვინ გვბომბავდა, ვინ გვეომებოდა. ეს რომ დროზე გაკეთებულიყო (როგორც ისრაელმა გააკეთა) ქვეყნის პირველი პირის, ბატონ ე. შევარდნაძის მიერ, აფხაზეთი არ დაეცემოდა და, რა თქმა უნდა, ამ მასშტაბის მსხვერპლიც არ გვექნებოდა...

აფხაზეთში შექმნილი ვითარების მოწესრიგებაზე დროზე და გონივრულად რომ ემუშავათ ჩვენს სპეცსამსახურებსა და ქვეყნის პირველ პირებს, ომი აფხაზეთში გარდაუვალი არ იყო...

ღმერთმა გაამთლიანოს ქართველი ერი და სრულიად საქართველო!

[illegible]

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ავსა კაცსა ავი სიტყვა...

(პირველი გვერდიდან)

აპატიეს მელასაო, მოუმატა კბენასაო...
ანუ „კო(შ)კასა“ შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების

ნებისმიერი პროფესიონალი გეტყვით, რომ ოფიციალური დოკუმენტებით გაზეთის გვერდების გავსება „კლავს“ ნებისმიერ პერიოდულ გამოცემას. უსახსრობას რა ვუთხრათ, თორემ ამ მასალების გამოსაქვეყნებლად ფეხებში არავის ჩავვარდნილვართ, მაგრამ სჭირდებოდა სახელმწიფოს. ჩვენ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, ვიყოთ ქართული სახელმწიფოებრიობის შენების ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც ინფორმაციულად უზრუნველყოფს მისი პოლიტიკის განხორციელებას.

არ სურს ეს ხელისუფლებას? მისი საქმეა, ჩვენ ჩოხის კალთებს არ დავახევთ. თუმცა არ ვართ დარწმუნებული, რომ მხარდამჭერის უგულებელყოფა, როგორც ერთხელ უკვე ვთქვით, „ლიანდაგების აყრა“, სწორი ტაქტიკის ზეიმი იყოს.

ზეიმისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გაგვიხარდა, რომ ჩვენდა უნებურად სახელმწიფო სახსრების შევსების წყარო გავმხდარვართ იმ რაოდენობის თანხით, რომელიც ჩვენთვის უნდა მოეცათ და აღარ მოგვცემენ მიმდინარე წლის ბიუჯეტით, რომელიც ჯერ არ განუხილავთ...

ნუ ეძებთ ამ აბზაცში ლოგიკას, რადგან არ არის. სამაგიეროდ, არის... ჩვენი სიხარულის საგანი და მიზეზი.

გაგვიხარდა იმიტომაც, რომ, ალბათ, სხვებს მისცემენ. უფრორე ისიც, რომ მილიონ ლარზე მეტი, რომელიც სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურისთვის იყო და არის ჩადებული ბიუჯეტის პროექტში, მშვიდობაში მოხმარდება ტენდერის გაუქმების ორგანიზატორებს.

დიდი მადლობა, აგრეთვე, სახელმწიფო ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამას, რომელმაც გული არ დაგვწყვიტა და სხვა არხზე გადაცემული სიუჟეტი, რომელიც სახსრების ეკონომიურად ხარჯვის საეტაპო გამარჯვებას ეხებოდა, სიხარულით გაიმეორა.

მაინც რა რაოდენობის თანხა მიიღო ჩვენმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში?

2001 წელს — 170 ათასი ლარი,
2002 წელს — 90 ათასი ლარი,
2003 წელს — 157 ათასი ლარი.

რა თანხა სჭირდება წელიწადში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ მხოლოდ სტამბის ხარჯების გასასტუმრებლად? — 210 600 ლარი.

რა თანხა სჭირდებოდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ მომუშავე ჟურნალისტების ხელფასსა და ჰონორარს? — 276 ათასი ლარი, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე შესაბამისად, 170, 90 და 157 ათასი, ე.ი. მიღებული თანხით ყოველ წელს ხელფასების მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურება იყო შესაძლებელი.

ახლა თქვას ვინმემ, არის არამიზნობრივად ხარჯვა სახელმწიფო დოკუმენტების გაზეთში ბეჭდვისთვის ტენდერით მიღებული თანხით იმ ადამიანების შრომის ანაზღაურება, ვინც ამ გაზეთს აკეთებს? ანუ ჟურნალისტებისთვის ხელფასის გასაცემად გამოყენება?

ბრძანეთ, ჩვენ მოგისმენთ, მაგრამ პასუხსაც შეგკადრებთ, ისეთს, როგორიც არის რეალობა, ანუ მართალს გეტყვით.

ჭორის და ცილისწამების ამგორებელზე საუბარს კი ახლავე განვაგრძობთ.

ნაქარალი ჭიანი ვაშლი გაგორდა და სოცუზრუნველყოფის რაიგანყოფილებაში შეგორდა:
— ინვალიდობის მოწმობა მომეცით.
— რა გჭირს საინვალიდო?
— ხელ-ფეხი არა მაქვსო.
არ დაუჯერეს, არც მისცეს.

ჩვენც ეჭვი გვეპარება, აზროვნების ინვალიდის მიერ აგორებულ ჭორსა და ცილისწამებას იჯერებდეს ვინმე. მაგრამ, რა ვიცით, ხალხნი ვართ...

ახლა კი მივადექით პირველსათქმელს.

აღიჭურვეთ მოთმინებით და წაიკითხეთ.

„სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა...“

ნაცოდვილარი „საგანგებო გამოშვების“ ლოგოს გასწვრივ ლეილა კოშკაძეს ილია ჭავჭავაძეც „შეუწუხებია“ — მისი ნააზრევი დაუბეჭდავს.

ჩვენც სულმნათი ილიას სიტყვებით გვინდა ვთქვათ: „სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ტყუილი და სად — სიმართლე?“

და, უწინარესად, სწორედ იმისთვის, რომ ვაჩვენოთ, „სად“ კი არა, პრაქტიკულად ყველგან რომ ტყუის სიცრუის დიდოსტატი კოშკაძე, ვაქვეყნებთ წერილების ამ ციკლს.

თან ერთი ჭკვიანი კაცის რჩევაც გავითვალისწინეთ, კაცისა, რომელმაც კარგად იცის ჩვენს რედაქციაში არსებული სიტუაცია და მტყუან-მართალი, — უპასუხოდ ნუ დატოვებთ, თორემ საქმეში ჩაუხედავს მისი ნაწერი მართალი ეგონებაო.

მაშ, მივყვეთ კოშკაძისეულ „სიმართლეებს“.

„1995 წელს „საქართველოს რესპუბლიკის“ ხელმძღვანელებმა განგაში ატეხეს, რომ გაზეთი იძირებოდა“, — ასე იწყებს იგი „სპეცგამოშვების“ პირველ მასალას.

იქნებ, მართლაც, არ უნდა აგვეტეხა განგაში?

შემოგთავაზებთ მოკლე რეტროსპექტივას.

იმ პერიოდში, როცა დამოუკიდებელ საქართველოს ყოვლისმომცველი კრიზისის მარწუხმა წაუჭირა, გაზეთის საქმეც უარესობისკენ წავიდა.

ამჟამინდელი გამომცემლობა „სამშობლო“, რომელიც განკარგავდა გაზეთის მთელ შემოსავალს, სანაცვლოდ კი უნდა უზრუნველეყო „საქართველოს რესპუბლიკის“ დაუბრკოლებლად გამოცემა და რედაქციის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, გასაგები მიზეზებით შექმნილი სიძნელეების შედეგად, ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, „საქართველოს რესპუბლიკა“ საჭირო ტირაჟით ვერ იბეჭდებოდა და ხელმომწერებს ვერ ურიგდებოდა. ამის გამო 1994 წლის მეორე ნახევრისთვის გაზეთზე ხელმოწერაც ვერ გამოცხადდა. დაიკარგა ათობით ათასი ხელმომწერი და, აქედან გამომდინარე, შემოსავალიც. ტირაჟი 800-1000 ეგზემპლარამდე დაეცა.

მალე ეს მიზერულტირაჟიანი ყოველდღიურობაც სანატრელი გახდა: გაზეთი კვირაში მხოლოდ სამჯერ გამოდიოდა და ისიც... მუყაოს მსგავს უხეშ ქაღალდზე.

მდგომარეობა კატასტროფული იყო. რედაქციის ცალკეული წამყვანი თანამშრომლები უკვე სხვაგან ეძებდნენ სამუშაოს.

და სწორედ ამგვარ სიტუაციაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც დახმარების სურვილი და მზადყოფნა გამოთქვეს და კიდეც უშველეს რედაქციას.

კოშკაძეს კი ეს ქველმოქმედება დანაშაულად მიაჩნია: **„იმავე წლის 22 მარტს შპს „საქართველოს რესპუბლიკის“ დასაფუძნებლად და საწესდებო კაპიტალის შესაქმნელად რედაქციის 50 თანამშრომელს 1000 აშშ დოლარი „აჩუქეს“... იმავდროულად გულკეთილი ბიზნესმენების სახსრებით შეიქმნა შპს „პრესა“... ამ ორ შპს-ს შორის დაიდო ხელშეკრულება“...**

უნდა განვმარტოთ, რომ ორი შპს-ს დაფუძნება და მათი ხელშეკრულებით დაკავშირება თავიდან არავის ჰქონია აზრად. განზრახული იყო ერთი სააქციო საზოგადოების დაფუძნება. შეიქმნა კიდეც სათანადო წესდების პროექტი, რომელიც მომავალმა დამფუძნებლებმა საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვეულ კრებაზე განიხილეს და დახვეწეს. ჩამოიწერა საზოგადოებაში გაერთიანების მსურველ აქციონერთა სიაც, რომელსაც, სხვათა შორის, თავად კოშკაძე დაატარებდა თვეზე მეტი ხნის მანძილზე საწესდებო კაპიტალში თითოეული ჩვენგანის წილის შესაბამისად შესატანი თანხის შესაგროვებლად.

არაფერი გამოვიდა. ფული ვერავინ გაიღო. უჭირდა ყველას.

დრო კი გადიოდა და რედაქციის მდგომარეობაც უფრო მძიმდებოდა. მაშინ გვირჩიეს მოწვეულმა დამფუძნებელ-დამფინანსებლებმა, — რაკი სააქციო საზოგადოება ვერ ყალიბდებოდა, შეგვექმნა ორი დამოუკიდებელი შპს — ერთი შპს „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელსაც რედაქციის 50 თანამშრომელი დააფუძნებდა, მეორე კი შპს „პრესა“, რომელსაც მოწვეული პარტნიორები და მათგან შერჩეული რედაქციის რამდენიმე წარმომადგენელი ჩამოაყალიბებდნენ.

ამ ორ შპს-ს შორის გაფორმდებოდა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც „საქართველოს რესპუბლიკა“ მოამზადებდა გაზეთს. მისი გამოცემისთვის საჭირო ყველა ხარჯს — სასტამბოს, სატრანსპორტოს, რედაქციის თანამშრომელთა ხელფასის, ჰონორარისა თუ მივლინებების და სამეურნეო საჭიროებების დასაფინანსებელ თანხებს — შპს „პრესა“ გასწევდა. ამ მიზნით გაზეთის მთელ შემოსავალსაც, ცხადია, „პრესა“ მიიღებდა და დანიშნულებისამებრ განკარგავდა.

და აი, სწორედ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული კოშკაძის კიდევ ერთი დემაგოგიური „სიმართლე“:

„ამ ორ შპს-ს შორის დაიდო ხელშეკრულება და გაზეთის მთელი შემოსავლები (რეკლამებისა და განცხადებების დაბეჭდვისთვის შემოსული თანხების ჩათვლით), სახელმწიფო სუბსიდიები (?!), პრეზიდენტის ფონდიდან და მსხვილი სახელმწიფო საწარმოებიდან გადმორიცხული თანხები შპს „პრესაში“ გადაიქაჩა... შპს „საქართველოს რესპუბლიკას“, რომელსაც ანგარიშზე ერთი თეთრიც არ დაუტოვეს, აეკრძალა სხვა ხელშეკრულებების დადება, სხვა კომერციული გარიგება“...

წაიკითხავს ამას საქმეში ჩაუხედავი ადამიანი და ნებისმიერ „წურბელა-კაპიტალისტზე“ უფრო მეტად სისხლისმწოვლად ჩათვლის შპს „პრესის“ დამფუძნებლებს უთუოდ.

უწინარესად ისა ვთქვათ, რომ არც ერთ **„მსხვილ სახელმწიფო საწარმოს“ ამ შპს-ში ფული არ გადმოურიცხავს.**

შემდეგ. ბუნებაში არ არსებობს ისეთი დამფუძნებელი თუ დამფინანსებელი, რომელიც ალტრუისტული მოსაზრებით წლების მანძილზე სრულად აანაზღაურებდა გაზეთის გამოცემისთვის საჭირო ხარჯებს, ყველაფერს გასცემდა და საკუთრივ არაფერს დაიტოვებდა. ვერც იარსებებს, რადგან ეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება. ხოლო ისეთ ავანტიურას, როგორსაც კოშკაძე და მისი ერთი თანამოაზრე, შპს „საქართველოს რესპუბლიკის“ ყოფილი დირექტორი მანჯგალაძე რედაქციას სთავაზობდნენ — სახელმწიფოს ფულს წავგლეჯთ და გავმდიდრდებითო, მხოლოდ მათნაირები დაუჭერდნენ მხარს.

არც აჰყვნენ ამ სისხლის სამართლის ნიშნების მატარებელ დაპირებას გაზეთის ჟურნალისტები.

დადგება დრო, და შესაბამის ადგილზე ამ მომენტს დეტალურად გავშიფრავთ.

ეს ერთი.

ახლა მეორე.

ეს ჩვენი, „კაპიტალისტური უტოპიის“ სენ სიმონი ცილისწამების საგანს იმ დონეზეც ვერ ფლობს, რომ გაარკვიოს, რა ურთიერთობა ჰქონდა რედაქციას სახელმწიფო კანცელარიასთან, რა არის სუბსიდია და რა — ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისთვის მიღებული ანაზღაურება.

იძულებული ვართ ამ მოსაწყენი პასაჟის გადმოცემით შევაწუხოთ მკითხველი.

1997 წლის 4 იანვარს, ერთი მხრივ, სახელმწიფო კანცელარიასა და პრეზიდენტის პრესსამსახურს და, მეორე მხრივ, „საქართველოს რესპუბლიკასა“ და შპს „პრესას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გაზეთი გამოაქვეყნებდა პრესსამსახურიდან მისთვის მიწოდებულ ოფიციალურ მასალებს, კანონებს, კანონქვემდებარე აქტებსა თუ ნორმატიულ დოკუმენტებს, შემკვეთი — სახელმწიფო კანცელარია და პრეზიდენტის პრესსამსახური — კი შეთანხმებული ტარიფების მიხედვით აანაზღაურებდა მათი პუბლიკაციის ღირებულებას.

გაზეთმა და „პრესამ“ პირნათლად შეასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, გამოაქვეყნეს გამოგზავნილი მასალები და საგადასახადო დეკლარაციებშიც ზუსტად ასახეს გაწეული მომსახურების ღირებულება (800 ათას ლარზე მეტი), რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი (225 ათასი ლარი) ანაზღაურდა (სხვათა შორის, შემკვეთი ამ დავალიანებას ოფიციალურად, ნომერდასმული და ხელმოწერილი დოკუმენტებით ადასტურებს), მაგრამ საგადასახადო ინსპექციამ ჩვენგან მიღებული კი არა, მიუღებელი (!), მაგრამ დეკლარაციაში ნაჩვენები თანხებიდან მოითხოვა ბიუჯეტის კუთვნილი წილი.

არ გაჭრა არავითარმა მტკიცებამ და თხოვნამ, რეზოლუციებმა უმაღლეს დონეზე, განხილვებმა და ა.შ. — საგადასახადო ინსპექციამ ბანკში შპს „პრესის“ ანგარიში დააყადაღა და ამგვარად წაიღო 240 ათასზე მეტი ლარი იმ თანხიდან, რომელიც იმავე სახელმწიფოს ჩვენთვის უნდა მოეცა, მაგრამ არ მოუცია.

შედეგად ეს შპს კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მით უფრო, რომ მისი ანგარიში კვლავ დაყადაღებული იყო, რაც გაზეთის გამოცემას უსერიოზულეს საფრთხეს უქმნიდა.

სწორედ ამის გათვალისწინებით გადაწყვიტეს დამფუძნებლებმა, გამოეცხადებინათ „პრესის“ ლიკვიდაცია, შეექმნათ შპს „პრესა-98“, რომელიც დაუბრკოლებლად გამოსცემდა გაზეთს და, პარალელურად, ძველი ფირმის კუთვნილი თანხების მისაღებადაც ეზრუნა.

საქმემ ყველა სასამართლო ინსტანცია (ამაზე გაზეთი ორჯერ ვრცლად წერდა — 1998 წლის ნოემბერსა და 1999 წლის ივნისში) მოიარა, მაგრამ...

არ იცოდა ამის შესახებ კოშკაძემ, რომ წერს, ფირმის ფინანსური შემოწმებით დადგინდა, რომ შპს „პრესა“ თურმე გაკოტრებულიაო?

იცოდა, მაგრამ...

მაგრამ სიმართლე რომ თქვა, რაღა ინტრიგანობა გამოვა?!

„მოგვიანებით გაირკვა, რომ შპს „პრესა“ ლიკვიდრებული არ არის“, — წერს კოშკაძე და ვხვდებით რატომაც წერს.

ნუთუ იურისტობაზე პრეტენზიის მქონე, უკაცრავად კია, ჟურნალისტმა არ უნდა იცოდეს, რომ დამფუძნებელთა მიერ ლიკვიდაციის პროცესის დაწყება ავტომატურად არ ნიშნავს ფირმის ლიკვიდაციას? არ იცის, რომ ამას ადგენს სასამართლო, თანაც მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიკვიდაციაგამოცხადებული შპს ყველა დებიტორულ თუ კრედიტორულ დავალიანებას გაისტუმრებს, უწინარესად კი, ბიუჯეტთან გაასწორებს ანგარიშს? ისიც არ გაუგია, რომ ლიკვიდაციის პროცესი ათწლეულობითაც შეიძლება გრძელდებოდეს?

„რედაქციას სხვა ხელშეკრულებების, სხვა კომერციული გარიგების დადება აეკრძალაო,“ — წერს კოშკაძე.

სიცრუეა! შპს „საქართველოს რესპუბლიკის“ წესდებაში ეწერა და წერია, რომ მას აქვს ნებისმიერი საქმიანობის გაწევის უფლება, რაც არსებული კანონმდებლობით არის ნებადართული! ხელშეკრულებაში კი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ, რაკი შპს „პრესა“ უზრუნველყოფდა გაზეთის გამოცემას და პასუხსაც აგებდა ამ საქმეზე, შპს „საქართველოს რესპუბლიკას“ მასთან შეუთანხმებლად არ უნდა გაეფორმებინა რაიმე ხელშეკრულება მესამე პირთან **გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით**. სხვა მხრივ კი მას ხელ-ფეხი მუდამ გახსნილი ჰქონდა.

სულ ეს არის.

ახლა წარმოიდგინეთ, კოშკაძისნაირი იურისტი სასამართლოში რომ მუშაობდეს, რა სამართალსაც იქმს.

„კალთაში მიჯდე, წვერს მაგლეჯდეო“

ეს ანდაზა, სწორედ რომ კოშკაძისა და რედაქციის თანამშრომლების ურთიერთობის დასახასიათებლად არის ზედგამოჭრილი.

ჯერ — ციტატა მისი „სპეცვიპუსკიდან“:

„შპს „საქართველოს რესპუბლიკასა“ და შპს „პრესას“ შორის 1995 წლის 5 ივნისს დადებულმა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებამ, როგორც ეს გასული სამი წლის ერთობლივმა მუშაობამ დაადასტურა, უაღრესად დადებითი შედეგი გამოიღო (?!)“, — მოჰყავს მას ამონარიდი შპს „საქართველოს რესპუბლიკასა“ და შპს „პრესა-98“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პრეამბულიდან და მთელს თავის ცინიზმს გაკვირვების ნიშანში ატევს — ტყუილიაო.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთი შარშანდელი 5 მარტის ნომერში წერდა, რომ კოშკაძეს **„შპს „საქართველოს რესპუბლიკისა“ და შპს „პრესის“ შექმნამდე ხელფასის სახით 3-4 ლარის ეკვივალენტი კუპონი ჰქონდა, შემდეგ კი, არა მისი დამსახურებისა და არც საერთოსარედაქციო მუშაობაში მისი მონაწილეობის შესატყვისად, მინიმუმ ორმოცდაათჯერ გაეზარდა შემოსავალი მხოლოდ ხელფასის სახით“.**

არ არის ეს „უაღრესად დადებითი შედეგი“?

ამორალურია, ადამიანს სიკეთე დაამადლო, ამიტომ აქ ჩვენ არაფერს ვიტყვით იმაზე, რა დაუჯდა რედაქციას კოშკაძის შვილისთვის სწავლის საფასურის გადახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ან თვითონ იგი და მისი შვილი როგორ მივიღეთ სამუშაოდ ჩვენს კოლექტივში.

ამორალურია, მაგრამ ვის ველაპარაკებით მორალზე?! ფუჭია ამის მცდელობაც კი, რადგან კოშკაძეს არა აქვს ის, რასაც დიდი ილია „პატარა ღმერთს“ უწოდებდა!

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 39.

(გაგრძელება იქნება).

დისკუსია

2003 წლის 28 ივნისს საქართველოში სამეცნიერო ხარისხების მინიჭების წესის შესახებ პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ახალ დებულებას მოაწერა ხელი, რომელიც მალე იმ რეალობის წინაშე დაგვაყენებს, რომ ქვეყანა ამაოდ იქნება მეცნიერების განვითარების მოლოდინში, ანუ დებულებაში გაჩნდა ისეთი ჩანაწერი, რამაც სადოქტორო დისერტაციების დაცვა ფანტაზიის კუთვნილება გახდა. ეს დებულება სეს-ის ვიწრო ჯგუფმა კულუარული წესით შეიმუშავა. მასში შემავალი საკითხები არც ერთ სხდომაზე, სადაც მსგავსი დოკუმენტები იხილებოდა, არ დაყენებულა.

საქართველოს მეცნიერებათა დოქტორები აღარ ეყოლება?

ამ ახალ დებულებაში გაჩნდა ჩანაწერები, რომელიც, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის სადოქტორო დისერტაციის დაცვების სისტემის არსებობას ეკონომიკაში და არა მარტო ეკონომიკაში, არამედ მეცნიერების მთელ რიგ დარგებში, რადგან ამ დებულების მიხედვით, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში არანაკლებ სამი სტატიისა უნდა იყოს გამოქვეყნებული. ეკონომიკური პროფილის ჟურნალები, რომელსაც იმპაქტ-ფაქტორი აქვს, თითქმის არ არის ის ჟურნალები, რომელიც ეხება ტრანზიტულ, გარდამავალი ეკონომიკის პრობლემებს. ეს კი იმით აიხსნება, რომ ამ თვალსაზრისით, ჟურნალები ახალია და მათი ისტორია მხოლოდ 10-12 წელიწადს მოიცავს.

სეს-ის ამ ფორმალურმა გადაწყვეტილებამ აჩვენა ასეთი რამ — შეიქმნა სავალალო სიტუაცია, რომ შენ თუ ქართველი, ან პოსტკომუნისტური სივრცის ეკონომისტი ხარ, უწინარეს ყოვლისა, ტრანზიტულ პრობლემებზე მუშაობ, სტატიები ამავე პროფილის ჟურნალებში ქვეყნდება. სხვა ჟურნალი ამ ტიპის სტატიას არ მიიღებს. რუსულენოვანი აკადემიური ჟურნალები, როგორიცაა: „Вопросы экономики, „Мировая экономика международных отношений“, „Экономика и математические методы“ არ არის მოხვედრილი იმპაქტ-ფაქტორში, რადგან 15-13 წლის წინ სოციალისტურ პრობლემებს ეძღვნებოდა, შემდეგ გადავიდნენ ტრანზიტულზე, ქართულენოვან ჟურნალებზე ხომ საუბარი ზედმეტია.

ახლა, რა მდგომარეობაა ქართველ ეკონომისტებში? სამწუხაროა, მაგრამ საკუთარ თავზე მიხდება საუბარი. პირადად, მივეკუთვნები იმ პიროვნებათა ჯგუფს, რომელსაც 20-ზე მეტი სტატია მაინც აქვს აშშ-ში, ინგლისში, გერმანიაში, თურქეთში, რუსეთში გამოქვეყნებული და როცა ენახე იმპაქტ-ფაქტორის სია, აღმოჩნდა, რომ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში 1996 წელს ერთი სტატია მაქვს გამოქვეყნებული და მეორე, ახლა 2003 წელს ქვეყნდება. აქედან გამომდინარე, ამ სტადარტებით დღეს საქართველოში არ იქნებოდა არც ერთი მეცნიერებათა დოქტორი.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობა შეიქმნა სადოქტორო დისერტაციის საბჭოსთან დაკავშირებით. დებულებაში ჩაიწერა ასეთი რამ: თუ საბჭოში ახალი წევრი უნდა შეიყვანო, მას, იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალში არანაკლებ ხუთი სტატიის გამოქვეყნება მოეთხოვება. გამოდის, რომ ასეთი არავინ გვყავს... ახლა წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობა იქმნება: ვინც გვყავს ძველი წევრი, ის საბჭოში დარჩება, მაგრამ დღეს რომ ვიღაცამ სადოქტორო დაიცვას და ხვალ საბჭო გაძლიეროს, ველარ მოხერხდება, რადგან, როგორც გითხარით, მოთხოვნა ასეთია, რომ იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში ხუთი სტატია უნდა გამოქვეყნდეს. როგორც მოგახსენეთ, მე, ჯერჯერობით, ერთადერთი ვარ, ვინც ასეთი ტიპის ჟურნალში მხოლოდ 2 სტატიის გამოქვეყნება მოახერხა, ანუ რა გამოვიდა? რომ გვეყოლებიან დოქტორები, რომელთაც თავიანთი სადოქტორო დისერტაციები სოციალისტურ პრობლემატიკაზე 60-70-80-იან წლებში აქვთ დაცული. ამის შემდგომ, მათ, ვისაც ტრანზიტულ პრობლემატიკაზე აქვს დისერტაცია დაცული, საბჭოში ვერ შევიყვანთ. ასე რომ, ეს არის დისერტაციების შეფასების ძალიან დიდი ნაბიჯი უკან, რაც ძალიან სავალალოა.

კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა — თუ როგორ გაჩნდა ეს ჩანაწერები. **მიუხედავად იმისა, რომ ვითვლებოდი სეს-ის პრეზიდიუმის წევრად და დარგობრივი სექციის თავმჯდომარედ, ეს საკითხები არც ერთ სხდომაზე, სადაც მსგავსი დოკუმენტები იხილებოდა, არ დაყენებულა. ყველაფერი ეს კულუარული წესით გაკეთდა, ჩუმად** (ხაზგასმა ჩვენია, ლ.პ.). მე ფაქტის წინაშე დავდექი, ისე, როგორც ნებისმიერი მკითხველი, რომელმაც საჯაროდ მიღებული აქტი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით გაიცნო. აქ უკვე დგება პრინციპული საკითხი: ძალიან ბევრმა ეკონომისტმა ჩათვალა, რომ ამაში მე მიმიძღვის წვლილი, თითქოს დაინტერესებული ვიყო, რომ ქვეყანაში დისერტაციების დაცვა შეწყდეს და მეცნიერებას ასეთი შეზღუდვა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნორმატიული დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობა არ მიმიღია, შეგნებულად არ გადავდგი ნაბიჯი მანამ, სანამ არ შედგებოდა ჩემი შეხვედრა სეს-ის თავმჯდომარესთან. ეს შეხვედრა შედგა და პირველი, რაც გავაკეთე, დავაფიქსირე ჩემი პოზიცია — თუ პრეზიდიუმის წევრი ვარ, რატომ არ უნდა ვიცოდე, რატომ ხდება გადაწყვეტილებების მიღება ზურგს უკან? თუ იმიტომ, რომ ვიღაცას რაღაცაში არ ვჭირდები და არ ვაწყობ, მაშინ ჩემი ადგილი არ არის არც პრეზიდიუმში და არც სეს-ში. ამავე დროს, ისიც ავუხსენი, რა პრობლემის წინაშე დგება მეცნიერება. პირადად, სეს-ის არც ერთი დებულება და არც ერთი ინსტრუქციული წერილი დარღვეული არ მაქვს. პრეზიდიუმის ძალიან ბევრ წევრს არ ჰქონდა წევრობის უფლება, რადგან არღვევდა სეს-ის დებულებას. როდესაც სეს-ის პრეზიდიუმის ვიწრო ჯგუფი ჩაკეტილი წესით იღებს გადაწყვეტილებას და მეცნიერების აზრს არ ითვალისწინებს, ეს ძალიან ცუდია. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება და დავტოვე განცხადება, რომ ამ დებულების მიღების შემდგომ ვეღარ დავრჩები პრეზიდიუმის წევრად და სექციის თავმჯდომარედ. და არა მარტო ეს, სეს-იდანაც გავდივარ.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იმპაქტ-ფაქტორი ყველა დარგს შეუქმნის პრობლემას. თუ ეკონომიკა ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორ ფიქრობთ, სამართალმცოდნეები, ფილოსოფოსები თუ ფსიქოლოგები სხვა მდგომარეობაში იქნება? ფიზიკოსებს და მათემატიკოსებს ეს პრობლემა ნაკლებად შეაწუხებთ, იქიდან გამომდინარე, რომ ამ მხრივ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები უფრო თავისუფალი არიან. თუმცა, რუსულ ინტერნეტ-საიტებზე დაფიქსირებულია, რომ სერიოზული პრობლემაა ქიმიაში შექმნილი. ბევრ ამ პროფილის ჟურნალებს იმპაქტ-ფაქტორი არ გააჩნია.

თუ სეს-ის ხელმძღვანელობა ასეთი კულუარული წესით გააგრძელებს მუშაობას, სასიკეთოს ვერაფერს მივაღწევთ. როგორც ჩანს, სეს-ში მეც ვიღაც-ვიღაცეებს ხელს ვუშლიდი. სეს-დან წამოსვლის გადაწყვეტილება იქიდან გამომდინარეც იქნა მიღებული, რომ ჩემს კოლეგებს ვერ ავუხსნიდი, თუ რატომ გააკეთა სეს-მა ის, რაც არ იყო გამართლებული და პირადად ჩემთვის, მიუღებლად ითვლებოდა.

ერთი რამ შემიძლია გითხრათ, პრეზიდენტის ბრძანებულებაში, რითაც მან დისერტაციების დაცვის დებულება დაამტკიცა, შესატანია ცვლილებები. ვიმედოვნებ, რომ ზეწოლა ყველა დარგიდან იქნება და სეს-ის დღევანდელი ხელმძღვანელობა მიხვდება, რომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა. მისი მუშაობის სტილი, ვფიქრობ, მცდარია და სასურველია მალე მიხვდნენ, რომ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. ამით მხოლოდ იმას გამოიწვევენ, რომ მათ მიმართ არსებული ისედაც ნეგატიური დამოკიდებულება უფრო გამწვავდება.

როცა სეს-ის პრეზიდიუმის პატარა ჯგუფი რაღაცას აკეთებს და პრეზიდიუმის სხვა წევრებს ამას არ აცნობს, კიდევ ვიმეორებ, ეს ჩემთვის მიუღებელია. **ვფიქრობ, სეს-ის დღევანდელ ხელმძღვანელობას ეყოფა სიბრძნე, მიხვდეს, რომ სერიოზული შეცდომები აქვს დაშვებული, არა მხოლოდ დებულების მომზადებაში.**

ვფიქრობ, თემა ბევრად უფრო ვრცელია, სცდება ეკონომიკური მეცნიერების პრობლემას. იგი ყველა დარგს ეხება და მიმაჩნია, რომ დარგის წარმომადგენლებმა რეაგირება ერთობლივად უნდა მოახდინონ.

ლადო პაპავა.

„თელასი“ დახმარებას ითხოვს

კომპანია „თელასი“ ძალოვან უწყებებს ქვესადგურებზე თავდასხმების აღკვეთაში დახმარებას სთხოვს.

როგორც „ინტერ-პრესს“ „თელასში“ განუცხადეს, რამდენიმე დღეა, თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში უკანონო შეზღუდვები ხორციელდება და დღეში 35-110 კვ-იანი ქვესადგურების გათიშვის რამდენიმე ათეული შემთხვევა ფიქსირდება.

„ამგვარი შეზღუდვები მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს, რაც შემდგომში უკანონო ქმედებებში იზრდება. აღელვებული ხალხი ქვესადგურების ტერიტორიებზე იჭრება, რითაც ხელყოფს კერძო საკუთრებას და სერიოზულ საფრთხეს უქმნის საკუთარ სიცოცხლეს. ხშირია ქვესადგურების დარბევისა და მომსახურე პერსონალის ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევებიც. ადგილზე მისული კომპანიის საკუთრების დაცვის მცირე ჯგუფი კი ასეთ შემთხვევებში უძლურია“, — განაცხადეს კომპანიაში.

შეცვლა კი არა, პრივატიზება

სს „მადნეულის“ მენეჯმენტი სავალუტო ფონდის მისიას ეთანხმება და საწარმოს პრივატიზაციის მომხრეა.

კომპანიაში აცხადებენ, რომ 16 თებერვალს გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელმა პაოლო ნეუჰაუსმა საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას „მადნეულის“ მენეჯმენტის შეცვლა მოითხოვა, სრული დეზინფორმაციაა.

„პაოლო ნეუჰაუსი მართლაც შეეხო სახელმწიფო საწარმოების საკითხს, მაგრამ მთავრობას არა მათი მენეჯმენტის შეცვლა, არამედ მათი დაუყოვნებლივი პრივატიზაციის რეკომენდაცია მისცა. გავრცელებული დეზინფორმაცია იმის დასტურია, რომ საქართველოს ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს არა „მადნეულის“ განვითარება, არამედ მისი მართვის ხელში ჩაგდება სურს“ — განაცხადეს „მადნეულში“ და დასძინეს, რომ სწორი გადაწყვეტილება, რომელიც საწარმოს არსებული კრიზისიდან გამოიყვანს, „მადნეულის“ პრივატიზება და მისთვის სერიოზული ინვესტორის მოძებნაა.

„ვინც ამ პროცესს შეეწინააღმდეგება, საწარმოს უკანონო ხერხებით მითვისების ინტერესს ღიად დააფიქსირებს“, — განაცხადეს კომპანიაში.

კატასტროფამდე სამი წელიღა რჩება?

მსოფლიო ბანკის ექსპერტთა შეფასებით, საქართველოს ენერგეტიკული სექტორი სავალალო და კატასტროფულ მდგომარეობაშია.

„საქართველოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე კატასტროფულ მდგომარეობაშია. კრიტიკული მდგომარეობა არ გამოსწორდება, თუ არ განხორციელდება დამატებითი ინვესტიციები. წინააღმდეგ შემთხვევაში ენერგეტიკას 2-3 წელიწადში სისტემური კატასტროფა ელის“, — ნათქვამია მსოფლიო ბანკის ექსპერტთა შეფასებაში.

უცხოელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია, ახალმა ხელისუფლებამ ენერგეტიკის სექტორში მომუშავე უცხოელებთან კოორდინირებულად იმოქმედოს, რათა სისტემის მდგომარეობა პროგნოზირებადი მაინც გახდეს.

ვალერი ჩხეიძის მიმართ პრეტენზიები არა აქვთ

ყოფილი თანამშრომლების მიერ კორუფციაში ბრალდებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის წინააღმდეგ უშიშროების საბჭოს არანაირი პრეტენზია არა აქვს.

როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, მას ამ ეტაპზე ვალერი ჩხეიძესთან არაფერი აქვს გასარკვევი, პირიქით კმაყოფილები არიან იმით, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ, ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს საზღვაო აკვატორიაში უცხოეთის გემები დააკავეს.

როგორც მერაბიშვილი აცხადებს, ზოგიერთი მათგანი ჯილდოზეც კი არის წარდგენილი.

ტელეკომპანია „ქუთაისს“ ემუქრებიან

ქუთაისის დამოუკიდებელმა ტელეკომპანია „ქუთაისმა“ გუშინ სააღმსრულებლო ბიუროდან დოკუმენტი მიიღო, რომლის მიხედვით, მას 9 471 აშშ დოლარის გადახდა ეკისრება. წინააღმდეგ შემთხვევაში სააღმსრულებლო ბიურო ტელეკომპანიის ქონებას საჯაროდ გაყიდის და მას შენობიდან გამოასახლებს.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

გარევაჭრობა

ვარკეთილში ყვავილების მოვაჭრეებმა „ვარდების რევოლუცია“ მოიგეს

როგორც ეხედავთ, ახალმა ხელისუფლებამ ახალი წესები და კანონები მოიტანა. ცვლილებები უამრავია, ვისთვის — მოსაწონი, ვისთვის — დასაწუნი. ერთ-ერთი ცვლილება გარემოვაჭრეებისგან დაცლილი ქალაქია. აკრძალვა ყველას ეხებოდა, მაგრამ ყველამ როდი იღო ყურად (გარემოვაჭრეებს უკვე ნაკლებად, მაგრამ მაინც ეხვდებით ქალაქში), ხალხი კმაყოფილია, გაძევებული მოვაჭრეები კი თვლიან, რომ ლუკმა-პურის შოვნის საშუალება წაართვეს. გარემოვაჭრეებისგან განთავისუფლდა ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაც, რომელიც მთლიანად დაფარული იყო სავაჭრო დახლებით.



ვარკეთილი თბილისის ძველ უბნებს არ მიეკუთვნება, მაგრამ მოსახლეობის რაოდენობა აქ საკმაოდ დიდია, მათი უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვამს ამ ცვლილებასთან დაკავშირებით. დღეისათვის განთავისუფლებულია ის ტერიტორია, სადაც არცთუ დიდი ხნის წინათ ყოველგვარ პროდუქტს შეხედებოდით პირდაპირ ქუჩაში, დახლზე გამოტანილს: პურს, ფუნთუშეულობას... ასე რომ, მეტროდან ამოსულს ორი ნაბიჯის გადადგმაც არ სჭირდებოდა, ისე შეეძლო სასურველი პროდუქტის შეძენა. იქვე გახსნილ სუპერმარკეტსა და მინიმარკეტებში კი მყიდველი იშვიათად თუ შევიდოდა. ამ დროისთვის მდგომარეობა შეცვლილია. დღეს ვერც მეშწვანილე „ბაჯის“ მოკრავთ თვალს გარეთ, ვერც კარტოფილს ან კომბოსტოს შეიძენთ. ამისთვის დღეს ვარკეთილის მოსახლეობას უკვე ბაზარში შესვლა უწევს.

სამაგიეროდ, მოვაჭრეებს უცვლელად უკავიათ ადგილი მეტრო „ვარკეთილის“ ჩასასვლელში — მათთვის, როგორც ჩანს, არც არავის აუკრძალავს ეს. როგორც უწინ, მიწისქვეშა გასასვლელი მთელ სიგრძეზე ათასი წვრილმანით არის მოფენილი. დახლებს შორის დატოვებულ ბილიკზე გავლა თითქმის შეუძლებელია. გარევაჭრობის აკრძალვის შემდეგ „მარენის“ ნაწილი შიდამოვაჭრეებს შეუერთდა. ამის შედეგად მეტროს მგზავრებს, სანამ სალაროზე მიაღწევენ, რთული გზის გავლა უწევთ. ხალხის აზრით, აკრძალვა, პირველ რიგში, მეტროში ვაჭრობას უნდა შეხებოდა!

ვარკეთილის მეტროს თავზე და მიმდებარე ტერიტორიაზე კანონიერად თუ არაკანონიერად შენდება სხვადასხვა ნაგებობანი. რამდენიმე მათგანი უკვე დასრულებულია. მაგალითად ბანკი, რომელიც ზედ მეტროს თავზე ააგეს, ერთი მხრიდან მთლიანად ფარავს მეტროს ჩასასვლელს, რაც სრულიად დაუშვებელია. ბანკის გვერდით სხვა მშენებლობაც მიმდინარეობს.

ორიოდ დღის თვალს მიფარების შემდეგ, პოზიციები ალიდგინეს ყვავილებით მოვაჭრეებმა, კვლავ დაბრუნდნენ ჩვეულ ადგილზე. მათ, სხვა მოვაჭრეებისგან განსხვავებით, ბრძოლა მოიგეს, ადგილი დაიბრუნეს, რაც იქნება, „ვარდების რევოლუციის“ მსგავსად, მათაც ვარდების, ან სულაც იების საშუალებით მოახდინეს.

ასეა, დღეს ყვავილებს და განსაკუთრებით ვარდებს საქართველოში განსაკუთრებული ხიბლი და ძალა აქვს...

მაკა ჩიხლაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ეს იყო...

(პირველი გვერდიდან)

„შანსი“ იყო პირველი გაზეთი, რომელმაც ორჯერ სახალხო დღესასწაულებზე თბილისელებს მეტროთი უფასოდ მგზავრობის საშუალება მისცა.

„შანსი“ იყო პირველი გაზეთი, რომელიც მთელი შემადგენლობით აფხაზეთში იბრძოდა და იქ, ალმოდებულ სოხუმში ბოლომდე გამოსცემდა გაზეთს.

„შანსი“ იყო პირველი გაზეთი, რომელმაც თავისი ჟურნალისტებისთვის უფასო სასადილო გახსნა.

„შანსი“ იყო პირველი გაზეთი, რომელმაც არც ერთი პოლიტიკური თუ ბიზნესკლანის უღელი არ ისურვა...

თუმცა ეს ისე, სხვათა შორის. უფრო სწორად, ცნობისთვის. დავუბრუნდეთ იმ ფაქტს, რომლის გამოც დაიწერა ეს წერილი.

რას ფიქრობდა ექვსი წლის წინათ გაზეთ „შანსის“ რედაქტორი მიხეილ სააკაშვილი მასმედიის პრობლემებზე?

„მიეცით თაობას შანსი და ის გადაარჩენს საქართველოს...“

„შანსის“ იმ ნომრის რედაქტორმა სწორედ ეს სიტყვები წარუმძღვარა დევიზად გაზეთის პირველ გვერდს. „თაობები მიდიან, იცვლებიან, მიდიან... ყველა თაობას ჰყავს თანამედროვე გმირები, სწავლულები, უცოდინარები... ყველას მხოლოდ თავისი თაობა ჰგონია იდეალური, უშეცდომო. თავს „წინაპრების“ კონსერვატიულობით და „მომავლების“ უცნაურობით იმართლებენ... თუმცა დღევანდელ ნომერში ამ საკითხზე ამათის სულაც არ ვაპირებ. ვეძებეთ მხოლოდ ერთის და უდავოს — ჩვენც გვყვანან შემოქმედები, მაგრამ უფრო მეტი გვყავს გმირი, ნაწვალი. თავისი საქმის პროფესიონალი, ისეთები, მათთან საუბარი არასდროს რომ არ მოგბეზრდებათ“, — წერდა ნომრის რედაქტორი მიხეილ სააკაშვილი.

უნდა ითქვას, საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა, რომელსაც გუნდური თამაშისა და მოქმედების წესებს ნამდვილად ვერ დაუწუნებ, მაშინაც არ გაუშვა მცირე შანსი იმისა, რომ თავისი თანაგუნდელები, მათი მოკლე ბიოგრაფიები, საქმიანობა და სამომავლო გეგმები წარმოეჩინა. მე მხოლოდ ჩამოვთვლი მათ ვინაობას და დასკვნა თავად გააკეთეთ იმაზე, თუ ვინ შემორჩა პრეზიდენტ სააკაშვილს იმ გუნდიდან. ესენი არიან: ეკონომისტები — რომან გოცირიძე, ნანა ალეიშვილი, ნიკო ორველაშვილი, ლევან ჩოქნიანი, იურისტები — ლადო ჭანტურია, ზაზა ნამორაძე, ივანე ხოსროვი, დავით უსუფაშვილი, ბიზნესმენები — კოკა რიჟინაშვილი, დავით ბეჟუაშვილი, ჟურნალისტები — ნიკა გაბაგაძე, ნინო ქაჯაია, ექიმი მიხეილ გელაშვილი, კინორეჟისორი ნუცა ალექსი-მესხიშვილი, ფილოსოფოსები — გიგი თევზაძე, ნინო ნანავა, მუსიკოსი თამუნა ნინოშვილი, მხატვარი ნატო ამირეჯიბი... თითოეული მათგანი, როგორც საქართველოს ახალი ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელი, აქვე უპასუხებს ნომრის რედაქტორის მიერ შერჩეულ ნომრის მაგისტრალურ კითხვას — რა გადაარჩენს საქართველოს?

ნომრის მოწვეულ ავტორთა შორის არიან ლევან ბერძენიშვილი, დავით ზურაბიშვილი, დავით სულაქველიძე და სხვები. თითოეული მათგანის პუბლიკაციაში ზოგიერთი იმჟამინდელი პრობლემა საინტერესო რაკურსით არის წარმოჩენილი. თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ყველაზე საინტერესოდ მაინც ნომრის რედაქტორის სვეტში გამოქვეყნებული წერილია — „ვის უშლის ხელს თავისუფალი მასმედია?“

როდის გახდება მასმედიის ლანძღვა ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა?

ეს ქვესათაური მიხეილ სააკაშვილის რედაქტორობით გამოსული „შანსის“ ზემოთ აღნიშნული წერილიდან ვისესხე. მიმაჩნია, რომ ზოგიერთი ის საკითხი, რომელიც საქართველოს მომავალმა პრეზიდენტმა თავისი რედაქტორობით გამოსულ ნომერში წამოსწია, დღესაც პრობლემურია. მეტიც, დღესაც სახელმწიფოებრივი კუთხით გადაწყვეტას საჭიროებს. და თუ ამის საშუალება მიხეილ სააკაშვილს მაშინ, 1998 წელს არ ჰქონდა, დღეს, იმედია, არანაირი წინააღმდეგობა არ უნდა იყოს.

გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს მიხეილ სააკაშვილის წერილიდან — „ვის უშლის ხელს თავისუფალი მასმედია?“

„საქართველოში თავისუფალი მასმედიის ჩამოყალიბება ბოლო წლებში ერთ-ერთი იმ ფენომენთაგანია, რომლის ახსნას და გააზრებას კიდევ დასჭირდება დიდი არეულობის პერიოდის შემსწავლელ ისტორიკოსთა ოფლის დაღვრა და გარჯა...

რა თქმა უნდა, ამ სფეროში არსებობს ბევრი პრობლემა. ჩვენთან ჯერ ბოლომდე ვერ მოხდა ბულვარული და სერიოზული პრესის გამიჯვნა. ნაკლებად გამოდის ჟურნალები და საკმაოდ შეზღუდულია ინფორმაციული მხარე. ყველა ეს პრობლემა ნაკლებად არის თავისუფალი მასმედიის ბრალი. ბევრი რამ ეკონომიკის, კერძოდ, უფულობის შედეგია. თითქმის საყოველთაო ბულვარულობა კი ნაწილობრივ თავად პოლიტიკური პროცესების „გაუვითარებით“ უფრო აიხსნება. რაც შეეხება საინფორმაციო ვაკუუმს, ეს იმითაც არის განპირობებული, რომ ძალზე მწირია ოფიციალური არხებიდან მიღებული ინფორმაცია და მაღალია სახელმწიფო ორგანოების გაუმჭვირვალობის ხარისხი. რა თქმა უნდა, მასმედიას აქვს ბევრი საკუთარი პრობლემა. ის, რასაც მას ასე ხშირად წამოაძახებენ: ის, რომ ჟურნალისტთა კომპეტენტურობა ჯერ კიდევ შორს არის იდეალურისგან და „მოსყიდული ჟურნალისტების“ ფენომენიც სულ უფრო ნაცნობი ხდება...

მასმედია ეხმარება ხელისუფლებას არ იხარშებოდეს თავის წვენში, გვერდიდან კრიტიკულად დაინახოს და გამოასწოროს თავისი შეცდომები, მიიღოს ინფორმაცია იმ ხალხის პრობლემებზე, რომელთა ინტერესებსაც უნდა იცავდეს ხელისუფლება. არის მრავალი შემთხვევა, როცა სამართალდამრღვევთა, განსაკუთრებით კი, კორუფციის გამოძიების ფაქტს ჟურნალისტები ბევრად უკეთ ახერხებენ, ვიდრე ჩვენი ზოგიერთი „კომპეტენტური ორგანო“. ამიტომ კრიტიკაზე მეტად ხელისუფლების წარმომადგენლები მასმედიის მასშტაბით მადლიერებას უნდა გამოხატავდნენ. თუმცა ეს არ არის საკმარისი. სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს მასმედიას. კერძოდ:

1. დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ინფორმაციის თავისუფლების აქტი. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც კანონით არ განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოს, უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი. მაგალითად, როდესაც ჟურნალისტი ინტერესდება იმით, თუ როგორ მოხდა დეპუტატში „გადამწვარი სახლების“ სანაცვლოდ აშენებული ბინების განაწილება, იგი არ უნდა აწყდებოდეს მერიის მოხელის გადაულახავ წინააღმდეგობას და შეურაცხყოფას. ამ მოხელეს თავად კანონი უნდა ავალდებულებდეს მსგავსი ინფორმაციის გაცემას. უნდა იყოს დაცული წყაროს კონფიდენციალობა და ჟურნალისტის უფლებები.

2. სახელმწიფო ფინანსურად უნდა ეხმარებოდეს მასმედიას, რათა შეაჩეროს პრესის მონოპოლიზაციის საზოგადო ტენდენცია. საინფორმაციო საშუალებების გადაქცევა იმ ხალხის ხელში, ვისთვისაც ისინი მეორადია, თავისი უმთავრესი კლანური თუ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბად, სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს პრესის, როგორც თვითანაზღაურებადი ბიზნესის განვითარებით, თუ პირდაპირ სუბსიდიებით არა, ყოველ შემთხვევაში, საგადასახადო შეღავათებით მაინც. ქართული პრესა დღეს ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე მთლიანად მონოპოლიზებული რუსული მასმედია და ამ მდგომარეობის შენარჩუნება სულაც არ არის ადვილი.

სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს პრესის, როგორც თვითანაზღაურებადი ბიზნესის განვითარებით, თუ პირდაპირ სუბსიდიებით არა, ყოველ შემთხვევაში, საგადასახადო შეღავათებით მაინც. ქართული პრესა დღეს ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე მთლიანად მონოპოლიზებული რუსული მასმედია და ამ მდგომარეობის შენარჩუნება სულაც არ არის ადვილი.

3. ამავე დროს რეალური უნდა ამუშავდეს კანონმდებლობა ადამიანის პატივის და ღირსების დაცვის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მასმედიის პროფესიონალიზმის ამაღლებასაც.

ისიც ფაქტია, რომ იმ ხალხის ნაწილი, ვინც დღეს პრესას მოსყიდულობაში დებს ბრალს, ზოგჯერ თავად არის მოსყიდვის პროცესში ჩართული და ძირითადად იმაზე ნერვიულობს, რომ ყველას მოსყიდვა ან დაშინება ვერ ხერხდება, მაგრამ თავისუფალი მასმედიის ბუნებაც სწორედ ისეთია, რომ ერთი „მოსყიდული“ ჟურნალისტის ადგილზე ყოველთვის ჩნდება ორი მოუსყიდავი, ხოლო არათავისუფალ გაზეთში რამდენი ფულიც არ უნდა ჩაყარო, მას საზოგადოება მაინც გაკოტრება არ ასცდება, ვინაიდან ასეთია სოციალური დაკვეთა.

ამიტომ მასმედიის განვითარების ერთადერთი რეცეპტი — მეტი თავისუფლებაა და ამ თავისუფლების საუკეთესო გარანტი — დემოკრატიული სახელმწიფოა. როდესაც საქართველო ბოლომდე დემოკრატიული იქნება, მასმედია ამ დემოკრატიის ორგანულ ნაწილად იქცევა და მისი მთლიანობაში ლანძღვა ჩვეულებრივ ანტისახელმწიფოებრივ მოვლენად იქნება განხილული“.

მოხმობილი ფრაგმენტებიდან ზოგი რამ უკვე შესრულდა, შეიძლება ხარვეზებით, მაგრამ მაინც. მხედველობაში მაქვს „ინფორმაციის თავისუფლების“ კანონპროექტი, რომელიც ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში გაჩნდა. ზოგიც თავის რიგს ელოდება. ეს, ალბათ, სახელმწიფოებრივი ნების გარეშე არ განხორციელდება. სახელმწიფოებრივი ნების ჯერ გამოჩენა და მერე განხორციელება კი უპირველესად ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალზეა დამოკიდებული. წესით, მასმედიისთვის მეტი თავისუფლებისა და სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური თუ სხვა სახის დახმარების გამეტება, ახლა თავად მიხეილ სააკაშვილის სურვილზეა დამოკიდებული.

არადა, ფაქტია, რომ ბატონი მიხეილი ამის გაკეთებას „შანსის“ რედაქტორის ამპლუაში თავად მოუწოდებდა მაშინდელ ხელისუფალს.

როგორც იტყვიან, ადგომა და ხვალეო...

ბოლოთქმის მაგივრად

„შანსის“ იმ ნომერში ნომრის რედაქტორმა მწვავე წერილი გამოაქვეყნა სათაურით — „ქართანა — გაპარტახებულა, ნაფარეული — არეული“. იგი ნაფარეულის, საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო ღვინის ქარხანაში შექმნილ კრიზისულ სიტუაციას ეხებოდა. მას შემდეგ მთელი ექვსი წელი გავიდა. განუკითხაობა იქ ისევ გრძელდება. შეიძლება ეს ცალკე საუბრის თემა იყოს, აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ საწარმოს ერთი კანონიერი კრედიტორი გახლავთ გაზეთ „შანსის“ მთავარი რედაქტორი ბონდო ქურდაძე, რომელმაც 1992 წლიდან სამართალი სამართლოს გზითაც ვერ იპოვა.

დღეს გაზეთი „შანსი“ გაჩერებულია. სწორედაც ფინანსური პრობლემების გამო...

გიგლა გოგიჩია.

დედაქალაქი

მორატორიუმის მოთხოვნა გაუმართლებელია

(პირველი გვერდიდან)

საბჭოთა პერიოდში მასობრივი მშენებლობა თბილისის განაპირა, თავისუფალ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა და მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიპყრობილი. მისი მნიშვნელობა აღსანიშნავია იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს უსასყიდლოდ გადაეცა ბინები, მათი მომსახურებისთვის კი აშენდა საზოგადოებრივი დაწესებულებები (სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, მაღაზიები და სხვ.), რაც მათი სოციალური პირობების გაუმჯობესების თვალსაჩინო ეტაპი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საბინაო ფონდის პრივატიზაცია განხორციელდა და მოსახლეობის საკუთრებაში გადავიდა.

რაც შეეხება ქალაქის ძველ განაშენიანებას, იგი, ძირითადად, ორი ნაწილისაგან შედგება: საკმაოდ ვრცელი ინდივიდუალური სექტორისგან და ისტორიულად ღირებული ზონისგან — არქიტექტურული ძეგლებით, ძეგლის ნიშნის მქონე შენობებით და თბილისისთვის დამახასიათებელი ურბანული გარემოთი.

ჩვენ მხოლოდ თბილისის ისტორიულ ზონაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება, ამას წინათ გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა ინფორმაცია — „ჯანმრთელობა ძველ თბილისს“. მასში ნათქვამია, რომ პრეზიდენტის, პარლამენტისა და თბილისის საკრებულოს სახელზე, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თაოსნობით, მომზადებულია მიმართვა, რომელშიც ითხოვენ თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის პროგრამის მომზადებას და დაცულ ზონებში მშენებლობაზე მორატორიუმის გამოცხადებას.

რეაბილიტაციის პროგრამა კი, მართლაც საშური საქმეა, მაგრამ მორატორიუმის გამოცხადება დასამარებას უახლოეს დროში ძველი კვარტალების რეაბილიტაციის საქმიანობაში აქტიური და დროული ჩარევის შესაძლებლობებს, მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახებს შეუზღუდავს საკუთარი სახსრებით მაინც გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები, აშენონ ახალი შენობები დანგრეულის ადგილზე ან თავისუფალ ტერიტორიაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის შენარჩუნების ღონისძიებების განხორციელებისას, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება ის მთავარი მიზანია, რომელიც საერთაშორისო კონვენციებში მთავარ პრიორიტეტად არის აღიარებული.

გარდა ამისა, მორატორიუმი იურიდიულადაც მიუღებელია, ლახავს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს, რაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო დღესდღეობით ვერ დააფინანსებს დიდი მასშტაბებით ისტორიული ზონების დაცვის ღონისძიებებს და მიწისძვრით დაზიანებული შენობების აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს, მიმდინარე სამშენებლო საქმიანობის შეუჩერებლად, სასწრაფოდ საჭიროა დამუშავდეს შესაბამისი მექანიზმი, რომლებიც განაპირობებენ ისტორიული ზონების რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის განხორციელებას.

ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად მიიჩნევა კერძო ინვესტორების (ფირმების) მოზიდვა, მათთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებით; სათანადო ფონდის შექმნა, რომელიც ფინანსური უზრუნველყოფის რეალურ საშუალებას შექმნის; სახელმწიფო მიერ მსოფლიო ბანკიდან სოლიდური კრედიტის აღება დაზიანებული შენობების აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩასატარებლად; შეურიგებელი ბრძოლა კორუფციასთან, რომლის არსებობა დამატებით სიძნელეებს ქმნის საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაში და დიდ ფინანსურ დანახარჯებს განაპირობებს.

ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ ასეთი მოღვაწეობა გვესახება და არა ისეთისა, რომელიც შეზღუდავს ყოველგვარ ინიციატივას.

იმედი გვაქვს, რომ ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობა გულისყურით მოეკიდება ჩვენს მოსაზრებებს და არ დაუშვებს მორატორიუმის შემოღებას. პირიქით, აქტიური ჩართვა საჭირო დაზიანებული შენობების გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებისთვის და უნიკალური ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის. ამას კი დროული ფინანსური უზრუნველყოფა ესაჭიროება საპროექტო-დაგეგმარებითი და სამეცნიერო-მეთოდური სამუშაოების განხორციელებისთვის.

გივი ბერიძე,
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ „თბილარქპროექტის“ დირექტორი, არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ახალი თარგმანი

პაულო კოელიო

ალქიმიკოსი

აქ სანტიაგოს ბროლის ვაჭარი წამოაგონდა, რომელსაც არაერთხელ უთქვამს, ჭიქებს როცა რეცხავ, შენს სულსაც ასუფთავებ ნაგვისგანო. ნამწყემსარი სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ ალქიმიის სწავლა ყოველდღიურ ცხოვრებამიც შეიძლებოდა.

— გარდა ამისა, — განაგრძობდა ინგლისელი, — ფილოსოფიურ ქვას ერთი მეტად განსაცვიფრებელი რამ თვისება აქვს: ამ ქვისა სულ პაწაწინა ნაფრცხენიც საკმარისია, რომ რაგინდარა ლითონის რაგინდარა ოდენობა ოქროდ აქციოს.

ამის გაგონება იყო, და სანტიაგო ალქიმიამ კიდევ უფრო დააგულისყურა. მთავარია, რომ მოთმინება მეყოსო, იფიქრა, თორემ არცრის ოქროდ ქცევა არ გამიჭირდებაო. მით უმეტეს, უკვე წაკითხული ჰქონდა, ვისაც ეს მოეხერხებინა: გინდ ჰ ე ლ ვ ე ც ი უ ს ი თქვით, გინდ ე ლ ი ა ს ი, ფ უ ლ კ ა ნ ე ლ ი თუ ჰ ე ბ ე რ ი, რომელთა თავგადასავალიც ოცნების ზღვაში დააცურებდა. ჩამოთვლილთაგან თავისი გზა-სავალი ყველამ უკლებლივ ბოლომდე განვლო. ისინი მთელ ქვეყანას იყვნენ მოდებული, გზადაგზა ბევრ ბრძენ მეცნიერს ხვდებოდნენ და სასწაულთაც ახდენდნენ, რათა ურწმუნონი გაეწბილებინათ. ურწმუნოთა გაწბილებას კი იმით ახერხებდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ქ ვ ა ც ხელთ ეპყრათ და უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს ე ლ ე ქ ს ი რ ი ც.

მაგრამ როცა სანტიაგომ წიგნების მიხედვით სცადა გარკვევა, თუ მაინც რა არის დ ი ა დ ი ნ ა ქ მ ქ მ ნ ი ლ ე ბ ა, ჩიხში მოექცა: უამრავი უცნაური და თავსატეხი სურათის გარდა, იქ მხოლოდ გაუთავებელი იწილობიწილო და აჭიაბაჭია ამოიკითხა.

* * *

— ყველაფერს აგრერიგად რატომ ხლართავენ და აიკლიკანტურებენ ეს ალქიმიკოსები? — ჰკითხა სანტიაგომ ერთ საღამო ხანს ინგლისელს, რომელსაც უთავისწიგნებოდ აშკარად მოეწყინა.

— რატომ და, ალქიმიკოსთა გაგების უნარი მხოლოდ იმას შესწევს, ვისაც სრულად შეუგნია ის პასუხისმგებლობა, რაც ალქიმიკოსობას უკავშირდება. წარმოიდგინე, რა ამბავი დატრიალდებოდა, ვინც მოიწადინებდა, სუყველას რომ ოქროდ ექცია ბრპენი. დ ი ა დ ი ნ ა ქ მ-ქ მ ნ ი ლ ე ბ ი ს მუდამი მარტოოდენ შეუპოვართათვის და მცოდნეთათვის ხდება საცნაური. აი, რატომ ვარ ახლა აქ, ამ შუაგულ უდაბნოში. როგორც არ უნდა გამიჭირდეს, მაინც უნდა მოვიძიო ის ნამდვილი ალქიმიკოსი, ვინც საიდუმლო ჩანაწერებს ამომაკითხვინებს.

— მაინც, როდის არის ეს წიგნები დანუსხვილი?

— მრავალი საუკუნის წინათ.

— მერედა, მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ იყო სტამბა. გინდა ასე თქვი, გინდა ისე, სულერთია, ალქიმიის დაუფლება ყველას სულაც არ შეუძლია, რატომ არის ეს ყოველივე ასეთი იდუმალი ენით შეთხზული და სურათებიც ასეთი ძნელგასაგები?

ინგლისელს არცრა უპასუხია. მხოლოდ მცირე ხნის დუმილის შემდეგ თქვა, უკვე არაერთი დღე ქარავანს ყურადღებით ვადევნებ თვალყურს, მაგრამ ახალი არა შემიმჩნევია რაო. ერთი მარტო ეგ არის, ტომებს შორის ომიანობაზე ლაპარაკი მოხშირდაო.

* * *

რამდენიმე დღეში სანტიაგომ ინგლისელს ნათხოვარი წიგნები დაუბრუნა.

— ჩასწვდი რასმე? — ნახევრად ირონიულად და ნახევრად იმედიანად ჰკითხა ინგლისელმა: უნდოდა, რომ ერთი ვინმე მაინც ჰყოლოდა გვერდით, ვისაც თავის გულისნადებს გადაუშლიდა, რათა შემაშფოთებელი აზრები მოეშორებინა.

— რაც მთავარია, ჩავწვდი, რომ ცამრგვალს მართლა ჰქონია სული, და ვინც ამ სულს ჩახვდება, ის სუყოველი ღვთის გაჩენილის ენასაც გაიგებს. კიდევ ისიც შევიტყვე, რომ ბევრმა ალქიმიკოსმა იპოვა თავისი გზასავალი და მიაგნო ქ ვ ე ყ ნ ი ე რ ე ბ ი ს ს უ ლ ს, ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ქ ვ ა ს ა და უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს ე ლ ე ქ ს ი რ ს, — თქვა ნამწყემსარმა და ზედვე მოაყოლა: — თანაც ისე მარტივია და ისე უბრალოდ ხდება ეს ყოველივე, რომ სულ ადვილად დაეტევა ზურმუხტის წახნაგზე.

ინგლისელმა იგრძნო, რომ იმედი გაუცრუვდა. სანტიაგოზე არცრას მოეხდინა შთაბეჭდილება, — არც იმას, რომ მან ესოდენ დიდი ხანი მოანდომა სწავლას, არც ჯადოსნურ სიმბოლოებს, არც ძნელსაცნაურ სიტყვებს, არც სითხის გამოსახდელ ხელსაწყოებსა და სინჯარებს.

„მეტისმეტად ჩამორჩენილი ჩანს, რასაკვირველია, ვერ გაიგებდა“, — გაიფიქრა ინგლისელმა, მერმე მიიტანა თავისი წიგნები და, აქლემს რომ ჩემოდანი ეკიდა, იქ ჩატენა.

— მაშ, აბა, მიდი, შენს ქარავანს მიხედე, — უთხრა მან სანტიაგოს, — მაგ ქარავნისგან მე იმდენი ხეირი ვნახე, რამდენიც შენ ჩემი წიგნებისგან იხეირე.

და სანტიაგომ კვლავ მიაყურადა უდაბნოს მდუმარებას, კვლავ გააყოლა თვალი აქლემთა ფეხთაგან აყენებულ ქვიშის კორიანტელს.

„ყველას თავისი ხერხი აქვს სწავლისა, — გაიფიქრა მან, — მაგისას ჩემი არ უდგება, ჩემსას კი — მაგისი. მაგრამ ორივენი ჩვენ-ჩვენს გზას ვეძებთ, და არ იქნება, თუნდაც მარტო ამისთვის არ მივაგო პატივი.

* * *

ქარავანი აწ ღამ-ღამ მიუყვებოდა გზას. ჟამისად ბედუინები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, გამძღოლ-ეტიკს რაღაცას ატყობინებდნენ. სანტიაგოს შემოყვასებულმა მეაქლემემ გადაწყვეტილად თქვა, ტომებს შორის ომიანობა მაინც ატეხილაო. ოაზისამდე თუ მივაღწიეთ, დიდი ბიჭობააო.

აქლემებსა და ცხენებს არაქათი ელეოდათ, ადამიანები სულ უფრო მდუმარებდნენ, და ღამის სიჩუმეში ცხენების ხვიხვინი თუ აქლემების ფრუტუნიც კი, რაც ადრე უბრალოდ ხვიხვინი თუ ფრუტუნი იყო, ახლა უკვე ყველას შიშის ზარსა სცემდა, ვაითუ მტერი გვიახლოვდებაო.

თუმცაღა, თავად მეაქლემეს მოახლოებული საფრთხე არ აშინებდა.

— რახან ფეხზე ვდგავარ, ცოცხალი ვარ, — ესიბრძნებოდა მეაქლემე ერთხელ სანტიაგოს, როცა არც მთვარე ანათებდა ცაზე და არც კოცონი ენთო — რახან ახლა ინდის ხურმას, ანუ დანაკისკუდსა ვჭამ, მაშასადამე სხვას არცრას ვიქმ. როცა გზაში ვარ და მივდივარ, მაშასადამე, სხვა საქმე არცრა მაქვს. თუ ბრძოლა მომიხდა, ის დღეც ისევე კარგი იქნება სიკვდილისთვის, როგორც სუყველა სხვა დღე. ვინაიდან მე წარსულში კი არა ვცოცხლობ ანდა მომავალში, არამედ ახლა ვარ და მხოლოდ აწინდელი ყოფნა მიტაცებს. თუკი მუდამჟამს აწმყოში ყოფნას შეიძლებ, სიკვდილისშვილთაგან ყველაზე ბედნიერი იქნები. მაშინ მიხვდები, რომ უდაბნო უსიცოცხლო არსება არ არის, რომ ცაზე ვარსკვლავები ანათებენ და მეომარნიც იმიტომ იბრძვიან, რაკი ადამიანთა მოდგმას მიეკუთვნებიან. სიცოცხლე მაშინ მარადიულ და ერთ გაუთავებელ დღესასწაულად გექცეოდა, რადგან სიცოცხლეში სხვა არა იქნებოდა რა, ამჟამინდელი წუთისყოფის გარდა.

ორი დღე-ღამის შემდგომ, როცა მოქარავნენი დასაძინებლად წვებოდნენ, სანტიაგომ ოაზისისკენ მიმავალი გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს ახედა. მოეჩვენა, რომ ცის კინკროს, ანუ თვალსაწიერის ხაზი უფრო დაბლა ჩანდა: უდაბნოს თავზე დამხობილ ცაში უთვალავი ვარსკვლავი კიაფობდა. და ამ ვარსკვლავიანი ცის შემყურეს ერთ-ერთ ინგლისელისეულ ძველ წიგნში ამოკითხული სიტყვა „ჰუბუტი“ გაახსენდა და ყურშიც ჩაესმა თითქოს: ვარსკვლავთ ადგილსა რასმე ეწოდების არაბთა ენითაო.

— ეგ ოაზისია, — უთხრა მეაქლემემ.

— მერე, რატომ არ მივდივართ?

— ჯერ ცოტა უნდა წავუძინოთ.

* * *

სანტიაგომ თვალები მაშინ ჭყიტა, როცა მზე ცის დასალიერიდან ამოიწვერა. იქ კი, სადაც ღამით ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ახლა ფინიკის პალმების ხშირ ტევრს დაეპყრო თითქმის მთელი უდაბნო.

— მივედით! — შეჰყვირა ინგლისელმა, რომელსაც აგრეთვე ის იყო გაღვიძებოდა.

სანტიაგოს ხმა არ ამოუღია, გაყუჩდა. აგრერიგად ყუჩილი უდაბნოსგან ესწავლა, და ახლა უბრალოდ ხეების ცქერაც ჰყოფნიდა. პირამიდებამდის ჯერ კიდევ შორს იყო. ოდესმე ეს დილაც მხოლოდღა მოგონებად ექცეოდა. მაგრამ ამჟამად აწინდელი წუთით ცხოვრობდა და შეჰხაროდა კიდეც, როგორც მეაქლემემ ასწავლა, და ცდილობდა, რომ ეს წუთი როგორმე წარსულის მოგონებებთან და მერმისის ოცნებებთან დაეკავშირებინა. ცხადია, ეს პალმის ტევრიც ოდესმე მოგონებად იქცეოდა, მაგრამ ამწუთას იგი სიგრილეს, წყალსა და უხიფათობას ნიშნავდა. და თუ აქლემის ღამეული შფოთვა იქნებ მტრის მოახლოების ნიშანი იყო, პალმის ტევრი გადარჩენის სასწაულს იუწყებოდა.

„ცამრგვალი მრავალ ენაზე მეტყველებს, — გაიფიქრა სანტიაგომ.

* * *

„დრო როცა სწრაფად მიფრინავს, ულამ-ქარავანიც ნაბიჯს აჩქარებს“, —ოაზისის მიჯნას მომდგარ მოქარავნეთა და პირუტყვთა ცქერისას გულში გაივლო ალქიმიკოსმა.

ირგვლივ ადგილობრივთა და ახალმოსულთა ჟივილ-ხივილი იდგა, მზეს მტვერ-ბუქი ფარავდა, ბავშვები უცხოთა თვალიერებაში იყვნენ, ხტოდნენ და იყო ერთი ბასტიბუბუ. ალქიმიკოსი ტომის ბელადებს ადევნებდა თვალყურს. ისინი ულამ-ქარავნის წამძღოლ-ეტიკს მიუახლოვდნენ და საუბარი გაუბეს.

თუმცა ეს ყველაფერი ალქიმიკოსს აინუნშიაც არ მოსდიოდა, მომსვლელწამსვლელი აქ მუდამ ბევრი იყო, ოაზისი, ანუ კორდი საშუალ უდაბურისა, და უდაბნო კი არცროდის ნირს არ იცვლიდნენ, რაც იყვნენ, იყვნენ. ამ ქვიშისთვის მეფეებსაც დაუდგამთ ფეხი და მათხოვრებსაც, ქარს ხან ალმა წაუღია და ხან უკუღმა, თავის ნებაზე უტრიალებია და უკორიანტელებია, მაგრამ ისიც კვლავ ისეთივე რჩებოდა, როგორც ალქიმიკოსს ბავშვობიდან ახსოვდა. და მაინც ერთბაშად გადაედებოდა ხოლმე ის სიხარული, თითოეული მოგზაურის სულში რომ ჩნდებოდა, რაჟამს ყვითელი, ანუ იისფერი ლურჯი ცისა და ყვითელი ქვიშის ნაცვლად თვალი პალმების ქოჩად შეკრულ მწვანე ვარჯ-ქოჩორს დაინახავდა.

„იქნებ ღმერთმა სულაც იმად შექმნა უდაბნო, რათა ადამიანი ხეებს უღიმოდეს“, — გულში ისიტყვა ალქიმიკოსმა.

თან საქმეო, იზრახა შემდეგ. მან უწყოდა, ნიშნებმა უკარნახეს — რომ იმ ულამ-ქარავანს მავანი და მავანი კაცი მოჰყვებოდა, რომლისთვისაც თავისი იდუმალი ცოდნა უნდა გაენდო. მართალია, არც იცოდა, რას წარმოადგენდა ის კაცი, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ გამოცდილი თვალით უმალ გამოარჩევდა ბრბოდან, და იმედოვნებდა, თავის წინამორბედზე უარესი არ იქნებაო.

„ვერ გამიგია, რაც რამ ვიცი, საიდუმლოდ რატომ უნდა გავანდო იმას, — ფიქრობდა ალქიმიკოსი. — თუმცა, რა მესაიდუმლოება, როცა ღმერთი სუყოველ სულდგმულს წადიერად უმხელს თავის ხვაშიადს“.

ალქიმიკოსი ამ ამბავს ერთ ახსნას უძებნიდა: რაც რამ სხვას უნდა გავანდოთ, ნაყოფია უზაკველი ცხოვრებისა, რის აღბეჭდვაც სიტყვებში თუ სურათებში ძალზე საძნელოა. მით უმეტეს, ადამიანები სიტყვებითა და სურათებით უფრო მეტად იხიბლებიან და ბოლოს და ბოლოს ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ე ნ ა ს ივიწყებენ.

* * *

ახალმოსულნი დაუყოვნებლივ ადგილობრივ ბელადებს მიჰგვარეს. სანტიაგო თვალებს არ უჯერებდა: ოაზისი სულაც არ გამოდგა ორიოდე პალმით გარშემორტყმული ჭა, როგორც ეს ერთ-ერთ ძველ წიგნში ამოეკითხა, ის კი არა, ზოგიერთ ესპანურ სოფელზე გაცილებით დიდიც იყო, ჭას იქ, სულ ცოტას, სამასამდე მაინც დათვლიდა კაცი, პალმა კი ორმოცდაათი ათასი ძირი იდგა, რომელთა შორის აურაცხელი ფერად-ფერადი კარავი გაეშალათ.

„ათას ერთი ღამე“, — წართქვა ინგლისელმა, რომლსაც ერთი სული ჰქონდა, სანამ ალქიმიკოსს შეხვდებოდა.

მოქარავნეებს უმალ ბავშვები შემოეხვივნენ, ისინი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ ცხენებს, აქლემებსა და ადამიანებს. კაცები ომიანობის ამბებს ეკითხებოდნენ, გზაში სადმე ბრძოლაში ხომ არ მოხვდითო. ქალებს კი იმის გაგება სურდათ, რა ქსოვილები და ფერადი ქვები მოეტანათ ვაჭრებს. უდაბნოს მდუმარება ახლა უკვე შორეულ ზმანებად აღიქმოდა — იყო ერთი გაუთავებელი ყაყანი, სიცილი და ხარხარი, ჟრიამულს მიჰქონდა იქაურობა, და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მოქარავნენი ადრე უხორცო სულნი იყვნენ, აწ კი კვლავ ხორციც დაებრუნებინათ, ძვალიც და ადამიანებად ქცეულიყვნენ.

ყველანი გულსავსენი და ბედნიერი ჩანდნენ.

როგორც მეაქლემემ აუხსნა სანტიაგოს, სუყველა ოაზისი სულ მუდამ არცვის მიწად იყო მიჩნეული, რადგან იქ უმეტესად ქალები და ბავშვები ცხოვრობდნენ. და რახან არავისად მიაჩნდათ, იქაურნი არც ამათ მხარეს იყვნენ, არც იმათ მხარეს, მეომრები ერთმანეთს უდაბნოში ებრძოდნენ, ხოლო ოაზისებს თავშესაფრად იტოვებდნენ.

წამძღოლ-ეტიკმა მოქარავნენი რის ყოფით შეკრიბა და გამოუცხადა, ქარავანი ოაზისში მანამდე დარჩება, სანამ ტომთა შორის შუღლი არ ჩაქრებაო. ყველანი ადგილობრივი მოსახლეობის კარვებში იცხოვრებთ, სტუმარ-მასპინძლობა აქ უმაღლესი წესიაო. შემდეგ ყველას იარაღის ჩაბარება სთხოვა, გამონაკლისად არც ისინი მიუჩნევია, ვინც ღამ-ღამ ქარავანს სდარაჯობდა.

— ასეთია ომის წესი და რიგი, — აუხსნა მან, — ოაზისს არ ეგების ჯარისკაცისა თუ მეომრის მიღება.

სანტიაგო ძალიან გაკვირდა, როცა ინგლისელმა ჯიბიდან მოქრომილი რევოლვერი დააძრო და იარაღის შემგროვებელს ჩააბარა.

— რად გინდა რევოლვერი? — ჰკითხა მან ინგლისელს.

— რად მინდა და, ადამიანების ნდობას მასწავლის, — მიუგო ინგლისელმა, რომელიც ძალიან კმაყოფილი იყო, რაკი მალე ეწეოდა საწადელს, რისთვისაც ამხელა გზა გამოევლო.

სანტიაგო კი ისევ თავის უნჯ-განძზე ფიქრობდა. რაც უფრო ახლოს იყო თავისი ოცნების შესრულებასთან, მით უფრო მეტი და მეტი სიძნელე ხვდებოდა გზაზე. რასაც მოხუცი მეფე მელქისედეკი „ახალბედათათვის ბედის წყალობას“ ეძახდა, აღარ მოქმედებდა, როგორც თავად ესმოდა და გაეგებოდა, ახლა იმ ადამიანის შეუპოვრობა და შემართება ჭრიდა, რომელი ადამიანიც თავისი ცხოვრების გზა-სავალს ეძებდა. ამიტომ იყო, რომ არ შეეძლო არც აჩქარება, არც მოთმინების დაკარგვა. სხვაგვარად იქნებ ვერც შეემჩნია ის ნიშნები, უფალი გზა-გზა რომ ახვედრებდა.

„უფალი გზა-გზა მახვედრებს“, — გაიმეორა მან თავისთვის და თავადვე გააკვირვა ამ აზრმა. დღესაქამომდე ყოველთვის ეგონა, სუყველა ეს ნიშანი სოფელ- ქვეყნის ნაწილიაო, იგივეა, რაც შიმშილი ან წყურვილია, რაც სიყვარულის ან სამუშაოს ძებნააო. სულაც არ ჰგონებდა, რომ ეს ის ენა იყო, რომელ ენაზეც უფალი ელაპარაკებოდა და საქნელს აგებინებდა.

„ნუ იჩქარებ, — შეაგონა მან თავისივე თავს. — როგორც მეაქლემე ამბობდა, ჭამის დროს უნდა ჭამო, ხოლო წასვლის საათი როცა დაჰკრავს, გზას უნდა გაუდგე“.

პირველ დღეს ნამგზავრი მოქარავნენი, ინგლისელის ჩათვლით, გამოძინებას მოუნდნენ. სანტიაგოს თავისი კბილა სხვა ხუთ ჭაბუკთან ერთად მიუჩინეს კარავში ადგილი. ის ხუთივენი ადგილობრივნი იყვნენ და ძალიან ეწადათ გაგება, დიდ ქალაქებში ხალხი როგორ ცხოვრობდა.

ნამწყემსარმა უკვე მოასწრო თავისი მეცხვარეობის ამბის მოყოლა და ის იყო მებროლესთან მუშაობაზე უნდა გადასულიყო, რომ კარავში ინგლისელი შემოვიდა.

— მთელი დილა შენ დაგეძებ, — უთხრა სანტიაგოს და გარეთ გაიყვანა, — ძალიან მჭირდები, დამეხმარე, ალქიმიკოსი მაპოვნინე.

ისინი ალქიმიკოსს ორი დღე და ღამე ცალ-ცალკე დაეძებდნენ, ვარაუდი ეჭირათ, რომ ის სხვებისგან განსხვავებულად ცხოვრობდა, და იმის კარავში უთუოდ სულ მუდამ ენთო ყვერბ-სახმილი. ოაზისის ხან ერთი კიდეგანი მიჩხრიკ-მოჩხრიკეს, ხან მეორე, მანამ იარეს, სანამ არ მიხვდნენ, რომ ის ბევრად დიდი იყო, ვიდრე პირველად ეჩვენათ, — იქ არა ერთი და ორი ასეული კარავი იდგა.

თარგმნა **გურამ გოგიაშვილმა.**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ 29-37, 39.

სხვა გაზეთებიდან

საქართველოში ახალი ხელისუფლების მთავარ საყრდენად ხდება ქართული ეკლესია. ხელისუფლებასთან და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობის შესახებ „ოგონიოკის" სპეციალური კორესპონდენტი ესაუბრება საქართველოს პატრიარქს.

[illegible]

— ამ მხრივ როგორია სიტუაცია?

სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია მეორე:

«მე ვაზროვნებ ქართულად და ვმოქმედებ ქართულად»

— თქვენო უწმინდესობავ, [illegible]

[illegible]

[illegible]

— რა გახდა ამის მიზეზი, [illegible]

[illegible]

ალექსანდრე სოლდატოვი,

„ოგონიოკი",

2004 წლის 9-15 თებერვალი.

SIC!

შენს მიწას მიმაბარეთ



საქართველოში 21 წლის წინათ ჩამოუსვენებიათ მეფე არჩილ II, მისი მეუღლის ქეთევანის, ასულის დარეჯანისა და ვაჟების მამუკასა და ალექსანდრეს და ამ უკანასკნელის მეუღლის გლიკერია დავითაშვილის, ასევე, ვახტანგ VI-ის ძეთა ბაქარისა და გიორგის ნეშტთა ნაწილები, გვაცნობა მოსკოვის დონის მონასტრის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ბატონმა გივი ლამბაშიძემ.

გივი ლამბაშიძის ინფორმაციით, 1983 წელს მოსკოვის დონის მონასტრის მირქმის სახელობის ეკლესიაში XVII-XIX სს. გამოჩენილ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა პანთეონის აღდგენის მიზნით ჩატარებულ არქეოლოგიურ-სარესტავრაციო სამუშაოებში მონაწილე ანთროპოლოგიურ ჯგუფთან (ხელმძღვანელი აკადემიკოსი მალხაზ აბდუშელიშვილი) ერთად ისტორიულ პირთა ნეშტებს სწავლობდა ექიმი-პალეოპათოლოგი პავლე ფირფილაშვილი. მან მეტად მნიშვნელოვანი კვლევის შედეგები შემდგომში გამოაქვეყნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიებში" (2000 წ. №№4-6, 7-9, 10-12).

გასული წლის მიწურულს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ანდრია აფაქიძის, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის, პროფესორ ვახტანგ ჯაფარიძისა და მოსკოვის დონის მონასტრის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის გივი ლამბაშიძის სახელზე ბატონი პავლე ფირფილაშვილის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ მას, მიკროსკოპული შესწავლისათვის, თბილისში წამოუღია აღნიშნულ ისტორიულ პირთა ჩონჩხების ზოგიერთი ნაწილი, იმ იმედით, რომ მათი ნეშტების საქართველოში გადმოსვენებისას, წამოღებული ნაწილები მათვე დაუბრუნდებოდათ.

მოსკოვის დონის მონასტრის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე, ჩვენი სახელოვანი წინაპრების ნეშტთა ნაწილები სათანადო აქტით ამჟამად ჩაბარებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილებაში. ეს საკითხი განიხილეს საქართველოს არქეოლოგიური კომისიის სხდომაზე, სათანადო წერილობითი ინფორმაცია გადაეცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესს და უნეტარეს ილია II და ამ დღეებში დაწერილებითი ინფორმაცია მოხსენდება საქართველოს პრეზიდენტსა და მთავრობას.

საქართველოს საზოგადოებრიობა ინფორმირებულია: შარშან დაისვა საკითხი ქ. ასტრახანის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან საქართველოს მეფეთა ვახტანგ VI (1675-1737) და თეიმურაზ II (1700-1762) ნეშტთა საქართველოში გადმოსვენების თაობაზე, მათივე ანდერძების საფუძველზე. ასევე, ცნობილია, ამის თაობაზე არსებობს სრულიად რუსეთის პატრიარქის ალექსი II და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბატონი ვ. პუტინის თანხმობები. საორგანიზაციო და სამეცნიერო საკითხთა მოგვარება-გადაწყვეტა, სავარაუდოდ ზაფხულში დამთავრდება. ბატონ გივი ლამბაშიძის აზრით, შესაძლოა, ეს საკითხები ერთობლიობაშიც იქნეს განხილულ-გადაწყვეტილი, შესაძლოა ცალ-ცალკეც. მოსაფიქრებელია, სად უნდა დასაფლავდნენ მეფე არჩილ II, მისი ოჯახის წევრთა და მეფე ვახტანგ VI ძეთა ნეშტთა ნაწილები – დაუბრუნდნენ ისინი მოსკოვის დონის მონასტრის მირქმის სახელობის ეკლესიის ქართულ პანთეონში მათსავე სამარხებს თუ იქიდან, საერთოდ, ჩვენ წინაპართა ნეშტები საქართველოში გადმოვასვენოთ (თუ ეს მიზანშეწონილად ჩაითვლება ქართული მხრიდან და ამაზე რუსეთის თანხმობაც იქნება); ან ბაგრატოვანთა ნეშტთა ნაწილები საქართველოში (წმიდა სამების საკათედრო ტაძარში, გელათსა თუ სვეტიცხოველში) დავასაფლავოთ სიმბოლურ სამარხებში, სათანადო წარწერებით...

ბატონ გივი ლამბაშიძის აზრით, ეროვნული მნიშვნელობის ეს საკითხები, საქართველოს საპატრიარქოს, საქართველოს ხელისუფლების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ბაგრატიონთა საგვარეულოსა და საქართველოს საზოგადოებრიობის ღრმა, ყოველმხრივი განსჯითაა სასწრაფოდ გადასაწყვეტი.

ალეკო ასლანიშვილი.

ირანელი რეფორმატორი ჰათამის არ ეთანხმება

ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ირანელმა რეფორმატორმა – პარლამენტარმა ბიბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში, ფაქტობრივად, პირფერული უწოდა ქვეყნის პრეზიდენტის მოწოდებას ირანის მოქალაქეებისადმი მივიდნენ საარჩევნო უბნებში.

როგორც პარლამენტარმა რეზა იუსეფიანმა განაცხადა, უსამართლობაა სთხოვო ადამიანს მივიდეს საარჩევნო უბანში, როცა იცი, რომ კონსერვატორებს პრაქტიკულად არ ჰყავთ ღირსეული კონკურენტები.

მიმომხილველებმა ჰათამის ასეთი მოწოდება შეაფასეს როგორც მცდელობა აიცილოს თავიდან სიტუაცია, რომლის დროსაც კონსერვატორები დაუწესებდნენ სრულ კონტროლს ირანის პარლამენტს.

ამ ბოლო კვირების განმავლობაში ირანში პოლიტიკური კრიზისი მძვინვარებს. ყოველივე ეს კი დაიწყო იმით, რომ ისლამური რევოლუციის გუშაგთა საბჭომ მთელ რიგ კანდიდატებს რეფორმატორული პარტიებისგან აუკრძალა მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში.

იმ პირთა შორის, რომლებზეც ვრცელდება ეს აკრძალვა, არის უკვე 80 მოქმედი პარლამენტარი, მათ შორის თვით რეზა იუსეფიანიც.

შაბათს მათ რიცხვს კიდევ 550 კაცი დაემატა.

ირანის უზენაესმა ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ დაადგინა: რეფორმატორთა პროტესტების მიუხედავად, კენჭისყრა, როგორც ეს დაგეგმილი იყო, ამ პარასკევს გაიმართება.

ირანში ხმის უფლების მქონე 46 მილიონი მოქალაქეა. მაგრამ, აღნიშნავენ მიმომხილველები, მომავალი არჩევნებისადმი ინტერესი ჯერჯერობით დიდი არ არის.

რეზა იუსეფიანის აზრით, რეფორმატორებს გამარჯვების ოდნავი შანსიც კი არა აქვთ.

„ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ამ არჩევნებს ვერ მივიჩნევთ პატიოსან კამპანიად. აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია თანაბარი შესაძლებლობების მქონე ორ კანდიდატზე. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ მოუწოდა პრეზიდენტმა ხალხს მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში, და არ ვუჭერ მხარს ამ განცხადებას", – თქვა პარლამენტარმა ბიბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში.

თვით ჰათამიმ ორშაბათს მოუწოდა ამომრჩევლებს არ დაუშვან, რომ ქვეყანაში ძალაუფლება გადავიდეს იმ პირთა ხელში, რომლებიც „უმცირესობის აზრებს გამოხატავენ".

ჩინეთში დააპატიმრეს ინტერნეტ-დისიდენტი

სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისთვის წაქეზების ოფიციალური ბრალდება წაუყენეს დუ დაობინს, რომელიც გასული წლის ოქტომბერში დააპატიმრეს ჩინეთში.

40 წლის დისიდენტი დუ დაობინი დააპატიმრეს იმის გამო, რომ მან ინტერნეტით გაავრცელა 28 სტატია, რომლებშიც აკრიტიკებდა ჩინეთის ოფიციალურ ხელისუფლებას. როგორც ჰუბეის ცენტრალური პროვინციის საზოგადოებრივი უშიშროების ბიუროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, სტატიები წარმოადგენდა პეტიციებს ჩინეთში სოციალისტური წყობილების დამხობის მოწოდებებით.

დაობინის ერთ-ერთი სტატია ეხებოდა უშიშროების შესახებ მიღებულ ახალ კანონს, რომელმაც ჩინეთის საზოგადოებაში დიდი კამათი გამოიწვია. კანონის პროექტის განხილვა გასულ წელს გადაიდო მას შემდეგ, რაც ამას მოჰყვა ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები ჰონკონგის ქუჩებში.

„სინჰუას" ახალი ამბების სააგენტოს ინფორმაციით, დუ დაობინი, გარკვეული გასამრჯელოს საფასურად, ასევე ეხმარებოდა სხვა დისიდენტებს ინტერნეტით სტატიების გამოქვეყნებაში.

როგორც პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, დუ დაობინმა „გადაამეტა მთავრობის კრიტიკის კანონიერ უფლებას". მაგრამ, თუ სად გადის მთავრობის დასაშვები კრიტიკის ზღვარი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. დაპატიმრებამდე დუ დაობინი მუშაობდა ჰუბეის პროვინციის ქალაქ ინჩენის სამედიცინო სადაზღვევო კომპანიაში.

„ფრინველის გრიპი" ახლა პენსილვანიის შტატშიც გამოჩნდა

„ფრინველის გრიპით" ქათმების დაავადების შემთხვევა დაფიქსირდა ამერიკის უკვე მესამე შტატში – პენსილვანიაში. ეს განაცხადა შტატის სოფლის მეურნეობის სამდივნომ. წინათ კი, მსგავსი დაავადება აღმოაჩინეს დელავერის და ნიუ-ჯერსის შტატებშიც.

პენსილვანიის სამდივნოს მიერ გავრცელებულ კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ ვირუსი, რომელმაც გამოიწვია ფრინველების დაავადება ერთ-ერთ ფერმაში, არ გადაეცემა ადამიანს და იგი განსხვავდება იმ ვირუსებისგან, რომლებიც აღმოაჩინეს დელავერსა და ნიუ-ჯერსიში. ამიტომ, აღნიშნულია კომუნიკეში, საქმე არ ეხება ერთ ეპიზოოტიას.

ფერმაში გამოაცხადეს კარანტინი და, ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ახლა შემოწმებები ხორციელდება მთელი რაიონის ტერიტორიაზე.

ამავე დროს „ფრინველის გრიპი" დაბრუნდა ტაილანდის იმ ცხრა პროვინციაში, რომლებიც წინათ გამოაცხადეს ამ საშიში დაავადების ვირუსისგან თავისუფალ ზონებად.

როგორც ტაილანდის სამეფოს სოფლის მეურნეობისა და კოოპერატივების მინისტრის მოადგილემ ნევინ ჩიდჩობამ აღნიშნა, ასეთი მონაცემები მიიღეს დაავადების აღმგზნების არსებობაზე შინაური ფრინველის ფართომასშტაბიანი შემოწმების მეორე რაუნდის შედეგად.

სამეფოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ვირუსისაგან განთავისუფლებულ რაიონებში დაავადების დაბრუნების მიზეზი გახდა ვირუსის გავრცელების ადგილებიდან მებრძოლი მამლების კონტრაბანდა.

ჰოლანდიამ, შესაძლოა, გამოასახლოს ლტოლვილები

ნიდერლანდის პარლამენტი ემზადება უყაროს კენჭი კანონპროექტს, რომლის მიღების შემთხვევაში, ქვეყნიდან შესაძლოა გამოასახლონ პოლიტიკური თავშესაფრის მიღების ათასობით მსურველი, რომლებსაც წინათ უკვე უარი უთხრეს თავშესაფრის მიცემაზე.

თუ ახალი კანონი გავა პარლამენტში, 26 ათას კაცს ჰოლანდიიდან დეპორტირება ელის. ზოგიერთი მათგანი იქ უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობს.

კანონპროექტს, რომელსაც მხარს უჭერს მთავრობა, ქვეყნის მოსახლეობის ნაწილიც ემხრობა, თუმცა, მრავალი ჰოლანდიელი, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი ტრადიციული შემწყნარებლობით, უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამის გამო.

პოლიტიკური თავშესაფრის მიღების ერთ-ერთმა მსურველმა, რომელსაც დეპორტაცია ემუქრება, პროტესტის ნიშნად თვალები და პირი ამოიკერა.

კანონპროექტი ეხება იმ პირებს, რომლებიც ჰოლანდიაში ჩავიდნენ 2001 წლის 1 აპრილამდე. 2300 კაცს, რომელთა არგუმენტებიც ყველაზე დასაბუთებულად ცნეს, ქვეყანაში დარჩენის ნება დართეს, მაგრამ 26 ათასმა კაცმა, დოკუმენტის თანახმად, ჰოლანდია სამი დღის განმავლობაში უნდა დატოვოს.

საპარლამენტო უმრავლესობა მხარს უჭერს ამ გეგმებს, მაგრამ ამის წინააღმდეგ ილაშქრებს ჰოლანდიის საზოგადოების მრავალი ცნობილი წევრი, მათ შორის ეკლესიათა საბჭო და მთელი რიგი ქალაქების მერები.

„მრავალი ლტოლვილი კრიტიკულ პირობებში ცხოვრობს. მათ ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ. ამ ადამიანების ოჯახები დანგრეულია, მათ სამშობლოში ცხოვრება კი საშიშია", – ხაზგასმულია ეკლესიათა საბჭოს წერილში, რომელიც მან მთავრობას გაუგზავნა.

გაეროს ლტოლვილების საქმეთა კომისარმა რუუდ ლიუბერსმა გამოთქვა შეშფოთება ჰოლანდიის ხელისუფლების გეგმების გამო.

ცნობილმა სამართალდამცველმა ორგანიზაციამ „Human Rights Watch"-მა ასევე დაგმო კანონპროექტი და აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტის მიღების შემთხვევაში ლტოლვილებს, მათ შორის ბავშვებსაც, მოუწევთ საშიშ რეგიონებში დაბრუნება.

თუმცა, ჰოლანდიის ხელისუფლება აღნიშნავს, რომ არ აპირებენ იმ პირთა გასახლებას, რომლებსაც სამშობლოში მართლაც ელით რეალური საფრთხე.

„სპირიტმა" დაამყარა მარსზე სიჩქარის ახალი რეკორდი

ამერიკულმა მარსმავალმა „სპირიტმა" გააუმჯობესა თავისი წინანდელი მიღწევა. ორშაბათს აპარატმა წითელი პლანეტის ზედაპირზე ერთი დღის განმავლობაში 27,5 მეტრი დისტანცია დაფარა, იტყობინებოდნენ ნასა-ს წარმომადგენლები.

გასულ კვირას „სპირიტმა" „იმოგზაურა" 21,2 მეტრ დისტანციაზე, რაც გახდა მარსზე ავტომატური ზონდების ფრენის მთელი ისტორიის განმავლობაში ასეთი აპარატების გადაადგილების რეკორდი.

ორშაბათს, სანამ გაივლიდა პირველ 19 მეტრს ბონვილის კრატერის მიმართულებით, „სპირიტი" რამდენიმე საათის განმავლობაში ახორციელებდა ფოტოგადაღებას და გამოსახულებებს გადმოსცემდა დედამიწაზე.

გასულ კვირა დღეს ამ რობოტმა გამოიკვლია უჩვეულო ფენოვანი ქვა, რომელსაც ნასა-ს მეცნიერებმა „მიმი" შეარქვეს.



ერაყში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი ამერიკელი ჯარისკაცი

ჩრდილოეთ ერაყში გზაზე დადებული ბომბის აფეთქების შედეგად, დაიღუპა ერთი ამერიკელი ჯარისკაცი, მეორე კი – დაიჭრა, იტყობინებოდნენ ამერიკელი სამხედროები.

ინციდენტი მოხდა ორშაბათს ღამით ბაღდადიდან ჩრდილო-დასავლეთით 400 კილომეტრზე მდებარე თალ-აფარის დასახლებული პუნქტის მახლობლად. ამ ინციდენტის შედეგად ორივე სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა, თუმცა ერთ-ერთი დაშავებული გარდაიცვალა, როცა იგი ჰოსპიტალში მიჰყავდათ.

დილით კი ბაღდადის ცენტრში დადებულ ნაღმზე აფეთქდა ამერიკელთა სამხედრო ბადრაგი.

როგორც ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების სარდლობის შტაბი იტყობინება, ამ აფეთქების შედეგად დაიღუპა ერთი სამხედრო მოსამსახურე და ერთიც – დაიჭრა.

ნეონაცისტებმა შებილწეს ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების მსხვერპლთა ძეგლი

ბერლინში ნეონაცისტებმა შებილწეს ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების მსხვერპლთა ძეგლი, რომელიც მდებარეობს ქალაქის შტეგლიც ცელენდორფის რაიონში, ვისმარევ-შტრასეზე.

როგორც გერმანიის „DPA" საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, დაუდგენელმა პირებმა ძეგლზე ფაშისტური სვასტიკები დახატეს.

პოლიციის პატრულმა ქიმიური საშუალებების მეშვეობით წაშალა სვასტიკები ქვის ძეგლის ზედაპირიდან.

დაიწყო ამ ინციდენტის გამოძიება.

შარონმა გაუძლო პარლამენტართა შემოტევებს

ისრაელის პარლამენტმა სამჯერ უყარა კენჭი არიელ შარონის კაბინეტისადმი უნდობლობის საკითხს, მაგრამ საბოლოო ანგარიშით, ვოტუმი მაინც არ დამტკიცებულა. პალესტინის ტერიტორიებიდან ებრაელთა მრავალი დასახლების გამოტანის შესახებ შარონისეული გეგმების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, კენჭისყრის დროს თავი ქნესეთის იმ დეპუტატებმაც კი შეიკავეს, რომლებიც მმართველ კოალიციაში შედიან.

ყოველივე ამის მიუხედავად, მთავრობამ „გაუძლო" კენჭისყრას. კენჭისყრის ინიციატორი იყო ეროვნული ერთობის უკიდურესად მემარჯვენე პარტია, რომლის წევრებიც მხარს უჭერენ იმას, რომ პალესტინელებისთვის შეიქმნას ოთხი ოლქი (კანტონი) მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე: ნაბლუსში, ჯენინში, თურქამარსა და რამალაში.

როგორც ისრაელის ტრანსპორტის მინისტრმა ავიგდორ ლიბერმანმა განაცხადა, ამ გეგმის შესაბამისად, პალესტინელებს შეეძლებათ გადაადგილება ერთი კანტონიდან მეორეში, თუმცა კანტონებს ფარგლებს გარეთ ცხოვრება მათ აეკრძალებათ. კანტონების დამაკავშირებელ გზებზე შეიქმნება ისრაელის საკონტროლო-გამშვები პუნქტები.

თუმცა, მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ავიგდორ ლიბერმანის ამ წინადადებას, ალბათ, არ ეყოლება ბევრი მხარდამჭერი ისრაელის მინისტრთა კაბინეტში.

ამავე დროს, საერთაშორისო დიპლომატია აძლიერებს ზემოქმედებას შარონზე იმ მიზნით, რომ აიძულონ იგი შეცვალოს გამყოფი ბარიერის მარშრუტი, რომელიც უკვე შენდება პალესტინის ტერიტორიებზე.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოშკა ფიშერმა, ისრაელში ყოფნისას აღნიშნა, რომ ევროკავშირი ცდილობს მიაღწიოს კედლის მშენებლობის პროექტში არსებითი ცვლილებების შეტანას.

პარიზში კი, ისრაელის პრეზიდენტის მოშე კაცავის ვიზიტის დროს გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები, რომელთა მონაწილეები გამოთქვამდნენ პროტესტს გამყოფი კედლის მშენებლობის წინააღმდეგ.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

ზაზა ბეჟანიძემ.

გიწვევთ „ეროვნული გალერეა“



შერეკილების მოდგმისა

ეროვნული გალერეის წინ დაკიდული უზარმაზარი აფიშა იუწყება: დეგაპრინტი წარმოგიდგენთ თენგიზ მირზაშვილისა და მისი ოჯახის შემოქმედებას — ახალი განზომილება. დეგაპრინტი რას ნიშნავს და რა შესაძლებლობები გააჩნია, ამას ცოტა მოგვიანებით თავად მხატვარი აგვიხსნის.

ჯერ მის მეგობარს, ზურაბ ნიქარაძეს მოვუსმინოთ: — ახალს არაფერს ვიტყვი: თენგიზი ძალიან ცნობილი მხატვარი და შემოქმედია. ყველამ ვიცით მისი ფასი, მისი წონა მხატვრობაში. თენგიზი თავისი დარგის ერთგულია, არ გადადის მომიჯნავე დარგებში. ფერწერის ენაა მისი მთავარი იარაღი, რასაც ძალიან ოსტატურად ხმარობს. მე არ მახსოვს თენგიზის ცუდი ნახატი. პიროვნულად ძალიან გულიანი კაცია, ერთგული, მიზანდასახული, თავისი მრწამსის კატეგორიული დამცველი. თენგიზის ტემპერამენტი მძლავრად იგრძნობა როგორც მის ფერწერაში, ასევე, საზოგადო მოღვაწეობაში.

— მე არც დაბადების დღე მიყვარს, არც სხვა დღესასწაულები. ჩემთვის ყველა დღე ერთნაირია. არ ვანსხვავებ მათ, — ასე დაიწყო საუბარი თენგიზ მირზაშვილმა და ჩემი სურვილი, რომ მიმელოცა მისთვის 70 წელი, რომელიც 10 თებერვალს შეუსრულდა, სურვილადვე დარჩა.

— ვის შეხვედრიხართ დიდი მხატვრებიდან?

— ჩემი მშობლები მხატვრები იყვნენ და მხატვართა წრესთან ახლობლობდნენ. ბავშვობიდან ლადო გუდიაშვილთან დავდიოდი ხშირად. ასევე კარგად ვიცნობდი ელენე ახვლედიანს. ბაჟბეუქ-მელიქოვი ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო. სამწუხაროდ, დავით კაკაბაძეს არ შევხვედრივარ. აკადემიაში ჩემი პედაგოგი იყო სერგო ქობულაძე, თუმცა მას ადრეც ვიცნობდი.

— თქვენი თაობის მხატვრებიდან ვისთან მეგობრობდით?

— ელგუჯა ბერძენიშვილთან, გივი მანტკავასთან, ჯემალ ლოლუასთან, ედმონდ კალანდაძესთან, ზურაბ ნიქარაძესთან, დიმიტრი ერისთავთან, გიგლა ფირცხალავასთან. თუმცა მარტო მხატვრების წრით არ ვიფარგლებოდი: ჩემი მეგობრები იყვნენ რეზო ინანიშვილი, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, გურამ დოჩანაშვილი, ბესიკ ხარანაული. ვახუშტი კოტეტიშვილი უახლოესი მეგობარია. ჩვენ ერთი წრე და თაობა ვართ. ნოდარ დუმბაძეც ჩემი მეგობარი იყო. ალბათ, ვინმე გამომრჩა კიდეც.

— თქვენ მუშაობთ ფერწერაში, გრაფიკაში. რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

— თავიდან უფრო გრაფიკოსად ვმუშაობდი, თუმცა ფერწერაშიც გრაფიკული ელემენტები მონაწილეობს. ბევრი წიგნის ილუსტრაცია გამიკეთებია. აღარც მახსოვს რამდენია, ალბათ, ორასამდე. ამ ბოლო დროს შედარებით ნაკლებს ვაკეთებ, დამღლელია თვალისთვის.

— სპექტაკლები გააფორმეთ, კინოში იყავით მხატვარი, რეჟისორებთან მუშაობას როგორ გაიხსენებთ?

— მე ცოტა ჭირვეული ხასიათი მაქვს და მაინცდამაინც ვერ ვეწყობი რეჟისორებს. ყველაფერზე ჩემი წარმოდგენა მაქვს და თუ არ ემთხვევა რეჟისორის აზრს, მაშინ ვკამათობ ხოლმე.

— ფიროსმანის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ.

— ბუნებრივია, ბავშვობიდან მქონდა ეს გრძნობა. გიორგი ლეონიძე მუშაობდა ფიროსმანის ბიოგრაფიაზე, ზდანევიჩები... მეც ვცდილობ გავაგრძელო ეს ტრადიცია. სჭირდება ფიროსმანს მიხედვა. ალბათ, 30 წელია ვმუშაობ და მინდა, რომ ყველაფერმა ერთ წიგნად მოიყაროს თავი. ბოლო ხანს ფიროსმანის ბევრი ახალი სურათი აღმოჩნდა.

— ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეის ერთ-ერთი დამაარსებელი ბრძანდებით, ადვილია ბავშვებთან მუშაობა?

— 1973 წლამდე ვასწავლიდი აკადემიაში, პედაგოგი ვიყავი, მერე დავანებე თავი და გადავედი გალერეაში. ახლაც იქ ვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, დრო არ მყოფნის და ნაკლებ ყურადღებას ვუთმობ ბავშვებს. მათთან მუშაობა ბევრად უფრო საინტერესოა.

— დღევანდელი გამოფენის შესახებ გვიამბეთ.

— ეს გამოფენა პოლიგრაფიის და მხატვრების ურთიერთობას ეძღვნება. არის ასეთი პიროვნება მამუკა ასათიანი, რომელმაც ჩამოიტანა საქართველოში ამერიკული ფირმა „ჰიულიტ პაკარდის“ მიერ შექმნილი ციფრული საბეჭდი მანქანა. რამდენიმე წუთში ღებულობ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას, რაც ჩვენში იშვიათია. მსოფლიოში ასეთი მანქანა არის სამასამდე. მას ჰქვია ინდიგო, ხოლო დაწესებულებას, ვინც ეს დააფუძნა ჩვენთან — დეგაპრინტი. მთელი გამოფენა არის საბეჭდ მანქანასთან თანამშრომლობის პროდუქტი. ჩემი მეუღლე, შვილები და შვილიშვილებიც მონაწილეობენ გამოფენაში.

— ახალი იდეები თუ გაქვთ?

— გაგიკვირდებათ, ახლა ისტორიულ საკითხებზე ვმუშაობ. მატიანესადმი დამოკიდებულება გაუკუღმართებულია. იმას, რაც წერია ისტორიის სახელმძღვანელოებში, სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. მირიანის ეპოქა, რომელიც უმნიშვნელოვანესია ქრისტიანული იდეოლოგიის, კულტურის ჩამოყალიბებაში და იმ დროიდან იწყება ქრისტიანული არქიტექტურა, მთლიანად ამოგდებულია ისტორიიდან. ეძებეთ რამე მუზეუმში მეოთხე საუკუნით დათარიღებული, აღრიცხვა იწყება მეხუთე საუკუნის შუა წლებიდან. ეს არის უდიერი დამოკიდებულება ჩვენი წარსულისადმი. თუ ახალი მიდგომა იწყება ყველაფერში, წინ უნდა წამოიწიოს განათლების საკითხმაც. ახლა რაღაც თურქულ-ამერიკული წიგნებია მოდაში, ტრადიციული ქართული საბავშვო წიგნი აღარ არსებობს. ვმუშაობ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტებზე. ძალიან ზერელედ არის გაკეთებული ინტერპრეტაციები, კონტექსტი, წაკითხვა. არსებობს კომისია, სადაც მეც ვმონაწილეობ. ადრე კომუნისტური აზროვნება მძლავრობდა, დღეს კი უპასუხისმგებლობამ და განუკითხაობამ კულმინაციას მიაღწია, მაგრამ ეს უნდა დამთავრდეს. ჩვენ ვართ ვაჟა-ფშაველას, ფიროსმანის, გალაკტიონის ქვეყანა. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ღირსეულად მოვექცეთ ყველაფერს.

კიდევ რამდენიმე შტრიხი მხატვრის პორტრეტისათვის.

პარლამენტარი ელდარ შენგელაია:

— ჩვენ ერთად ვიმუშავეთ ფილმ „შერეკილებზე“ და რატომ იცით? თვითონ ხომ ნამდვილი შერეკილია (იცინის), არაჩვეულებრივი გულის პატრონია, შესანიშნავი ოჯახი ჰყავს, არის ნიჭიერებით და სიკეთით სავსე. სულ ვამბობ ხოლმე, როდესაც რაღაც მიჭირს, ან ვერ ვგრძნობ თავს კარგად, ყოველთვის მასთან მივდივარ და ვწყნარდები.

რეჟისორი მზიო გოგოჭური: — ფილმი თენგიზ მირზაშვილზე ჩემი სადიპლომო ნამუშევარია. მინდოდა დებიუტი საინტერესო ყოფილიყო და ამიტომ ასეთ მრავალმხრივ პიროვნებაზე შევაჩერე არჩევანი და გადავწყვიტე, რომ პორტრეტი გამეკეთებინა. თავისი თავმდაბლობით იგი თითქოს ჩრდილშია მოქცეული. დრო გამოაჩენს კიდევ რა დონის მხატვარია. გარდა მხატვრობისა, ღრმად აქვს შესწავლილი ისტორიის საკითხები, პოეზიას გრძნობს და ერკვევა პროფესიონალის დონეზე, გამოსცა გაზეთი „წილკანი“, მივიწყებულ პოეტებს უწევს პოპულარიზაციას. რომელი ერთი ჩამოვთვალო, ამასთან, არის ძალიან თბილი და კეთილშობილი ადამიანი.

გამოფენა გაიხსნა. მილოცვების და გამოსვლების შემდეგ თენგიზ მირზაშვილს გადასცეს სიტყვა. მას არაფერი უთქვამს. ქუდი მოიხადა და ხელი დაგვიქნია. ასეთი გულწრფელობით და უშუალობით გადაუხადა მადლობა დამსწრე საზოგადოებას.

ნანული ზოტიკიშვილი.

სურათებზე: 70 წლის თენგიზ მირზაშვილი და მისი ნახატები.





წინაპარი

მიხეილ საბინინი და ბოდბის ეკლესია-მონასტერი

დედით ქართველი (მირზაშვილი), მამით რუსი მიხეილ საბინინი (1845-1900) თბილისის საფოსტო განყოფილების მოხელის, ტიტულარული სოვეტნიკის გიორგი პანოვის შვილობილი იყო.

ღვთისმეტყველების კანდიდატი პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების (1875) შემდეგ თბილისს გამოემგზავრა, საზოგადო მოღვაწეობას შეუდგა და სიძველეებისა და სასულიერო მწერლობის მკვლევარი გახდა: კრებდა ხელნაწერებს, საეკლესიო მწერლობის, მხატვრობისა და ოქრომჭედლობის ნიმუშებს, რელიკვიებს, ეპიგრაფიკულ წარწერებს. იღვწოდა ხელოვნების ძეგლების (დასაღუპავად განწირული ეკლესიების, ნიშების, საფლავების) შეკეთება-აღდგენისათვის, „საქართველოს სამოთხის“ გამოცემითა (პეტერბურგი, 1882) და სათანადო გამოკვლევით მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო ძველი ქართული მწერლობის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეს როგორც ჩვენში, ისე — საზღვარგარეთ. ნაშრომში პირველად წარმოგვიდგინა სრული სახით V-XVII საუკუნეების რჩეული ძეგლები. მდიდრული რეპროდუქციები მოძიებულია მიხეილის მიერ და ამით დამშვენებულია ეს ენციკლოპედიური შინაარსის წიგნი. ნაშრომი ქართულ ენაზეა დაწერილი.

საბინინს რუსულ ენაზე აქვს დაწერილი: „ქართული ეკლესიის წმინდანების ცხოვრებათა სრული აღწერილობა“ (1872) და „ქართული ეკლესიის ისტორია“ (1877).

ქართული ენის დევნის, ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებდა, იცავდა ქართული ეკლესიის უფლებებს, რის გამოც სინოდმა უარი უთხრა ეპისკოპოსის ხარისხზე.

მიხეილ საბინინს დიდი წვლილი მიუძღვის დავით გარეჯის უდაბნოს განახლებისა და გამშვენიერების საქმეში. რომ არ დაკარგულიყო, გაუთხრია უპატრონოდ მიტოვებული წმინდა დოდოს საფლავი და მისი ძვლები დავითის საფლავში გადაუსვენებია; უზრუნია გარეჯის მონასტრის შემკობისათვის, საამისოდ მოსკოვიდან და პეტერბურგიდან ჩამოუტანია ჯვრები, კანკელი და საფარი წმიდა დავით გარეჯის საფლავისათვის, აგრეთვე ტრაპეზის შანდლები, მარმარილოს ლუსკუმი და მამა დავითის საფლავზე დასადებელი ხატი. მისი დიდი სურვილი ყოფილა, დავით გარეჯის ნაწამებ მიწაში დაკრძალულიყო, „ეს მონასტერი უნდა ავაყვავო და ჩემი ძვლები აქ უნდა ჩავყაროო“ („ივერია“, 1904, №245).

რედაქტორ-გამომცემელს, აგიოგრაფიულ თხზულებათა რუსულ ენაზე მთარგმნელს მიხეილ საბინინს წმიდა ნინოს სახელობის ბოდბის მონასტერში მეცნიერულ-ბიბლიოგრაფიულ საქმიანობასთან ერთად უწარმოებია სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოებიც, 1880 წელს „დროება“ (№271) წერდა: „სამაგალითო მეცადინეობით, მხნეობითა და ქრისტიანებრივის სასოებით განიზრახა მ. საბინინმა განახლება ჩვენი სამშობლოს განმანათლებლის, ჩვენს წინაპართ ისტორიულის ნაშთის და ჩვენი სასიქადულო სიწმიდის წმიდა მოციქულთა სწორის ბოდბის სობოროსი და დასრულება აქ ნაშენის სამრეკლოსი“. ცხრამეტი წლის შენების შემდეგ დაუდგია მშვენიერი ცხრაფუთიანი ჯვარი, გარდა ამისა, უამრავი ძვირფასი ნივთი ჩამოუტანია მონასტრისთვის. სასიხარულო ამბავს იუწყებოდა „ივერია“ 1886 წელს (№9): „მ. საბინინმა ჩამოიტანა რუსეთიდამ დიდი ზარი და წაიღო ს. ბოდბეს წმ. ნინოს ეკლესიაში ჩამოსაკიდებლად, ამ იანვრის 14 რიცხვისათვის“.

„დროებიდან“ (1880 წ. №194) მოგვყავს „სია ეკლესიის იმ სამკაულების და კუთვნილებისა, რომელნიც მ. საბინინს შეუგროვებია პეტერბურგში და მოსკოვში საქართველოს განმანათლებელი წმ. ნინოს ეკლესიისათვის:

1. ბრონძის დიდი ჯვარი, ჩამოსხმული ათ ფუთ-ნახევრიანი, ცეცხლში ოქროცურვილი, ოთხჯერ ღირებული 900 მან. 2. ბუშტი 8 ფუთიანი, ღირებული 200 მან. 3. 5 ცალი თეთრი ვერცხლის ქესტი, 57 ფუთი — 1026 მან. 4. 5 წვრილი ზარი — 209 მან. მეექვსე ზარი 12 ფუთი — 229 მან. მერვე ზარი 13 ფუთიანი 257 მან. მეცხრე ზარი 40 ფუთიანი — 300 მან. მეათე ზარი 30 ფუთი — 570 მან. 5. ღვთისმშობლის, წმიდა ნინოს, წმ. გიორგის, წმ. შიოს ხატები, ჩამოსხმული ქართული ქორონიკონითურთ. 6. 4 შანდალი, წმ. ნინოს საფლავისათვის — 300 მან. ორი სახმარი შანდალი — 100 მან. 7. თეთრი კარსის მარმარილოს ლუსკუმა გარინის მხატვრობით — 800 მან. ლუსკუმას აქვს ორი ადლი და ოთხი გოჯი სიგრძე. 8. წმ. ნინოს ხატი სარკე შუშით, გარშემო ოქროს ჩარჩო. 9. თეთრი ვერცხლის ზედ წასახურავი წმ. ნინოს საფლავისათვის, თითოს ოთხი ადლი სიგრძე სიგანე. 10. 7 მშვენიერი ხელოვნების ლამპრები ოქროში ნაცური წითელი შუშებით, რომელიც ეკიდება წმ. ნინოს საფლავზე 700 მან. 11. ერთი დიდი ვერცხლში ნაცური ხომლი, რომელიც წმ. ნინოს საფლავზე ეკიდება — 250 მან. მეორე ხომლი ბრონზისა; დიდი — 500 მან. 12. ტრაპეზისათვის დიდი შვიდი საშანდლე — 150 მან. 13. წყვილი შესამოსელი — 200 მან. 14. წყვილი წითელი დროშები ოქროს ვარაყით შემკული — 120 მან. 15. რვა წყვილი დაფარნა — 60 მან. და 16. ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმი ოქროში ცურვილი — 150 მან.



ბოდბის სამონასტრო კომპლექსი.

რამდენი რამ მოუსწრია 55 წლის მანძილზე მიხეილ საბინინს ერის სიყვარულით! ჩვენ ხომ მხოლოდ მცირედით შევეხეთ მის ნაღვაწს. საბინინის მემკვიდრემ ყველაფერი, რაც დარჩა, შესწირა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, ეს იყო მიხეილ საბინინის ნაქონი ხელნაწერები, წიგნები, ნივთები.

გიორგი სარაჯიშვილი.

ოთხშაბათი 18 თებერვალი	ხუთშაბათი 19 თებერვალი	პარასკევი 20 თებერვალი
07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "[illegible]" **11.40** დოკ. სერიალი "ჩემი სავაჟკაცო ოჯახი" **12.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სირენები" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "ჩემი სავაჟკაცო ოჯახი" **15.15** მხ. ფილმი "[illegible]" **16.35** [illegible] **17.05** დოკ. სერიალი "ჩემი სავაჟკაცო ოჯახი" **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** [illegible] **18.20** ტელესერიალი "სირენები" **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმედის რაში" **21.35** "არტი" წარმოგიდგენთ **21.50** სერიალი "[illegible]" **23.45** მხ. ფილმი "[illegible]"	**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "[illegible]" **11.40** დოკ. სერიალი "ჩემი სავაჟკაცო ოჯახი" **12.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სირენები" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "ჩემი სავაჟკაცო ოჯახი" **15.15** მხ. ფილმი "[illegible]" **17.40** დოკ. სერიალი "ჩემი სავაჟკაცო ოჯახი" **18.00** [illegible] **18.20** ტელესერიალი "სირენები" **19.15** [illegible] **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმედის რაში" **21.35** "არტი" წარმოგიდგენთ **21.50** სერიალი "[illegible]" **23.45** მხ. ფილმი "[illegible]"	**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი "ორფეოსი" **11.40** დოკ. სერიალი "ჩემი სავაჟკაცო ოჯახი" **12.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სირენები" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** [illegible] **15.15** მხ. ფილმი "[illegible]" **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** [illegible] **18.20** ტელესერიალი "სირენები" **19.15** [illegible] **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმედის რაში" **21.35** "არტი" წარმოგიდგენთ **21.50** [illegible] **22.30** სერიალი "[illegible]" **23.45** მხ. ფილმი "[illegible]"
19.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი **19.35** კინოსეანსი "[illegible]" **21.00** [illegible] **21.20** [illegible] **22.10** მხ. ფილმი "[illegible]"	**19.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი **19.35** კინოსეანსი "[illegible]" **21.30** [illegible] **22.10** მხ. ფილმი "[illegible]"	**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი **19.35** კინოსეანსი "[illegible]" **21.05** [illegible] **22.10** [illegible] მხ. ფილმი "[illegible]"
07.00 დილა მზიურიდან **08.00** "ტელეპოსტი" **09.40** სერიალი "[illegible]" **11.00** დოკ. ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "[illegible]" **18.20** "ტელეპოსტი" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "[illegible]" **22.00** [illegible] **22.50** [illegible] **23.20** მხ. ფილმი "[illegible]"	**07.00** დილა მზიურიდან **08.00** "ტელეპოსტი" **09.40** სერიალი "[illegible]" **11.00** [illegible] **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "[illegible]" **18.20** "ტელეპოსტი" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "[illegible]" **22.00** [illegible] **22.50** [illegible] **23.20** მხ. ფილმი "[illegible]"	**07.00** დილა მზიურიდან **08.00** "ტელეპოსტი" **09.40** სერიალი "[illegible]" **11.00** [illegible] **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.30** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "[illegible]" **18.20** "ტელეპოსტი" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "[illegible]" **22.00** [illegible] **22.50** [illegible] **23.20** მხ. ფილმი "[illegible]" **01.45** მხ. ფილმი "[illegible]"
08.00 ანონსი **08.05** დილა **10.00** მხ. ფილმი "[illegible]" **12.15** სიღრმეები **13.00, 17.00, 19.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 13.30** დოკ. ფილმი **14.50, 18.30, 21.50, 23.30, 01.05** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "[illegible]" **17.30** [illegible] **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **18.45** [illegible] **19.45** [illegible] **20.00** მხ. ფილმი "[illegible]" **22.15, 23.00** [illegible] **23.45** მხ. ფილმი "[illegible]"	**08.00** ანონსი, დილა **10.30** მხ. ფილმი "[illegible]" **12.20, 14.50, 17.20, 17.50, 21.45, 01.05** მუსიკა **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 20.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** დოკ. ფილმი **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "[illegible]" **17.30** [illegible] **18.00** [illegible] **20.30** მხ. ფილმი "[illegible]" **22.15, 23.00** [illegible] **23.45** მხ. ფილმი "[illegible]"	**08.00** ანონსი, დილა **10.30** მხ. ფილმი "[illegible]" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 20.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** [illegible] **14.50, 17.20, 17.50, 21.55, 23.30, 01.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "[illegible]" **17.30** [illegible] **18.00** დოკ. ფილმი **18.45, 19.45** [illegible] **20.00** [illegible] **20.25** [illegible] **22.15, 23.00** [illegible] **23.45** მხ. ფილმი "[illegible]"
07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 15.15, 16.05, 17.20, 00.40** [illegible] **08.00** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "[illegible]" **11.35** დოკ. სერიალი **12.10** სერიალი "[illegible]" **13.30** [illegible] **14.00** სერიალი "[illegible]" **15.15** მხ. ფილმი "[illegible]" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.20** ქრონიკა **18.05** სერიალი "[illegible]" **19.30** სერიალი "[illegible]" **20.30** [illegible] **21.30** [illegible] **22.50** მხ. ფილმი "[illegible]"	**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 16.40, 17.20, 00.40** [illegible] **08.00** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "[illegible]" **11.05** [illegible] **12.10** სერიალი "[illegible]" **14.05** სერიალი "[illegible]" **15.15** მხ. ფილმი "[illegible]" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.20** ქრონიკა **17.25** [illegible] **18.05** სერიალი "[illegible]" **19.30** სერიალი "[illegible]" **20.30** სერიალი "[illegible]" **21.30** [illegible] **22.50** მხ. ფილმი "[illegible]"	**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 16.50, 17.20, 17.55, 00.45** [illegible] **08.00** "იმედის" დილა **10.15** სერიალი "[illegible]" **11.35** დოკ. სერიალი **12.10** სერიალი "[illegible]" **13.30** [illegible] **14.05** სერიალი "[illegible]" **15.15** მხ. ფილმი "[illegible]" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.25** ქრონიკა **17.25** [illegible] **18.05** სერიალი "[illegible]" **19.30** სერიალი "[illegible]" **20.30** [illegible] **22.50** მხ. ფილმი "[illegible]"
09.00 დოკ. სერიალი "ტაიმლაიფის მეგზური" **10.00** სერიალი "[illegible]" **11.00** მხ. ფილმი "[illegible]" **13.35** [illegible] **15.10** მხ. ფილმი "[illegible]" **18.30** მულტსერიალი **19.00** სერიალი "[illegible]" **20.00** [illegible] **21.00** მხ. ფილმი "[illegible]" **23.00** მხ. ფილმი "[illegible]"	**09.00** დოკ. სერიალი "ტაიმლაიფის მეგზური" **10.00** სერიალი "[illegible]" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** [illegible] **13.35** [illegible] **15.10** მხ. ფილმი "[illegible]" **18.30** მულტსერიალი "ცეროდენა მოგზაურები" **19.00** სერიალი "[illegible]" **20.00** [illegible] **21.00** მხ. ფილმი "[illegible]" **23.00** მხ. ფილმი "[illegible]"	**09.00** დოკ. სერიალი "ტაიმლაიფის მეგზური" **10.00** სერიალი "[illegible]" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** [illegible] **13.35** [illegible] **15.10** [illegible] **18.30** მულტსერიალი "ცეროდენა მოგზაურები" **19.00** სერიალი "[illegible]" **20.00** [illegible] **21.00** მხ. ფილმი "[illegible]" **23.00** მხ. ფილმი "[illegible]"
07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "ეკვილიბრიუმი" მთ.რ-ში კრისტიან ბეილი, შონ ბინი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "მოსახვევი იქით არ არის" მთ.რ-ში ელიზა დუშკუ. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე	**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "ბიჭები ცოცხებით". მთ. რ-ში პოლ გროსი, მოლი პარკერი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "სიზმრების დამჭერი" მთ.რ-ში მორგან ფრიმენი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე	**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "ეველინი". მთ. რ-ში პირს ბროსნანი, ეიდან კუინი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.15** სოლო **00.00** "ბრავო" "ხარტის ბრძოლა" მთ.რ-ში ბრიუს უილისი, კოლინ ფარელი. **01.40** "ღამურა" **03.45** პაუზის გარეშე

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1) **ფოთის** საზღვაო ნავსადგური (ქ. ფოთი 4401, დავით აღმაშენებლის ქ. № 52, ტელ-ფაქსი: 8 (293) 7-01-48, საბანკო რეკვიზიტები: გაერთიანებული ქართული ბანკის ფოთის № 23 ფილიალი, ა/ა № 623607, ბ/კ № 220101606) აცხადებს ღია ტენდერს სხვადასხვა სახის ზეთების შესყიდვაზე, მათ შორის:

- ინდუსტრიული ზეთი — И-20=4000 კგ.
- ტრანსფორმატორის ზეთი ТКП=6500 კგ.
- ჰიდრავლიკური ზეთი — Rimula-X დიზელის ძრავისათვის 15w40=800 კგ; 10w30=400 კგ.
- ჰიდრავლიკური ზეთი — TELUS-68=400 კგ.
- ავტომობილის ზეთი — НД-40=1000 კგ.
- დიზელის ზეთი — M-14=20000 კგ.
- დიზეთის ზეთი — M-16=30000 კგ.
- ჰიდრავლიკური ზეთი C5 clobal 15W40=8 ტ.
- ჰიდრავლიკური ზეთი HV46=6000 კგ.
- ჰიდრავლიკური ზეთი HV68=2000 კგ.
- ჰიდრავლიკური ზეთი HV32=500 კგ.

სხვადასხვა სახის ჰიდრავლიკური ზეთები: მათ შორის:

- QE-HT30=200 კგ.
- GR-XP100=100 კგ.
- GR-XP220=300 კგ.
- 85w140=200 კგ.
- MPS32=100 კგ.

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2) საქონლის მიწოდების და მომსახურების ადგილი და ვადა: ფოთის საზღვაო ნავსადგურის ცენტრალური საწყობი, საქონლის მიწოდების სასურველი ვადები **2004 წლის აპრილიდან 2004 წლის დეკემბრამდე ეტაპობრივად.**

3) დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონცემები: (ქართველმა „მიმწოდებელმა“ — ქართულად, ხოლო უცხოელმა „მიმწოდებელმა“ — მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. № 52, ნავსადგურის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული (ნავსადგურის კანცელარია), საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48, **2004 წლის 2 მარტიდან 2004 წლის 11 მარტის 16 საათამდე.**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით), რეგისტრაციის ადგილი, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი;

ბ) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული მიწოდების საერთო მოცულობა ლარებში;

გ) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება;

დ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება;

ე) ბოლო 5 (ხუთი) წლის ფინანსური ანგარიშები (ბალანსები, აუდიტორული დასკვნები და ა. შ.) დაურთეთ ასლები;

ვ) ინფორმაცია საფინანსო რესურსების შესახებ (ფულადი სახსრები, საკრედიტო საშუალებები და ა. შ.) დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

ზ) საგადასახადო დავალიანებები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო ფონდისადმი. დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები.

5. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. № 52, ფოთის საზღვაო ნავსადგურის სატენდერო აპარატი, **2004 წლის 15 მარტიდან 2004 წლის 19 მარტის 16 საათამდე.**

8. ტენდერში საქართველოსა და უცხო ქვეყნების პრეტენდენტების მონაწილეობის შემთხვევაში საქართველოს პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების მიმართ გამოიყენება პრეფერენციული შეღავათი 15 პროცენტის ფარგლებში.

9. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია — სატენდერო წინადადების ღირებულების 1 პროცენტის ოდენობით, ხოლო ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მექანიზმი — „ხელშეკრულების ფასის“ 2 პროცენტის ოდენობით, ხელშეკრულების ვადის დამთავრებამდე.

10. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

11. ტენდერში დასაშვებია ალტერნატიული წინადადების წარდგენა.

12. ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება შემდეგ პრიორიტეტებს: საქონლის ფასი, საქონლის ხარისხი, ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები და სხვა.

13. ტენდერში მონაწილემ სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული საქონლის დამადასტურებელი შესაბამისობის და წარმოშობის სერტიფიკატები.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: მ. დანელია და ლ. კეშელავა, შემდეგ მისამართზე: **ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. № 52, ფოთის ნავსადგურის სატენდერო კომისიის აპარატი, საკონტაქტო ტელ: 8(293) 7-01-48.**

ფოთის ნავსადგურის სატენდერო კომისიის თავმჯდომარე
ვ. ხოხობაია.

ვიწყებთ შპს „თბილბითუმის“ ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.

განცხადება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პააგის“ მიერ წარმოდგენილია II კატეგორიის საქმიანობაზე: საგარეჯოს რაიონში „იორის თიხის საბადოს დამუშავების პროექტი“.

საპროექტო დოკუმენტაციების გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია ა. წ. 6 აპრილამდე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პრესცენტრში — თბილისი, კოსტავას №68ა, VI სართული და გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტში — თბილისი, ფალიაშვილის №87, ტ. 25-02-19.

საჯარო განხილვა შედგება 2004 წლის 6 აპრილს 12 საათზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში.

გარემოსდაცვითი ნებართვისა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტი.

ჭადრაკი

„დიდი სამეული“, პლუს, კიდევ ოთხი

ჭადრაკი რომ არ ყოფილიყო, ვის ეცოდინებოდა პატარა ესპანური ქალაქი ლინარესი? ახლა კი ყოველ თებერვალს მთელი სპორტული სამყაროს ყურადღება სწორედ ამ ქალაქისაკენ არის მიპყრობილი — აქ ხომ წლის ყველაზე ძლიერი, უმაღლესი კატეგორიის, როგორც ახლა ამბობენ, სუპერტურნირი იმართება. დიახ, სწორედ მან უნდა უპასუხოს დღეისათვის ფრიად აქტუალურ კითხვას: ძალთა როგორი შეფარდებაა სამ დიდოსტატს შორის, რომლებიც ასე გამოირჩევიან საჭადრაკო სამყაროში, ზოგი თავისი წოდებით, ზოგი — რეიტინგით. ცხადია, ლაპარაკია კასპაროვზე, კრამნიკსა და ანანდზე.

არც ისე დიდი ხნის წინათ დამთავრებულ ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირს ის ნაკლი ჰქონდა, რომ იქ კასპაროვი არ თამაშობდა. ზოგჯერ მიმომხილველები იმასაც კი წერენ, რომ თუ კასპაროვი შეჯიბრებაში არ მონაწილეობს, ის ასპარეზობა საკმაოდ უფერულდება. ამიტომაც არის, რომ საერთაშორისო პრესტიჟული ტურნირების ორგანიზატორები დაწყებიდან დიდი ხნით ადრე, თუ შეიძლება ასე ითქვას, დასდევენ თანამედროვეობის ყველაზე პოპულარულ მოჭადრაკეს და თხოვენ აუცილებლად გამონახოს დრო და ითამაშოს მათ ასპარეზობაში.

მაშ ასე, ლინარესში კასპაროვიც თამაშობს, კრამნიკიც და ანანდიც. ეს უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. ლინარესს ერთი უპირატესობაც აქვს ვეი-ანნ-ზეესთან შედარებით. იგი ორი წრისაგან შედგება, ეს კი ხელს შეგვიწყობს გავიგოთ, როგორ „უყურებს“ ერთმანეთს ეს დიდი სამეული.

გარი კასპაროვს: (13.04.1963. რეიტინგი 2831), რომელიც შარშან წლის მეორე ნახევარში ძალიან ცოტას თამაშობდა (კომპიუტერთან შეჯიბრება არ ითვლება), ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად მოუხდება თავის მუდმივ მეტოქეებთან შეხვედრა. კასპაროვი ყოველთვის პირველი პრიზისათვის იბრძვის, თუ მიზანს ვერ მიაღწია (რაც ძალიან იშვიათად ხდება), თვლის, რომ ტურნირი „ჩაუვარდა“. თამაშობს თუ არ თამაშობს, ინტერვიუს არავის ამადლის, უკანასკნელად კი პირდაპირ სენსაციური რამ თქვა — თვლის, რომ მსოფლიოს ჩემპიონი არა ჰყავს. როცა ჩემპიონობა 2000 წელს მოიპოვე, კეთილი ინებე და ეს წოდება დაიცავი. კრამნიკი კი, კასპაროვის აზრით, ამაზე არ ფიქრობს. მხოლოდ ახლა გამოჩნდა ცნობა, რომ შემოდგომაზე შეიძლება მოეწყოს მისი მატჩი ლეკოსთან. ასე გამოდის: თუ კრამნიკს ფიქტიურ ჩემპიონად ჩავთვლით, ფაქტობრივი ჩემპიონი მაინც კასპაროვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კასპაროვს, რაც არ უნდა დაუჯდეს, მაინც მოუხდება გაასწროს კრამნიკს, შეიძლება ანანდს არა, მაგრამ კრამნიკს — აუცილებლად. ამასთან დაკავშირებით, გვახსენდება რეშევსკის ხუმრობა ერთ-ერთი ტურნირის წინ: იგი „თანახმაა“ ბოლოსწინა ადგილი დაიკავოს, თუკი ბოლო ადგილი ფიშერს დარჩება! ეს არც ისე დიდი ხნის წინათ იყო, სულ რაღაც... ნახევარი საუკუნის წინ !

მოდით, თვალყური ვადევნოთ კასპაროვსა და კრამნიკს. ამასთან, გულშემატკივრებს უნდა გავახსენოთ, რომ თუმცა კასპაროვი ტურნირებში უსწრებს თავის მუდმივ მეტოქეს, პირადი ანგარიში, თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც უარყოფითი აქვს. ამდენი ხნის პაექრობის შემდეგ კრამნიკმა მოიგო 4 პარტია, კასპაროვმა — 3, ხოლო 33 ყაიმით დასრულდა. ჩვენ მხოლოდ „სრულმეტრაჟიან“ პარტიებს ვგულისხმობთ, სწრაფ და ელვისებურებს არ ვითვალისწინებთ.

ის, რაც ვლადიმერ კრამნიკს (25.06.1975. რეიტინგი 2777) ვეიკ-ან-ზეეში დაემართა, დიდ სპორტულ მარცხად უნდა ჩაითვალოს. 6,5 ქულა (!) 13 შესაძლებლიდან, ადგილი სატურნირო ცხრილის შუაგულში, სამი მწარე წაგება, პრინციპულ შეხვედრებში ხელიდან გაშვებული უპირატესობა — ასეთი რამ კრამნიკს საერთოდ არ ახსოვს. ამასთან, თუ ახლა სარეიტინგო ცხრილში მაინც მეორე ადგილზეა, მოელიან, რომ ზაფხულისათვის მესამეზე გადაინაცვლებს, წინ ანანდს გაუშვებს. ყოველივე ეს ვეიკ-ან-ზეეს და ანანდის ბრწყინვალე წარმატების შედეგია, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ, კასპაროვთან შედეგისა არ იყოს, კრამნიკს პირად შეხვედრებში ინდოელთანაც აქვს უპირატესობა: ხუთი მოგება, ოთხი წაგება და 29 ყაიმი.

თუკი შარშან კასპაროვი და კრამნიკი ძალიან ცოტას თამაშობდნენ, სამაგიეროდ ვიშვანათან ანანდი (11.12.1969, რეიტინგი 2766), მისი ბოლო მიღწევა ვეიკ-ან-ზეეში მხოლოდ ზაფხულისთვის იქნება გათვალისწინებული) განუწყვეტლივ მოგზაურობდა და განუწყვეტლივ იმარჯვებდა. თუმცა — სწრაფ ჭადრაკში. მაგრამ აკი იანვარშიც, უკვე სუპერტურნირში, ასე ბრწყინვალედ ითამაშა! ანანდზე ამბობენ, რომ მას შეუძლია პირველი ადგილი დაიკავოს ნებისმიერ შეჯიბრებაში, თუკი იქ კასპაროვი არ თამაშობს. აი, კასპაროვს რომ დაინახავს... ეს მათი პირადი ანგარიშითაც დასტურდება: კასპაროვმა მოუგო 15 პარტია, ანანდმა მხოლოდ — 5. ამასთან, 26 ყაიმით დამთავრდა. ფრიად დიდი და დამაჯერებელი უპირატესობაა. ვნახოთ, რას გვიჩვენებს ამ „მატადორების“ ორი შეხვედრა ლინარესში.

დიდი სამეულის გარდა, ლინარესში კიდევ 4 დიდოსტატი თამაშობს. შეიძლება ისინი პირველი ადგილისთვის ბრძოლაში ვერ ჩაერიონ, მაგრამ სტატისტების როლს ნამდვილად არ შეასრულებენ. ვესელინ ტოპალოვს (15.03.1975, 2735) ახლა მსოფლიოში მეექვსე რეიტინგი აქვს, ვეიკ-ან-ზეეში ერთადერთი იყო, ვინც დამარცხება აგემა ანანდს. მეხუთე რეიტინგი აქვს რიგელს (სადაც ცხოვრობს) — ესპანელ (პასპორტით), ეროვნებით რუს ალექსეი შიროვს (04.07.1972, 2736), რომელსაც არ ავიწყდება, რომ თავის დროზე პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში კრამნიკი დაამარცხა, ამდენად მსოფლიო პირველობაზე მაშინდელ ჩემპიონ კასპაროვს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს ორთაბრძოლა (როგორც შიროვი ირწმუნება, კასპაროვის „ხრიკების“ გამო) ჩაიშალა. რატომ არ უნდა იფიქროს ახალ წარმატებებზე დიდოსტატმა, რომელსაც 32 წელიც კი არ შესრულებია?!

თეიმურ რაჯაბოვს (12.03.1987, რეიტინგი 2656) ყველა ტურნირში სიამოვნებით იწვევენ, თვლიან, რომ დღეს იქნება თუ ხვალ, იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდება. ზაფხულში სარეიტინგო სიაში აზერბაიჯანელი მხოლოდ 45-ე იყო, ახლა 35-ე ადგილზეა. ერთი სიტყვით, წინ მიიწევს, ამასთან, ექსპერტების აზრით, ისე მშვენივრად თამაშობს, რომ ყოველ ტურნირში მისგან ახალი „ნახტომია“ მოსალოდნელი.

მეშვიდე და უკანასკნელი მონაწილე პონს ფრანსისკო ვალიეხო (21.08.1982, 2663) გახლავთ. როგორც ხედავთ, რეიტინგით რაჯაბოვს კი უსწრებს, მაგრამ ამ ტურნირში ვინ დაუშვებდა, ესპანელი რომ არ იყოს... ისე კი, ვალიეხო ძალიან ნიჭიერია და ბოლო ადგილის დაკავებას სულაც არ აპირებს.

გივი გამრეკელი.

აქეთურ-იქითური

მეკარეს გულს ნუ ატკენ

ინგლისის პრემიერ-ლიგის მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ „ლესტერი“ და „ასტონ ვილა“. გახურებული თამაში იყო, როცა მინდორზე ერთი გულშემატკივარი შემოიჭრა, მასპინძლების მეკარესთან მიიჭრა და მისი მოქმედებით უკმაყოფილობა გამოხატა. „ლესტერის“ მეკარე სახტად დარჩა, მოთმინებიდან გამოვიდა და „მრჩეველს“ რამდენჯერმე გაარტყა.

— იმედი მაქვს, იონ უოკერს არ დასჯიან, — განაცხადა „ლესტერის“ მწვრთნელმა, — ჯერ ერთი, გულშემატკივარი მინდორზე არ უნდა შეიჭრას. მე კი მესმის მისი აღშფოთება, მაგრამ სტადიონზე ხომ კიდევ 30 ათასი მაყურებელი იყო და ისინი მინდორზე არ გადმოსულან.

კანი ფსიქოლოგს ეძებს

როგორც მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების მეკარემ ოლივერ კანმა განაცხადა, მას აუცილებლად სჭირდება ფსიქოლოგის კონსულტაციები, რათა მატჩების წინ სათანადოდ განეწყოს.

კანის აზრით, მას ფსიქოლოგი იმიტომ სჭირდება, რომ მაღალ დონეზე გამოსვლის სულ ნაკლები და ნაკლები მოტივაცია აქვს. ადრე განთქმული მეკარე ამის საჭიროებას არ გრძნობდა, იოგის ვარჯიშებს ასრულებდა და სპეციალურ ლიტერატურასაც კითხულობდა.

დიახ, შესაძლებელია „როქიც“

როგორც ცნობილია, მილიარდერი რომან აბრამოვიჩი კარგა ხანია ეპატიჟება ინგლისის ნაკრების ახლანდელ მწვრთნელ შვედ სვენ-გორან ერიქსონს, რათა იგი „ჩელსის“ ჩაუდგეს სათავეში. თითქოს ამ საქმეს წინ აღარაფერი უდგას და ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ერიქსონი არისტოკრატების კლუბში აღმოჩნდება.

რაც შეეხება „ჩელსის“ ახლანდელ ხელმძღვანელ კლაუდიო რანიერის, რომელიც შესანიშნავ სპეციალისტად ითვლება, მან, ინგლისელი მიმომხილველების აზრით, შესაძლოა, ერიქსონი შეცვალოს... ინგლისის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე.

რატომ გაუქმდა „კრისტალი“?

სმოლენსკის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „კრისტალი“, რომელიც რუსეთის პირველ დივიზიონში ასპარეზობდა, გაუქმებულად გამოცხადდა.

რატომ? აი, რას ამბობს კლუბის დირექტორ-აღმასრულებელი სერგეი ბორისოვი: — ახლა „კრისტალის“ საქმეებს სამართალდამცავი ორგანოები სწავლობენ, ავლენენ მის ერთწლიან და ორწლიან ვალებს, რომლებიც დღემდე არ დაუფარავთ. ამ დღეებში სმოლენსკის საარბიტრაჟო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „კრისტალმა“ საპენსიო ფონდს 6 მილიონი რუბლი უნდა გადაუხადოს“, სმოლენსკი კი უფეხბურთოდაც გაძლებს.

ბექჰემს დიდი უსიამოვნება მოელის

დევიდ ბექჰემის ყოფილი პირადი მცველები აპირებენ 700 ათასი ევროს ფასად მისი პირადი, კერძო ცხოვრების საიდუმლოებები გაამჟღავნონ.

კუბის სპეცსამსახურების ორი ყოფილი თანამშრომელი არა მარტო იცავდა ბექჰემს ბოლო სამი თვის მანძილზე, არამედ ყოველდღიურად აგროვებდა ფოტოსურათებს, დევიდის სატელეფონო საუბრების ჩანაწერებს, იწერდა დღიურში მის ყოველ თავგადასავალს. ამას წინათ კუბელები ფეხბურთელის მეუღლის ვიქტორიას ინიციატივით დაითხოვეს და ინგლისური დაცვის სააგენტოს მოსამსახურეებით შეცვალეს, ამ სააგენტოს მფლობელი კი ვიქტორიას მამაა.

კოლინა საქმიანობას ინგლისში გააგრძელებს?

ცნობილმა საფეხბურთო მსაჯმა იტალიელმა პიერლუიჯი კოლინამ შეიძლება თავისი კარიერა ინგლისში გააგრძელოს.

საქმე ის არის, რომ იტალიური საფეხბურთო კანონებით მსაჯები თავის საქმიანობას 45 წლის ასაკში წყვეტენ, ინგლისში კი 47 წლის ასაკში. ამიტომ 2005 წელს, როცა კოლინა 45 წლის გახდება, მას შეეძლება ორი სეზონის განმავლობაში ინგლისში იმუშაოს.

როგორც ინგლისური პრესა იუწყება, განთქმულ მსაჯს უკვე მიეცა შესაბამისი წინადადება.

მარადონას „დოპინგის მეფე“ უწოდეს

ის, რომ მარადონა უდიდესი ფეხბურთელია, ამაში არასოდეს არავის ეჭვიც კი არ შეპარვია. მას ფეხბურთში ისეთი მიღწევები ჰქონდა, რომელსაც სხვა ვერავინ გაიმეორებდა. ამასთან, არის ერთი „მიღწევაც“, რომელსაც „დოპინგის ჰეთ-თრიკი“ ჰქვია. დიდ ფეხბურთელს სამჯერ (1991, 1994 და 1997 წლებში) დაუმტკიცეს დოპინგის მიღება, სამჯერვე ხანგრძლივი ვადით დასაჯეს, მესამე კი მისი კარიერის დასრულებასაც მოასწავებდა.

თვით მარადონას აღიარებით, იგი კოკაინს ჯერ კიდევ 1984 წელს შეეჩვია, როცა „ბარსელონაში“ თამაშობდა. მთელი 7 წლის განმავლობაში ვერავინ ვერაფერს ამჩნევდა.

მოვუსმინოთ „ნაპოლის“ ყოფილ პრეზიდენტ კორადო ფერლაინოს: „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მარადონას დოპინგის ხმარება პირველად 1991 წელს დაუმტკიცეს. რა, განა აქამდე ფეხბურთელი მას არ იყენებდა? როგორ არა, რამდენიც გნებავთ! რატომ ერთხელაც ვერაფერი შეამჩნიეთ? იმიტომ, რომ ყოველთვის მე, დიახ, სწორედ მე გადავარჩენდი ხოლმე!

მე მას ასე მოველაპარაკე: კვირიდან ოთხშაბათამდე გაეკეთებინა, რაც კი მოესურვებოდა, მაგრამ ხუთშაბათისთვის „წმინდა“ და „უმანკო“ უნდა ყოფილიყო (იგივე ეხებოდა „ნაპოლის“ ყველა დანარჩენ ფეხბურთელს). საქმე ის არის, რომ საკმარისია კოკაინი რამდენიმე დღის განმავლობაში არ მიიღო, რომ შემდეგ მისი კვალი ქრება — ანალიზი ვეღარაფერს ამტკიცებს.

შემდგომში, ეტყობა, მარადონას ასეთი „პატრონი“ აღარ ჰყავდა და გაუფრთხილებლობამ ძალიან დააზარალა.

აი, ფეხბურთელების მიერ დოპინგის გამოყენების ყველაზე ცნობილი შემთხვევები: 1991 — მარადონა, 1994 — მარადონა, 1996 — ბერნარ ლამა (საფრანგეთი), 1997 — მარადონა. 1999 — იგორ შალიმოვი (რუსეთი, მაშინ იტალიის „ნაპოლიში“ თამაშობდა), 2001 — ფერნანდო კოუტუ (პორტუგალია, იტალიის „ლაციო“), 2001 — ედგარ დავიდსი (ჰოლანდია, ტურინის „იუვენტუსი“), 2001 — ფრანკ დე ბური (ჰოლანდია, „ბარსელონა“), 2002 — მარკ ბოსნიჩი (ავსტრალია, ლონდონის „ჩელსი“), 2003 — საადი კადაფი (ლიბია, იტალიის „პერუჯა“), 2003 — რიო ფერდინანდი (ინგლისის ნაკრები), 2004 — ეგორ ტიტოვი (რუსეთის ნაკრები).

გაზაევმა თავისი პრემია ბავშვთა სახლს გადასცა

როგორც რუსეთის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა, ასევე ამ გუნდის სხვა ხელმძღვანელებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალის საგზურის მოპოვებისათვის ფულადი პრემიები მიიღეს.

გაზაევს პრემიის სახით 10 ათასი დოლარი ერგო, მაგრამ მან საჭიროდ ჩათვალა მთელი ამ თანხის საქველმოქმედო მიზნით გამოყენება — იგი ვლადიკავკაზის ერთ-ერთ ბავშვთა სახლს გადასცა.

ადამიანი დროში

მარტყოფელმა ამირან ტოტიკაშვილმა 20 წლისამ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობა, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების პრიზიორობაც მოასწრო. 21 წლისამ კი, ფაქტობრივად, დაასრულა ტატამზე გამოსვლა...

ისტორიულ მარტყოფში ღვთისმშობლის ტაძრის მაღლა მდებარე „მაისის გორაზე“ ყოველ შაბათ-კვირას პატარა ამირანიც მოირგებდა ხოლმე ქართული ჭიდაობის ჩოხას და წრეში გადიოდა... აქ ნასწავლმა ჩოქელა კისრულმა, ჩაჩეხვებმა და მოგვერდმა მერე ძიუდოშიც თქვა თავისი სიტყვა.

თავდაპირველად კლასიკურ ჭიდაობაში მწვრთნელ გოდერძი ჯოხაძესთან იწრთობოდა 30-კილოიანი მეოთხეკლასელი ბიჭი. პატარა ხარო, ეუბნებოდნენ და შეჯიბრზეც არ უშვებდნენ. ორი წლის მერე, ძიუდოზე რომ გადავიდა, ერთ კვირაში რაიონის (გარდაბნის) პირველობა მოიგო თანატოლებში. მარტყოფელმა ძიუდოს მწვრთნელმა ზურაბ კოროხაშვილმა ამირანი მალე სოხუმში, საქართველოს ჭაბუკთა პირველობაზე წაიყვანა და არც შემცდარა: ტოტიკაშვილმა ყველას იქაც აჯობა (49 კგ-ში). შემდგომში მოვიდა გამარჯვებულები სსრკ ჭაბუკთა პირველობაზე (1985 წელი, 53 კგ-ში), 1986 წელს კიევში სსრკ ჭაბუკთა თამაშებზე (53 კგ წონაში), იმავე წელს უკვე სსრკ ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო (კიშინიოვი, 60 კგ). აქედან მოყოლებული, ერთთავად სულ ამ წონაში გამოდიოდა.

1988 წელს სსრკ ჩემპიონატი უკვე მოზრდილებში მოიგო. 19 წლის ბიჭისთვის ეს ზოგიერთმა შემთხვევითობას მიაწერა, თუმცა, როცა იმავე წელს, მაისში ესპანეთის ქალაქ პამპლონაში ევროპის ჩემპიონატშიც გაიმარჯვა, თანაც ფინალში კონტინენტის წინა წლის (1987 წლის) ჩემპიონს და მსოფლიოს პრიზიორს ფრანგ პატრიკ რუს აჯობა, მაშინ მისი ნამდვილად ირწმუნეს. იმავე 1988 წლის შემოდგომაზე, 24-ე ოლიმპიურ თამაშებზე კორეის დედაქალაქ სეულში მარტყოფელი ამირან ტოტიკაშვილი ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი ხდება. ამ თამაშებზე საკამათო იყო ამირანისა და მასპინძელი კიმპი იუპის შეხვედრა, როცა იუპის მსაჯებმა საეჭვო გამარჯვება მისცეს...

ყველაზე „მოსავლიანი“ ამირან ტოტიკაშვილისთვის იყო 1989 წელი — საქართველოს უახლოეს ისტორიაში დიდი კატაკლიზმების წელიწადი... ამირანი ხდება სსრკ (მინსკში), ევროპისა (ფინეთში) და მსოფლიო უნივერსიადის (თბილისში) გამარჯვებული. 20 წლის მარტყოფელი ფალავანი იმავე წელიწადს მზადებას იწყებს 1989 წლის ბელგრადის (იუგოსლავია) ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. სხვათა შორის, 4 ქართველი მოჭიდავე გამოვიდა მაშინ ბელგრადის ტატამზე: ამირან ტოტიკაშვილი (60 კგ), გიორგი თენაძე (71 კგ), კობა კურტანიძე (95 კგ) და აკაკი კიბორძალიძე (+95 კგ).

ხალასი ტალანტი

ფინალურ შეხვედრამდე მსოფლიოს ჩემპიონატზე ამირანმა 5 მეტოქე პირდაპირ გაანადგურა: გერმანელი ჰელმუტ დიცი, კუბელი ფერნანდესი (ორივეს „იპონით“ მოუგო), სძლია აგრეთვე თურქ, ავსტრიელ და კორეელ მეტოქეებს და აი, ფინალი. ტატამის ერთ მხარეს დგას ქართველი ამირან ტოტიკაშვილი, მეორე მხარეს — იაპონელი კოშინო. ამირანმა იაპონელთან ღირსეულად დაამტკიცა თავისი უპირატესობა — მოხდა ფინალისთვის და იაპონელისთვის უპრეცედენტო შემთხვევა. ქართველი მოჭიდავე იგებდა ფინალს და მაინც გამუდმებით უტევდა. მსაჯები იძულებული იყვნენ, იაპონელისთვის „შიდო“ (გაფრთხილება) მიეცათ, რაც ძალან არ უყვართ ძიუდოს ფუძემდებლებს.

ბელგრადში ამირან ტოტიკაშვილი და კობა კურტანიძე მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ...

ძიუდოში მსოფლიოს ჩემპიონატები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება, მაგრამ მომდევნო, 1991 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველი ფალავნები ჩვენში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო მსოფლიოს ჩემპიონატში არ მონაწილეობდნენ. ამჯერად ამირანის იაპონელმა მეტოქემ კოშინომ მსოფლიოს ჩემპიონობა უპრობლემოდ მოიგო...

1989 წლის ბელგრადის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ამირან ტოტიკაშვილმა 1990 წელს სიეტლში „კეთილი ნების თამაშებზე“ იასპარეზა და ეს დიდი საერთაშორისო შეჯიბრებაც მოიგო.

1990 წელსვე 21 წლის ფალავანი ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, იძულებული იყო, გამოსვლები დიდ სპორტში დაესრულებინა.

ხუთი წლის შემდეგ დააპირა, კვლავ დაბრუნებოდა ტატამს, მაგრამ სპორტს თავისი მკაცრი კანონები აქვს: თუ ერთი თვე ამოვარდები წვრთნის რიტმიდან, შემდგომში ძალზე ძნელია სტაბილურობის აღდგენა.

მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ევროპის ორგზის, „კეთილი ნების თამაშების“, მსოფლიო უნივერსიადის, სსრკ ჩემპიონობა — ეს ყველაფერი 21 წლის ამირანმა თავისი ნიჭისა და უდიდესი შრომისმოყვარეობის წყალობით მოახერხა. მარტყოფში „ჭოტორისა“ და „ანდრიანთ გორებზე“ სირბილით რომ იჯერებდა გულს, მერე ბაგირზე იწყებდა ცოცვებს. ისე გაუმაგრდა ხელები, ძნელად თუ ვინმე გაამჟვებინებდა მას კიმონოში ჩავლებულ თითებს.

1988 წელს, პოდოლსკში, ევროპის ჩემპიონატის მზადებისას ვარჯიშზე შემთხვევით „ხელის გათიშვა“ და ე. წ. „დაგორება“ გააკეთა, ერთი-ორჯერ შეჯიბრებაზეც გამოუყენა და მერე ამ ილეთს „ტოტიკაშვილის ილეთი“ უწოდეს. დიდხანს კონტრილეთსაც ვერავინ უძებნიდა ამირანის ამ „გამოგონებას“. მარჯვნივ და მარცხნივ სამ ვარიანტად შესრულებული ამირანის „საფირმო ილეთი“ მერე სხვებმაც დაამუშავეს, ამირანმა კი მსოფლიოს ჩემპიონობა სწორედ ამ „დაგორებით“ მოიგო.

მწვრთნელობაშიც მალე აღზევდა. 1998-1999 წლებში წარმატებით მუშაობდა საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელად. გახდა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯიც (1998 წ.).

ამირანის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო გამორჩენილ მოჭიდავეებთან უშიშარი ჭიდაობა. უფრო ფრთხილი კი შედარებით ახალბედების წინააღმდეგ იყო... ერთხელ, ესპანეთში, მაყურებლები დარბაზში რაღაც საგნებს გამეტებით აჩხაკუნებდნენ. ამ დროს ამირანი ესპანელს ხვდებოდა. რაც უფრო მეტად ხმაურობდნენ ესპანელი გულშემატკივრები, მით უფრო მედგრად უტევდა და ძირს ანარცხებდა გულშემატკივართა კერპს მარტყოფელი ფალავანი ამირან ტოტიკაშვილი...

გაბრიელ ბარჯაძე.

სურათზე: ამირან ტოტიკაშვილი.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

ფეხბურთი

12 გუნდის მონაწილეობით

საბურთალოს მოზარდთა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლის დირექციის ინიციატივით, ამავე სტადიონზე გაიმართა რაიონის ღია პირველობა ფეხბურთში, რომელშიც 1992 წელს დაბადებული ჭაბუკთა 12 გუნდი მონაწილეობდა. ასპარეზობის ორგანიზატორებმა მონაწილენი სამ შესარჩევ ქვეჯგუფად დაყვეს.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ოლიმპიური მომზადების ცენტრის (დირექტორი გიორგი უდესიანი, მწვრთნელი გივი ქობელაშვილი) და „არეალის“ (მწვრთნელი ირაკლი ანჩაბაძე) ჭაბუკთა გუნდები. პაექრობა დიღმის ოლიმპიური მომზადების ცენტრის ნორჩ ფეხბურთელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და მათი გამარჯვებით — 4:1 დასრულდა. მესამე ადგილი წილად ხვდა „ოლიმპიკის“ (მწვრთნელი გოგი ციკოლია) კლუბს.

ჟიურიმ სამდღიანი ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზით დააჯილდოვა ოლიმპიური მზადების ცენტრის მოთამაშე სანდრო ლეშჩენკო. მცველის პრიზი გადაეცა მურმან გაფრინდაშვილს, თავდამსხმელისა — რომეო გელენიძეს. ასპარეზობის საუკეთესო ბომბარდირისათვის დაწესებული სპეციალური პრიზი მიიღო ოლიმპიური მომზადების ცენტრის ფორვარდმა გიორგი ვაშაკიძემ, რომელმაც მეტოქეთა კარებში 15 ბურთი გაიტანა. მასვე გადაეცა საუკეთესო მოთამაშისათვის დაწესებული პრიზი.

საბურთალოს მოზარდთა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობას ახლო მომავალში განზრახული აქვს, გამართოს 1993 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ტურნირიც.

შალვა ჩიხლაძე.

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული გუნდი.

რობერტ ბაგოიანის ფოტო.

ყოველი მხრიდან



არის მსოფლიო რეკორდი!

დონეცკში რუსეთელმა ელენა ისინბაევამ ჭოკით ხტომაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა დარბაზებისთვის — 4,83 მეტრი.

ელენამ 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა თანამემამულის სვეტლანა ფეოფანოვას, ხოლო 1 სანტიმეტრით თავისივე საზაფხულო რეკორდები. მან თანამიმდევრულად ჯერ 4,81-მეტრიანი სიმაღლე დაძლია, შემდეგ კი სარეკორდო სიმაღლეზე გადაევლო თამასას. ეს სიმაღლე ფეოფანოვამ შეუკვეთა, თუმც ის ვეღარ „აიღო“.

სურათზე: ელენა ისინბაევა.

ყვავილი... ცაში

6 თებერვალს ტაილანდის ცაში დამყარდა ახალი მსოფლიო რეკორდი: 357 პლანეტის საუკეთესო პარაშუტისტი 7 ათასი მეტრის სიმაღლიდან გადმოხტა თვითმფრინავიდან. თავისუფალი ვარდნისას მათ ცაში ფიგურა-ყვავილი დახატეს და 10 წამის განმავლობაში გააჩერეს ის.

ეს უზარმაზარი ღონისძიება მიეძღვნა ტაილანდის დედოფლის დაბადების დღეს. პლანეტის საუკეთესო პარაშუტისტებმა ჯერ კიდევ 24 იანვარს დაამყარეს გინესის წიგნში შესატანი რეკორდი — 672 კაცი ერთდროულად გადმოხტა 6 თვითმფრინავიდან „ჰერკულესი“ და ბანგკოკში მეფის სასახლის ეზოში დაეშვა.

შემდეგ პარაშუტისტთა ნაკრებმა სავარჯიშოდ დედაქალაქიდან აღმოსავლეთით, 200 კილომეტრზე გადაინაცვლეს — კორატის აეროდრომზე. სწორედ იქ, 2 თებერვალს კიდევ ორი რეკორდით გაამდიდრეს გინესის წიგნი — ჯერ 318 კაცმა დახატა ცაში ფიგურა, შემდეგ კი — 337-მა.

ბოლოს ზემოაღნიშნული მსოფლიო რეკორდის ჯერიც დადგა...

სურათზე: ყვავილი ცაში.

ორგზის ჩემპიონი

იტალიის დაბა კოლალბოში, მაღალმთიან საციგურაოზე განსაკუთრებით გამოირჩეოდა კანადელი ჯერომი უოტერსპუნი. ჯერ ერთი, მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპებზე თავისი გამარჯვებების რიცხვი სუპერრეკორდულ 51-მდე აიყვანა, და მეორეც, მან ორი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა — ხუთას მეტრზე აჩვენა 34,89 (ადრინდელი რეკორდი — 35,20 — ეკუთვნოდა იაპონელ ჰიროიას ბიმიცულს), ორჯერ უფრო გრძელ დისტანციაზე კი საკუთარი რეკორდი დაამხო — ადრე თუ 1.10.44 წუთში დაფარა დისტანცია, ახლა ამისთვის 1.09.31 წუთი დასჭირდა.

როგორც ამბობენ, მაღალ მთებში მის ასეთ წარმატებას დიდებულმა ამინდმა და ყინულის კარგმა ხარისხმა შეუწყო ხელი.

პროფესიონალი ლიდერები

გამოქვეყნდა პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელთა რეიტინგი 17 თებერვლისთვის.

წლევანდელი შედეგების მიხედვით ლიდერობენ: ფედერერი (შვეიცარია — 200, საფინი (რუსეთი) — 140, აგასი (აშშ) — 105, ფერერო (ესპანეთი) — 91, რუდიკი (აშშ) — 50 და ა. შ.

52-კვირიანი ათვლის მიხედვით საუკეთესო ოცეულს სათავეში უდგანან: **ფედერერი — 5170; რუდიკი — 4390, ფერერო — 4345, კორია (არგენტინა) — 3185, აგასი — 2775** და სხვები.

ქალთა ლიდერთა შორის კი არიან: ენენ-არდენი (ბელგია) — 7324, კლისტერსი (ბელგია) — 6616, მერესიმო (საფრანგეთი) — 3452, დევენპორტი (აშშ) — 3050, კაპრიატი (აშშ) — 2764.

რესტორნიდან —ტელეეკრანზე

მუსიკალურ ტელეარხზე MTV **აჩვენეს შოუ „აშშ-ტოპ-40“, რაც ტელეეკრანზე სახელგანთქმული გერმანელი მეკარის ოლივერ კანის 22 წლის „დაქალის“ ვერენას დებიუტი იყო.**



სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მეტყველების ზოგიერთი პრობლემის მიუხედავად (მას ენაზე პირსინგი აქვს), დებიუტი კარგი გამოვიდა.

„ძალზე ვღელავდი, — გამოტყდა ქალიშვილი გადაცემის შემდეგ, — წინა დღეს ცუდადაც მეძინა, თუმცა გადასაღებ მოედანზე მღელვარება გამიქრა“.

ოლივერის გაცნობამდე ვერენა ჩვეულებრივ ოფიციანტად მუშაობდა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სწორედ ფეხბურთში გერმანიის ნაკრების მეკარის გაცნობის შემდეგ გაეხსნა გზა შოუბიზნესის მწვერვალებისაკენ.

ამბობენ, რომ კანი, რომლის ავტორიტეტი გულშემატკივრებში საგრძნობლად შეირყა, ახლო მომავალში გამოაცხადებს გაყრის შესახებ თავის 31 წლის ცოლთან სიმონასთან, რომელმაც თავის ვაი-მეუღლეს ცოტა ხნის წინათ მეორე ბავშვი შესძინა.

სპორტის რედაქცია

კრივი

მეტოქემ კი არა, მსაჯებმა...

... გაისტუმრეს ნოკაუტში ცნობილი მოკრივე სერგეი თათევოსიანი, რომელიც რუსეთის სახელს იცავს.

ინგლისის ქ. დაგენჰემში ევროპის ჩემპიონის წოდებისათვის საშუალო წონაში ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძელი ჰოვარდ ისტმენი და სერგეი თათევოსიანი.

თათევოსიანი, კომენტატორთა აზრით, სჯობდა მეტოქეს, ხანდახან კი პირდაპირ, როგორც ჩვენთან იტყვიან, ტარაბუას ახვევდა. ამის მიუხედავად, გამარჯვება მაინც ისტმენს მიენიჭა. რატომ? ეს ადვილი ასახსნელია, — წერდნენ მიმომხილველები, — ყველა მსაჯი ხომ ინგლისელი იყო!

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

1959 წლის ოქტომბერი. კისლოვოდსკი, სანატორიუმი „ცენტროსოიუზი“.
დამსვენებლები — სხედან მარცხნიდან: გიორგი ჩიტაძე (ხაშური) და სერგო სხირტლაძე (თბილისი);
დგანან მარცხნიდან: მიხეილ ჯინჭარაძე (ბათუმი), ხუტა კვარაცხელია (გულრიფში, დრანდა), პროკოფი ხვიჩია (მარტვილი, თამაკონი).

სურათი მოგვაწოდა პროკოფი ხვიჩიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ამბობენ, მართალია?

მოარული ხმები არ დადასტურდა

ამბობენ, ოპოზიციურ გაერთიანებას, რომელსაც უახლოეს მომავალში ტრადიციონალისტები, ედპ და სხვა მემარჯვენე პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლები ქმნიან, კობა დავითაშვილიც შეუერთდა.

„საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტმა ფრაქცია ტრადიციონალისტების აპარატის იურისტთან გიორგი შარაბიძესთან საუბარში გაარკვია, რომ ამის შესახებ არც კობა დავითაშვილს და არც მათ ფრაქციას ოფიციალური განცხადება არ გაუკეთებიათ. ასე რომ, მოარული ხმები სიმართლეს არ შეეფერება.

როცა განცხადების ბედი გაინტერესებთ!

ამბობენ, სახელმწიფო კანცელარიაში შესულ მოქალაქეთა განცხადებებზე პასუხის მსურველებს წერილების განყოფილებიდან საერთოდ არ ეხმიანებიანო.

როგორც სარწმუნო წყაროდან გაირკვა, წერილების განყოფილების ნომერზე ათასობით მოქალაქე რეკავს კანცელარიის შესასვლელიდან თუ ქალაქიდან, ასევე, რესპუბლიკის რაიონებიდან. აქ უკვე უმუშევარი ახალგაზრდების ლამის ოცი ათასამდე განცხადებაა შესული და სატელეფონო ხაზი ამიტომ არის გადატვირთული. განცხადების ბედის გასაგებად დიდი ხნის ლოდინი დაგჭირდებათ. ასე რომ, მოთმინებითა თქვენითა, მოიპოვეთ პასუხი თქვენი.

ქუჩა-ქუჩა ვეღარ ივლიან

ხმა დაირხა, ორ-სამ დღეში ქუჩაში, მოხერხებულ ადგილებში ვაჭრების დგომაც აიკრძალებაო. მართალია?

როგორც „სრ“ კორესპონდენტს სარწმუნო წყაროებიდან აცნობეს, ვაგზლისა და „დეზერტირის“ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე იმ გარემოვაჭრეებს, რომლებიც საქონელს კარდაკარ, ხელით დაატარებენ, მალე ვაჭრობა აეკრძალებათ.

კავკასიის მოსახლეობა ვის ხარჯზე იზრდება?

ამ ბოლო დროს სულ უფრო იზრდება ინტერესი კავკასიის მოსახლეობისადმი, მაინც რამდენი არიან კავკასიელები?

„სრ“ კორესპონდენტმა ცნობილ მეცნიერ-დემოგრაფთან ანზორ თოთაძესთან გაარკვია, რომ მეოცე საუკუნეში მართლაც მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მოხდა კავკასიის მოსახლეობაში.

ერთი საუკუნის განმავლობაში (1897-1997 წლებში) კავკასიის მოსახლეობა 9 მილიონიდან 34 მილიონამდე, ანუ 3,7-ჯერ გაიზარდა. ასეთი ზრდა გამოწვეული იყო არა მარტო მოსახლეობის მაღალი ბუნებრივი მატებით, არამედ კავკასიაში მუდმივ საცხოვრებლად, ძირითადად, რუსებისა და უკრაინელების გადმოსახლებით.

კორპორაციული მართვა წარმატების საწინდარია

ამბობენ, ბევრ სპეციალისტს აინტერესებს, დღევანდელ საწარმოებს მართვის რა მეთოდები მოუტანს წარმატებას?

„სრ“ კორესპონდენტის განმარტებით, კორპორაციული მართვა ანუ სრული თანასწორუფლებიანობა, ინფორმაციის ღიაობა, კომპანიებს დიდად დაეხმარება.

ასეთი მართვის დროს, როგორც წესი, ინვესტიციები წყაროსავით მოედინება, მოწინავე ქვეყნების ინვესტორების 73 პროცენტი მზად არის გადაიხადოს დამატებითი თანხა გარდამავალი ქვეყნების კომპანიების აქციებში, თუკი იქ კორპორაციული მართვა ეფექტიანია.



რუბრიკის მორიგე ლალი ძინძლაძე.

ლაშა გახარიას ხსოვნას

როდის კვდება პოეტი



ამ დღეებში მისი მესამე წიგნის გამოსვლა უნდა აღენიშნათ ახლობლებსა და მეგობრებს...

თვითონ, ალბათ, ვერც დაესწრებოდა, ამბავს მიუტანდნენ, ამ შეკრების ჩანაწერს უჩვენებდნენ... უკვე სიარულის თავიც აღარ ჰქონდა, განწირული იყო — წინაპრებისა და მშობლების ლანდები იმ ქვეყნად უხმობდნენ, მისი გაუნელებელი სევდა და ტკივილი, მისი ვაჟიშვილი — პაპუნა ეძახდა...

ჩემს ლექსებს
სულ შენ აკლიხარ,
შვილო —
ხან წერტილად და
ხან სათაურად...
ჩემსავით შვილმკვდარ
სიკვდილს ვშიმშილობ!
ცის სარკმელიც რომ
ამიცხაურა,
დღეს თურმე შენი
პერანგი მეცვა,
რომ შემამციენა და
შემახურა.

და თითქოს ტანმა უგრძნოო — სულ სამიოდე წელიწადში, ზედიზედ, ფართო საზოგადოებაში გამოჩნდა ხასხასა ლექსებით, რომელთა არსებობა მანამდე მხოლოდ ოჯახის წევრებმა და უახლოესმა მეგობრებმა თუ იცოდნენ. მათი დაძალებაც იყო, მათი წაქეზებაც იყო, დედაუნივერსიტეტის სააქტო დარბაზში რომ გამოვიდა, ერთიმეორეზე უკეთესი პოეტური სტრიქონები იკითხა და იკითხა, ქართულს, აკვნიდან გამოყოლილი, მშობლიური მუხურიდან ადევნებული უნაზესი მეგრულიც შეურია... იდგა იგი სცენაზე აღნაგი, ლამაზი, დასტურ კოლხური ჯიშისა, თხემით ტერფამდე პოეტი... რა ღამეების თევა, რა სტრიქონების რანდვა და ულამაზეს მძივებად ასხმა იყო საჭირო, ეს უბედნიერესი დღე რომ დამდგარიყო.

პოეტს დადაუნივერსიტეტი უსმენდა...

ფაზისს ვერ ვწვდები,
ვერც შავ მონათ დროს...
შენებრ არც გენათს
უქათქათია!
მოწაფე, სადაც უნდა
მონათლონ,
შენ შემოგნატრის —
მომძღვარ-ნათლიად.

გახარებულნი ვიყავით, აღტაცებულნი ვიყავით — ჩვენ თაობას თურმე ბრწყინვალე პოეტი ჰყოლია. რედაქციებში ერთად გატარებულ წლებს, დღეებს, ჟურნალისტურ გაწამაწიას ვიხსენებდით, მის უცნაურობებს ღიმილით ვიგონებდით.

თურმე ბრწყინვალე პოეტი გვყოლია.

მერე ისევ მეგობრებმა იმარჯვეს, ერთად აკინძეს ეს ლექსები — „მუზის პაუზა“ დაარქვეს და მწერალთა კავშირის უმშვენიერეს ბაღში აკურთხეს მისი — უკვე შუახანს გადაცილებული, სხეულში უკურნებელსენშეპარული ავტორი **ლაშა გახარია,** რომელსაც ასე გვიან სწვეოდა აღიარება.

უკვე საამქვეყნოდ აღარ იყო, მეორე წიგნი — „99 და ერთი“ რომ გამოვიდა, ტერენტი გრანელისა და გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიები რომ მიანიჭეს. ერთიც და მეორეც მისი უსაყვარლესი პოეტები იყვნენ.

დღეს მისახსოვრა შავი
კრებული
უცნობმა დამამ, ვით
რელიკვია
და დამაქვს — შენებრ
გაფითრებული
წიგნი, რომელსაც
გრანელი ჰქვია.

* * *

ქვაბში დევები იხდიან
ქორწილს,
ჯამში მაჯამდე აწობენ
ღოლოს...
გაწბილებული ყივჩაღი
ყივის —
კუნძივით გდია მუხრანის
ბოლოს.

... ბრალია შენისთანა რაინდი კაცების სიკვდილი, ძმაო ლაშა...

ბრალია ნაღდი პოეტის უდროო წასვლა...

თუმცა, წასვლა — ფიზიკური...

პოეტი მაშინ კვდება, მის ლექსს რომ არავინ გაიხსენებს.

ძმაო ლაშა, შენი სიცოცხლის დასტური შენი ლექსებია.

ვილენ მარდალეიშვილი.

ღიმილის დოზა

განცხადება მაღაზიაში: „მალე ჩვენს მაღაზიაში გასაყიდად გამოვიტანთ საზავშვო შამპანურს, აგრეთვე, საზავშვო არაყს, საზავშვო მისაყოლებელს და „პახმელიაზე“ გამოსასვლელ საზავშვო ხაშს“.

* * *

პრეზიდენტმა პუტინმა რუს მზვერავებს მზვერავის დღე მიულოცა, რომელშიც, კერძოდ ნათქვამია: 3056, 4453, 6720, 9987, 5521!

* * *

გავიღვიძე ამ დილით და ვხედავ: რომ რაღაც ისე არ არის. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ „რაღაც ისე არ არიმაც“ გაიღვიძა.

* * *

— **ქალიშვილო,** ქალიშვილო! წამოხვალ ჩვენთან ერთად ლაშქრობაში?

— მე ქალიშვილი აღარ ვარ, ლაშქრობაში შვიდჯერ ვიყავი!

* * *

განცხადება: „დაიკარგა ფულადი ანაზღაურება, ვინც იპოვნის, მიიღებს ძაღლს“.

* * *

ბიზნესტერმინებს — ფაქტორინგს, ლიზინგს, კონსალტინგს, ფრანჩაიზინგს, მარკეტინგს, ტრეინინგს ქართულში ერთადერთი რეალური შესატყვისი აქვს — გადაგდებინგი.

სანთელი

... ის ქალი გახლდათ იუტა პალმი

მთარგმნელობით კოლეგიაში 1979 თუ 80 წელს მიმიღეს. მაშინ გავიგე, რომ იქ ერთი ესტონელი ქალიც მუშაობდა. ის ქალი გახლდათ იუტა პალმი, რომელსაც თბილისში ქართული ოჯახი შეექმნა. მე მისი გაცნობა უფრო იმიტომ მინდოდა — ესტონურად, გარდა „ტერე“-სი („გამარჯობა“), კიდევ რომ ვიცოდი ორი წინადადება (რომლებიც ესტონეთში ჯარისკაცობისას ვისწავლე) — შემემოწმებინა, ისევე სწორად თუ წარმოვთქვამდი მათ. მართლაც, ერთ დღეს იუტა გავიცანი. გამაოცა მისმა ქართულმა. მე კი ვუთხარი, რომ ჯარში — ესტონეთში ვმსახურობდი, ქალაქ პიარნუში. საოცრად გაუხარდა. თურმე პიარნუელი ყოფილა. ისიც ვუთხარი, მდინარე პიარნუ რამდენჯერმე როგორ გადავცურე იმ ზაფხულს... ისიც ვუთხარი, დახრჩობას როგორ გადავურჩი, როცა ზამთრის ერთ ღამეს, თანაყაზარმელ ჯარისკაცებს არ წავყევი არყის საყიდლად. მათ კი, გაყინულ პიარნუზე რომ გადადიოდნენ, ყინული ჩაუტყდათ და... „ვაიმე“! — ქართველი ქალივით შეიცხადა იუტამ. იღბალი გქონიაო. განწყობილება რომ შემეცვალა, ორი წინადადება ვიცი-მეთქი ესტონურად. აბა თქვიო. მეც გავბედე (ახლა უკვე არ ვიცი, სწორად ვწერ თუ არა ამ სიტყვებს): „ტიუტრუკ, ტულე სია“ („გოგო, მოდი აქ“), „კუიდას სინუ ონ ნიმი“ („რა გქვია შენ“). იუტას გაეცინა. მეგობრებიც გვისმენდნენ და იცინოდნენ. მეტი რა იციო? მეტი რად მინდოდა, რაც მჭირდებოდა, ის ვისწავლე-მეთქი, ვიხუმრე მე. როგორ არა — ესტონელი გოგონები ორი წინადადებით გაგეცნობოდნენო, იხუმრა იუტამაც. მერე, როცა კოლეგიაში მოსული იუტა ქართულად მომესალმებოდა, მე ესტონურად მივესალმებოდი-ხოლმე. „ტერე“ — ეს ერთი ესტონური სიტყვაც უზომოდ უხაროდა. უკეთილშობილესი ადამიანი იყო. კოლეგიაში 200 ადამიანი ვმუშაობდით და ყველას დასავით გვიყვარდა. მას ჩვენ, ორასივე, მაზლებად და მულებად მივაჩნდით და ყოველი ჩვენგანისადმი პატივისცემით იყო განმსჭვალული. ქართული მწერლობისათვის რამდენი კარგი საქმე გაუკეთებია: რუსთაველის პოემის გარდა, რამდენი ქართველი მწერლის შემოქმედება უთარგმნია. არ დასცალდა, თორემ, კიდევ რამდენს თარგმნიდა! თუმცა, რაც გააკეთა, სავსებით საკმარისია, ორი ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი რომ იყოს. მე იუტას გასვენებაზე არ ვყოფილვარ. ძალიან გვიან გავიგე მისი სიკვდილი, მგონი, თბილისშიც არ ვიყავი.

წელს იუტა პალმი-ბედიას სამოცი წელი შეუსრულდებოდა. ამქვეყნად რომ იყოს, იუბილეს ლექსით მივულოცავდი. იმ ქვეყნად წასულს — მით უმეტეს: მის სათნოებას და ნიჭიერებას ერთი უბრალო ლექსი ვუძღვენი.

15. 02. 04 წ.

ესტონელი რძალი

იუტა პალმი-ბედიას ხსოვნას

ქართულ თანხმოვნებს, ხშვებივით, მიზეზს
არ უძებნიდი — წნავდი ხმოვნებით...
და მეტყველებდი ქართულად ისე,
თითქოს გოლფსულს იგემოვნებდი.

შენი გზა უკვე მკაფიოდ მოჩანს —
გხედავთ, ღმერთს სული როგორ უძღვენი:
ალამაზებდი ქართველის ოჯახს
და ესტონურად თარგმნე რუსთველი...

ო, როცა დროის უზომო ზვრო
ყოველგან რწმენის ბროლებს მიაფშვნის,
შენ წვეილ ცვილივით დაგქონდა მზერა
ჩვენს მთარგმნელობით კოლეგიაში.

ის კოლეგია მაშინდელ თბილისს
უჩანდა, როგორც გემს კაიუტა,
ხადაც, ყოველდღე, ესტონურ დილის
მზე შემოგქონდა ჩვენთვის, იუტა!

ქართული ენის გაიგე ვადრი,
მისი მირონის გახდი მხარშველი...
შენ საქართველო ისე გიყვარდა,
ის უზომოდ, როგორც ქმარ-შვილი.

ვაგლახ, მეირფასო დაო და რძალო,
გამოგვეცალე ხელიდან უცებ...
შენ ჩვენთა დღეთა ჩაიცვი ჯვალო
და წიგნი ჩვენი ტანჯვისა — ფურცლე..

და, თუმც სიკვდილი, სიცოცხლის გვიმრებს,
გადაგვიყვლის და გვთელავს ჯიუტად,
ქართველებს მაინც ღმერთმა გვიმრავლოს
შენებრ დაი და რძალი, იუტა!

ბათუ დანელია.
12. 02. 2004 წ.

განცხადება

მიმდინარე წლის 30 მარტს, დღის 12 სთ-ზე, მოწვეულია სააქციო საზოგადოება „თბილმარგარინმრეწვის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:
გასული წლის შედეგები და მომავლის ამოცანები.

სს „თბილმარგარინმრეწვის“ დირექცია.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

გვწერენ

არ უნდა იყოს რთული

დღეს რომ მოგვეცა საშუალება თამამად და უშიშრად გავიხედოთ ჩვენი ქვეყნის წარსულისაკენ და მისი დამოუკიდებლობისათვის თავდადებულთა სახელების ამოტივტივებაც შესაძლოა, რომელთა ხსენებისთვისაც კი კომუნისტური მთავრობა „ციმბირს უკან დაგვატოვებინებდა“, რაკი, მადლობა ღმერთს, ამის ყოველგვარი შიში გაქრა, მათი ხსოვნისადმი კუთვნილი პატივის არმიგება დიდი ცოდვა იქნებოდა. ამას რომ ვამბობ, პირველ ყოვლისა, თვალწინ უბადლო პატრიოტი-ქალიშვილის მარო მაყაშვილის ჩადენილი გმირობა წარმომიდგება, რომელიც 1921 წელს ტაბახმელის მისადგომებთან ბოლშევიკებთან ბრძოლისას ყუმბარამ განგმირა. მართალია, მისი სახელი დღეს მივიწყებული აღარაა, რად ღირს მარტო ჩემი ძველი კოლეგის, მაროს ბიოგრაფის ნანა ღვინეფაძის წიგნი „შარავანდედი“, — ხოლო ერთი მაგალითი ისიც გახლავთ, რომ მაროს ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის განაპირას, სოლოლაკის ქედზე, ერთ-ერთი ულამაზესი ხეივანი, ბოტანიკურ ბაღს რომ დაჰყურებს (ყოფილი „კომკავშირის ხეივანი“) ახლა მარო მაყაშვილის სახელს ატარებს. ეს 30-იანი წლების ბოლოს თბილისელთა ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო, განსაკუთრებით ზაფხულის ხვატიანი საღამოობით იზიდავდა ხალხს, ოქროყანიდან და ბოტანიკური ბაღიდან წამოსული სიგრილე მაცოცხლებელი სალბუნივით იყო. უკრავდა სასულე ორკესტრი, რომელიც იმ დროის ქალაქის პარკებსა და თავშეყრის ადგილებში ძალზე პოპულარული გახლდათ. თუ ხეივანს ასეთი გამოცოცხლება ეღირსება, მადლობის მეტი რა ეთქმით თბილისელებს, განსაკუთრებით კი სოლოლაკელებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს მცირე ხნით თუ მოხდება, — გვიან შემოდგომასა და ზამთარში კი, რომელიც ექვს თვემდე გრძელდება, მარო მაყაშვილის ხეივანი ნაკლებად გაახსენდება ვინმეს. და საერთოდ, თბილისის მოსახლეობის, ალბათ, უმცირესობამ თუ იცის, რომ ყოფილ კომკავშირის ხეივანს ახლა მარო მაყაშვილის სახელი აქვს მინიჭებული, დიახ, გადარქმეულ სახელს ძნელად ეგუება ხალხი, განსაკუთრებით თუ სიახლე ტოპონიმს შეეხება. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს ფუნიკულიორს კანტი-კუნტად მოიხსენიებდნენ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკად, ან მუშტაიდს, როგორც ორჯონიკიძის სახელობისას. გნებავთ, მეტრო დელისის სადგურის მაგალითი: — ვინ უწოდებს მას დღეს გოცირიძის სახელობისას. ეგ კი არა, ვორონცოვის სახელობის მოედნის მკვიდრისთვის რომ გეკითხათ მარქსის მოედანი სად არისო, პასუხად მხრებს აიჩეჩავდა, არც ყოფილ პლეხანოვზე მდებარე „არტოს კლუბის“ „პიონერთა პარკად“ გადარქმევას ჰქონია დიდი დღე, — მას დღესაც ადრინდელი „არტოს“ სახელით მოიხსენიებენ, რაც „Артистическое общество“-ს აბრევიატურა გახლავთ.

ზემოხსენებულ მაგალითებისაგან განსხვავებით სულ სხვაა ქუჩის სახელის შეცვლა, რასაც ადვილად ეგუება ყური და ხალხი. ხომ სწრაფად დაინერგა ათარბეგოვის ნაცვლად „ძმები ზუბალაშვილების“ სახელწოდება, ანდა „ძერჟინსკის“ ნაცვლად — „ინგოროყვას ქუჩა“, „ჯაფარიძის“ ნაცვლად — „იაშვილის“ ქუჩა, ენგელსის ნაცვლად — „ასათიანისა“, „მოსკოვის“ ნაცვლად — „ძმები კაკაბაძეებისა“, კამოს ნაცვლად — უზნაძისა, საბჭოს ნაცვლად — გიორგი ჩიტაიას სახელობისა, ოქტომბრის ქუჩის ნაცვლად ცოტნე დადიანისა და ასე შემდეგ. ალბათ ამ ახალშერქმეული სახელების გავრცელებას ფოსტა, წერილების მიმოქცევაც უნდა უწყობდეს ხელს, — კარგია, კომუნისტური სახელები ისტორიულმა, წმინდა ქართულმა სახელებმა რომ შეცვალა.

ისიც კარგად ვიცი, რომ ქალაქის მერია დიდი ხალისით არ მიიღებს ამ შეთავაზებას, ვინაიდან გარკვეულ ხარჯებთან და სხვა დაბრკოლებებთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ ვფიქრობ, მარო მაყაშვილის სახელის დარქმევა არავითარ სირთულეს არ გამოიწვევს, ვინაიდან აქ საქმე გვექნება გადარქმევასთან კი არა, არამედ, „წერილმანთან“, იმიტომ, რომ მთაწმინდაზე ხომ არსებობს მაროს მამის, პოეტ კოტე მაყაშვილის სახელობის ქუჩა, — ჰოდა, რა დიდი ამბავია ამ ქუჩის აბრაზე რომ დაემატოს **„მამა-შვილის — მარო და კოტე მაყაშვილების“** ქუჩა (მით უმეტეს, რომ იქვეა მათი მემორიალური სახლი). ამას იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი პრეცედენტი უკვე გვაქვს ქალაქში, როცა ვორონინის ქუჩას „მამა-შვილი ეგნატე და ვახტანგ ფიფიების“ სახელი ეწოდა. მთავარი მონდომებაა — „გული რომ გულობდეს“...

უშანგ ჭიჭინაძე.

სურათზე: მარო მაყაშვილი — ნახატი ზურაბ სამხარაძისა (ქაღალდი, ფანქარი).

ხავარ ლომაძის ფოტო.

ვაიმე, ენავ!

„რა უთქვამს, რა მოუჩმახავს...“

ანუ ეკრანული ქართულის „მარგალიტები“

• **გავაკეთო მიმართვა სახელმწიფო მინისტრის სახელზე („გააკეთაც“ მოდური ზმნაა, „მოხდასი“ არ იყოს... არადა, „გაკეთება“ ყველაფერს არ უხდება; „მოვამზადო მიმართვა“, „დავწერო მიმართვა“...).**

• **მასიურად არ დადიან ტყავის ქურთუკებითა და მაუზერებით (ტელეჟურნალისტს მადლობა ეკუთვნის, „კურტკები“ რომ არ თქვა; საყვედური — „მასიურს“ რომ „მასობრივის“ მაგიერ ხმარობს; დასანანად, ეს შეცდომა ძალზე გავრცელებულია. „მასიური“ მასასთან, წონასთან, მოცულობასთან უნდა დავაკავშიროთ, „მასობრივი“ კი — რაოდენობრივის გამოხატვასთან).**

• **გადასახადი არის საკმაოდ ფართო მცნება („ცნებასა“ და „მცნებასაც“ ხშირად ურევენ ერთმანეთში... რასაკვირველია, „გადასახადი“ ცნებაა და არა მცნება...).**

• **ხდება იმ ადამიანების პასუხისგებაში მიცემა („ხდება... მიცემა“ — ჩვენი ძველი „ნაცნობია“... უბრალოდ ვიტყოდით — „ადამიანებს პასუხისგებაში აძლევენ“).**

• მე ვუთხარი მათ ჩვენი პოზიცია (ელემენტარული უწიგნურობა. „ავუხსენი პოზიცია“, ან „გავაცანი პოზიცია“).

• **ისიც აღსანიშნია, რომ... (მეტყველებითი „კორექტურა“ არ გვეგონოს... ტელედიქტორმა არ იცის, რომ სწორია „აღსანიშნავია“)...**

• **მონოპოლიზირება არ შეიძლება ამისი (ასევე გავრცელებული შეცდომა; უცხო სიტყვებში „ირ“ ვერ „ძლებს“ „იზ“-ის გვერდით; სწორია „პოლიტიზება“, „დრამატიზება“, „ავტომატიზებული“, „მექანიზებული“ და სხვა).**

• **განხილვა ამ მიმართულებით არავის უწარმოებია (არც ყველაფრის „წარმოება“ შეიძლება. განხილვას ეს ნამდვილად არ უხდება!).**

• „ფრაქციის წევრებმა გადააფრთხილონ ერთმანეთი (ფრაქციის წევრებმა უნდა გააფრთხილონ ერთმანეთი. და ფრთხილად მოეპყრნენ ენას).

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

ჟურნალ „პოლიტიკის“ თანამშრომლები უღრმესი მწუხარებით იუწყებიან საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, ქართული მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, შესანიშნავი პოეტის, მოქალაქის და უახლოესი მეგობრის

ლაშა გახარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შემოქმედთა კავშირი „ქიმერიონი“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე

ლაშა გახარია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შვილი ლიანა მაჩიტაძე, შვილიშვილები ლელა, ნინო კიკნაძეები, სიძე გივი სურგულაძე, შვილთაშვილები ელენე, ანა, დისწული ნუნუ ჭრელაშვილი, ძმისწულები ანზორ ნატროშვილი, ლამარა, ნანა ჭიჭინაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ელიკო ნატროშვილი-მაჩიტაძე

პანაშვიდი 18 II, 4 სთ. დაკრძალვა 19 II, 2 სთ. საბურთალოს ქ. III კორპ. VIII სართული, ბინა 35.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ გაზეთის კორესპონდენტს ნანა ჭიჭინაძეს მამიდის

ელიკო მაჩიტაძის

გარდაცვალების გამო.

სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნოს“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სააგენტოს გენერალურ დირექტორს ელენე სეხნიაშვილს დედის

მარიამ სეხნიაშვილის

გარდაცვალების გამო.

დავით შიმშილაშვილი და ოლღა სარალიძე სამძიმარს უცხადებენ ელენე სეხნიაშვილს დედის

მარიამ სეხნიაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე გოგი ფერაძე, შვილები ნინო, ელენე, მარიამი, დედა ნინო მელიქიშვილი, მამა გოგი სულაძე, და ლენიკო, სიძე ტოტო ჩხატარაიშვილი, დისწულები ანა და გიორგი, ბებია ელენე დოჩანაშვილი, დედამთილი ცისანა გაბუნია, ბიძა სანდრო, დეიდა ირინე მელიქიშვილი, დეიდაშვილები სანდრო და სოფიკო სარჯველაძეები ოჯახებით, მული იკა ფერაძე, სიძე გიგა ბედინეიშვილი, ლია და თემურ მელიქიშვილები, ლამარა და თემო ნებიერიძეები, გურამ დოჩანაშვილი, თემურ ჩხატარაიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეკა სულაძე

პანაშვიდი 18, II, 5 სთ. დაკრძალვა 19, II, 3 სთ. კავსაძის ქ. №8ა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის პედკოლექტივი და დირექცია სამძიმარს უცხადებენ საერთაშორისო ურთიერთობათა კაბინეტის პედაგოგს ელზა მერაბიშვილს დედის

ელენე ეგნატეს ასული ოთარაშვილი-მერაბიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექცია, თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მამრიკო და ცამილა ბასარიებს სიმამრისა და მამის, სოხუმიდან დევნილის

მიხეილ დავითის ძე ლაგვილავას

გარდაცვალების გამო.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „არესა-2002“

სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი სპარტაკ ქობულია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა - sakresp@gol.ge
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რაინიშის ხიდი 20.